

CATALOGUE OF GEORGIAN NUMISMATICS III ქართული ნემიზმატიკის კატალოგი



Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Institute of Georgian History

ქართული ნემიზმატიკის კატალოგი

III ნაწილი



CATALOGUE OF GEORGIAN NUMISMATICS

Part Three

978-9941-25-041-5



9 789941 250415

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ქართული ნუმისმატიკის კატალოგი

III ნაწილი

„ოქროს ხანა“ და დაქვეითება.

სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XI-XVI საუკუნეების საქართველოში

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Institute of Georgian History

Catalogue of Georgian Numismatics

Part Three

“Golden Age” and Decline.

Coin Issues and Monetary Circulation in Georgia in the 11th-16th Centuries

გამომცემლობა „მერიდიანი“

Meridian Publishers

თბილისი

Tbilisi

2015

2015 წელს დასრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი – „ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი“ (იხ. <http://geonumismatics.tsu.ge>). აქ გთავაზობთ კატალოგის მესამე ნაწილის ბეჭდურ ვერსიას.

“Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics” is project funded by Shota Rustaveli National Science Foundation. Now it is finished (v. <http://geonumismatics.tsu.ge>). Third part of the catalogue is offered here as printed version.

ავტორები

თედო დუნდუა
გიორგი დუნდუა

Authors

Tedo Dundua
Giorgi Dundua

შემდგენლები

ალექსანდრე ბოშიშვილი
აპოლონ თაბუაშვილი
ლერი თავაძე
აკაკი ჩიქობავა
ემილ ავდალიანი

Compiled by

Alexander Boshishvili
Apolon Tabuashvili
Leri Tavadze
Akaki Chikobava
Emil Avdaliani

დამხმარე პერსონალი

ნათია ფიფია
მარიამ ქარდავა
გიორგი ჯავრიშვილი

Auxiliary Staff


Natia Phiphia
Mariam Kardava
Giorgi Javrishvili

© ავტორები – თედო დუნდუა, გიორგი დუნდუა, 2015

© შედგენა – ალექსანდრე ბოშიშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე, აკაკი ჩიქობავა, ემილ ავდალიანი, 2015

© Authors – Tedo Dundua, Giorgi Dundua, 2015

© Compiled by – Alexander Boshishvili, Apolon Tabuashvili, Leri Tavadze, Akaki Chikobava, Emil



თამარ ლომოური
Tamar Lomouri
1883-1965

სარჩევი


ქართულ-ბიზანტიური მონეტები	9
დავით III კურაპალატის მონეტები ჭეშმარიტი ჯვრის გამოსახულებით.	9
ვლადკერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – ბაგრატ IV-ის პირველი ემისია.	10
ვლადკერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – ბაგრატ IV-ის მეორე ემისია.	11
ვლადკერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – გიორგი II-ის პირველი ემისია.	12
ვლადკერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – გიორგი II-ის მეორე ემისია.	13
ვლადკერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – გიორგი II-ის მესამე ემისია.	14
ვლადკერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – დავით IV-ის პირველი ემისია.	16
ვლადკერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – დავით IV-ის მეორე ემისია.	17
დავით IV-ის სპილენძის მონეტა, ტიპი – მეფე საიმპერატორო ტანსაცმელში	18
სამეცნიერო კომენტარი	19
ბიბლიოგრაფია	29
XI-XII საუკუნეების ბიზანტიური მონეტები საქართველოდან	32
ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-XIII საუკუნის ოციანი წლები)	39
დემეტრე I-ის ემისიები	39
დავით V-ის ემისია	40
გიორგი III-ის ემისიები მთავრული ნიშნით	41
გიორგი III-ის მონეტები – მეფე შევარდენით ხელში.	42
გიორგი III-ის და თამარის მონეტები	43
თამარ მეფის მონეტები მისი ხელრთვით	44
მონეტები წარწერით „თამარ დედოფალი“	46
თამარის და დავითის მონეტები „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნით“	46
გიორგი IV ლაშას მონეტები წარწერით „გიორგი ძე თამარისა“	47
გიორგი IV ლაშას მონეტები წარწერით „გიორგი მეფისა ... ჯავახთუფლისა“	49
გიორგი IV ლაშას მონეტები – მეფე საიმპერატორო სამოსელში	50
რუსუდანის „წესიერად“ მოჭრილი სპილენძის მონეტები	51
სამეცნიერო კომენტარი	52
ბიბლიოგრაფია	62
XII საუკუნის-XIII საუკუნის დასაწყისის უცხოური მონეტების მიმოქცევა საქართველოში	63
ქართველ მეფეთა მონეტები XIII-XIV საუკუნეებში	66
რუსუდანის ვერცხლის მონეტები იესო ქრისტეს გამოსახულებით	66
დავით ნარინის სპილენძის მონეტები შეწიაღებული ასოებით	67
დავით ნარინის ვერცხლის მონეტები მხედრის გამოსახულებით	68
დავით ულუ „ბაგრატიონის“ 1252-1255 წლების ვერცხლის ემისიები	69
დავით ულუს სპილენძის მონეტები მხედრის გამოსახულებით	71
დემეტრე II-ის სპილენძის მონეტები „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნით“	72
დავით VIII-ის ვერცხლის მონეტები ქრისტიანული ლოცვით	73
დავით VIII-ის სპილენძის მონეტები „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნით“	74
ვახტანგ III-ის მონეტები ქრისტიანული ლოცვით	75
ვახტანგ III-ის სპილენძის მონეტები მონოგრამებით	77
გიორგი VII-ის მონეტები „გახელილი თვალის გამოსახულებით“	78
გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის ვერცხლის მონეტები	80
სამეცნიერო კომენტარი	82
მონღოლური საოკუპაციო მონეტები	95
ჯალალ ედ-დინის გადაჭედილი სპილენძის მონეტები	95

ანონიმური დირჰემები მშვილდის გამოსახულებით	96
ულუს ბეკის დირჰემები მონადირე მხედრის გამოსახულებით	97
ანონიმური დირჰემები ექვსქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით	98
მანგუ ყაენის მონეტები	98
„ყაანური“	100
ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები	101
ჰულაგუიდთა პოსტ-რეფორმული ემისიები	102
ჯუჩიდების ფული	103
ჯალაირიდების ფული	104
სამეცნიერო კომენტარი	105
ბიბლიოგრაფია	116
აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი XIII-XIV საუკუნეების იმპორტული მონეტები	117
XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული	123
მონეტები ორი დავითის გამოსახულებით	123
კირმანეული თეთრი, მანუილის სახელიანი ემისიები	124
კირმანეული თეთრი, იოანეს სახელიანი ემისიები	126
კირმანეული თეთრი, ემისიები „კეისარი სამრკალიან სტემამი“	128
კირმანეული თეთრი, ემისიები კეისრის წელზევითი გამოსახულებით	130
კირმანეული თეთრი, ემისია ასომთავრული ნიშნებით	131
კირმანეული თეთრი, ვამეყის ფული წმინდა ევგენიოსის გამოსახულებით	132
სამეცნიერო კომენტარი	133
ბიბლიოგრაფია	143
XIII-XV საუკუნეების უცხოური მონეტების მიმოქცევა დასავლეთ საქართველოში	144
XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები	146
კონსტანტინე I-ის მონეტები	146
ალექსანდრე I-ის მონეტები	146
ვახტანგ IV-ის მონეტები მთავრული წარწერებით	147
ვახტანგ IV-ის მონეტები ცხოველის გამოსახულებით	148
გიორგი VIII-ის მონეტები „მეფეთა მეფის“ ტიტულით	148
გიორგი VIII-ის მონეტები „მეფის“ ტიტულით	149
ბაგრატ VI-ის მონეტები	150
ყვარყვარე ათაბაგის მონეტები	150
კონსტანტინე II-ის მონეტები	151
დავით X-ის მონეტები	153
ბაგრატ იმერთა მეფის მონეტები	153
გიორგი იმერთა მეფის მონეტები. პირველი ტიპი	154
გიორგი იმერთა მეფის მონეტები. მეორე „ტიპი“	154
გიორგი იმერთა მეფის მონეტები. მესამე ტიპი	156
შაჰ თაჰმასპის ბისტების მინაბადები	156
სამეცნიერო კომენტარი	157
ბიბლიოგრაფია	170
XV საუკუნის უცხოური ფული აღმოსავლეთ საქართველოდან	171
XVI საუკუნის უცხოური ფული საქართველოდან	174

Contents


Georgian-Byzantine coins	180
David III Kuropalates' coins with the depiction of cross potent	180
St. Virgin Blachernitissa type coins – Bagrat IV's first emission	181
St. Virgin Blachernitissa type coins – Bagrat IV's second emission	182
St. Virgin Blachernitissa type coins – Giorgi II's first emission	183
St. Virgin Blachernitissa type coins – Giorgi II's second emission	184
St. Virgin Blachernitissa type coins – Giorgi II's third emission	185
St. Virgin Blachernitissa type coins – David IV's first emission	186
St. Virgin Blachernitissa type coins – David IV's second emission	187
David IV's copper coin, type – king in Imperial coat	188
Scholarly commentary	189
Bibliography	195
11 th -12 th cc. Byzantine coins from Georgia	197
Georgian credit money (12th c.-the 20s of 13th c.)	203
Issues of Demetre I	203
Issue of David V	204
Issues of Giorgi III with Asomtavruli letter	205
Coins of Giorgi III – king with falcon on hand	205
Coins of Giorgi III and Tamar	207
Coins of queen Tamar with her signature	207
Coins with the legend “Tamar the queen”	209
Coins of Tamar and David with the “Bagrationi family badge”	209
Coins of Giorgi IV with the legend “Giorgi, son of Tamar”	211
Coins of Giorgi IV with the legend “Of king Giorgi...lord of the Javakhs”	212
Coins of Giorgi IV – king in Imperial dress	212
The “regularly” struck copper coins of Rusudan	213
Scholarly commentary	214
Bibliography	222
Circulation of the 12 th c.-early 13 th c. foreign coins in Georgia	223
Coins of the Georgian kings in the 13th-14th cc.	226
Silver coins of Rusudan with the effigy of Christ	226
David Narin's copper coins with one Asomtavruli letter inscribed into another	227
Silver coins of David Narin with the depiction of a horseman	228
Silver issues of 1252-1255 of David Ulugh “Bagrationi”	229
Copper coins of David Ulugh with the depiction of a horseman	231
Copper coins of Demetre II with the “Bagrationi family badge”	232
Silver coins of David VIII with the Christian prayer	233
Copper coins of David VIII with the “Bagrationi family badge”	234
Coins of Vakhtang III with the Christian prayer	235
Copper coins of Vakhtang III with the monograms	236
Coins of Giorgi VII with the “depiction of an open eye”	237
Silver coins of Giorgi VII and Ahmad Jalā'ir	238
Scholarly commentary	240
Mongol occupation coins	252
Overstruck copper coins of Jalāl al-Din	252


Anonymous dirhems with the depiction of bow	253
Dirhems of Ulus(h) Bek with the depiction of a hunting horseman	253
Anonymous dirhems with the depiction of six-pointed star	254
Coins of Mangu Qā'ān	255
“Qā'ānic”	256
Georgian-Hulaguid coins	257
Post-reform issues of the Hulaguids	258
Money of the Juchids	259
Money of the Jala'irids	260
Scholarly commentary	261
Bibliography	270
Imported coins of the 13 th -14 th cc. found in East Georgia	271
Western Georgian money of the 13th-15th cc.	277
Coins with the effigy of two Davids	277
Kirmaneuli tetri, issues with the name of Manuel	277
Kirmaneuli tetri, issues with the name of John	279
Kirmaneuli tetri, issues with “Emperor in three-arched stemma”	282
Kirmaneuli tetri, issues with Emperor’s bust	283
Kirmaneuli tetri, issue with Asomtavruli letters	284
Kirmaneuli tetri, Vamek’s money with St. Eugenius’ effigy	285
Scholarly commentary	286
Bibliography	291
Circulation of 13 th -15 th cc. foreign coins in Western Georgia	292
Coins of the Georgian kings and princes in the 15th-16th cc.	294
Coins of Konstantine I	294
Coins of Alexandre I	294
Coins of Vakhtang IV with the Asomtavruli legends	295
Coins of Vakhtang IV with the depiction of animal	296
Coins of Giorgi VIII with the title “King of the Kings”	296
Coins of Giorgi VIII with the title “king”	297
Coins of Bagrat VI	298
Coins of atabeg Kvarkvare	298
Coins of Konstantine II	299
Coins of David X	301
Coins of Bagrat, king of Imereti	301
Coins of Giorgi, king of Imereti. I type	301
Coins of Giorgi, king of Imereti. II “type”	302
Coins of Giorgi, king of Imereti. III type	303
Imitations to the bistis of shah Tahmasp	304
Scholarly commentary	305
Bibliography	315
15 th c. foreign money from East Georgia	317
16 th c. foreign money from Georgia	319

ჯგუფი	ქართულ-ბიზანტიური მონეტები
ტიპი	დავით III კურაპალატის მონეტები ჭემმარიტი ჯვრის გამოსახულებით
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი.</p> <p>რემედიუმი: ნახევარი დრამა (?) 2,1 გრ., მილიარისი/დრამა 3,05-3,5 გრ.</p> <p>ნახევარი დრამისთვის d=22,9 მმ., მილიარისისთვის d≈23/24 მმ.</p> <div style="text-align: center;">  </div> <p>შუბლი: ორსტრიქონიანი ქართული დაქარაგმებული ასომთავრული ზედწერილი: ⴗⴓⴓⴗ/ⴑⴎ (ქრისტე, შეიწყალე დავით).</p> <p>ზურგი: ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული ჭემმარიტი ჯვარი, რომლის ტოტებს შუა მოთავსებულია ოთხი ასომთავრული ნიშანი – ⴗⴓⴓⴗ (კურაპალატი).</p>
ზარაფხანა	ოლთისი.
ნომინალი	ნახევარი დრამა (?), მილიარისი/დრამა.
თარიღი	979 წ.
კოლექცია	ბერლინის მუზეუმი – 1 ცალი; სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟი – 1 ცალი; შვერინის მუზეუმი – 1 ცალი.


ჯგუფი	ქართულ-ბიზანტიური მონეტები
ტიპი	ვლადიმერის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – ბაგრატ IV-ის პირველი ემისია
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი. რემედიუმი: 1,47-2,2 გრ. d=23/24-27/28 მმ.</p> <div data-bbox="630 537 1165 1355" data-label="Image"> </div> <p>შუბლი: ორმაგი წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული ვლადიმერის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე შარავანდედი ადგას. თავს ირგვლივ ბერძნული ზედწერილია: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი.</p> <p>ზურგი: მონეტის კიდეებზე, წერტილოვანი რკალის შიგნით, ქართული ასომთავრული ზედწერილია: 𐌕𐌆𐌔𐌕𐌆𐌔𐌕𐌆𐌔𐌕𐌆𐌔𐌕 (ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე). ცენტრში, ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული, სამსტრიქონიანი წარწერა: 𐌖𐌆𐌒𐌕/𐌆𐌆𐌆𐌆𐌆𐌆𐌆𐌆𐌆𐌆 (და ნოველისიმოსი).</p>
ზარაფხანა	ქუთაისი.
ნომინალი	თეთრი.

თარიღი	1055 წ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 1 ცალი, გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №15630; სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟი – 1 ცალი, №14217; მოსკოვის ისტორიული მუზეუმი – 1 ცალი, №551556; სოხუმის მუზეუმი – 9 ცალი, №№83/134-83/135, №№83/137-83/143.


ჯგუფი	ქართულ-ბიზანტიური მონეტები
ტიპი	ვლადიმერის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – ბაგრატ IV-ის მეორე ემისია
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. რემედიუმი: 1,2-2,23 გრ. d=24-27/28 მმ. 

	 <p>შუბლი: ორმაგი წერტილოვანი ან ხაზოვანი რკალით გარშემოვლებული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე შარავანდედი ადგას. თავს ირგვლივ ბერძნული ზედწერილია: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი.</p> <p>ზურგი: მონეტის კიდეებზე, წერტილოვანი რკალის შიგნით, ქართული ასომთავრული ზედწერილია: ჟრტუჟქცქცხცქჟ (ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე). ცენტრში, ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული, სამსტრიქონიანი წარწერა: ოსს/ოქსს/ქსს (და სევასტოსი).</p>
ზარაფხანა	ქუთაისი.
ნომინალი	თეთრი.
თარიღი	1068/69 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 2 (?) ცალი, ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №№1713-1714 (?); სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟი – 1 ცალი, №14218; მოსკოვის ისტორიული მუზეუმი – 3 ცალი, №№551557-551559; სოხუმის მუზეუმი – 22 ცალი, №83/136, №№83/144-83/164.

ჯგუფი	ქართულ-ბიზანტიური მონეტები
ტიპი	ვლაქერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – გიორგი II-ის პირველი ემისია
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. რემედიუმი: 1,1-2,15 გრ. d=21/26-27/29 მმ.

	 <p>შუბლი: წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. შარავანდედის შიგნით ოთხი წერტილისგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი, ხანდახან, ΜΡ ΘΥ – დედა ღვთისა.</p> <p>ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: ოქრთუღრქფქხცნჯცქჟცჟ (ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე). ცენტრში, სამ სტრიქონად: ოც/ჩხსღ/შსღ (და ნოველისიმოსი).</p>
ზარაფხანა	ქუთაისი.
ნომინალი	თეთრი.
თარიღი	1073 წ.
კოლექცია	მოსკოვის ისტორიული მუზეუმი – 1 ცალი, №555160; სოხუმის მუზეუმი – 10 ცალი, №№83/165-83/174.

ჯგუფი	ქართულ-ბიზანტიური მონეტები
ტიპი	ვლაქერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – გიორგი II-ის მეორე ემისია
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი.</p> <p>რემედიუმი: ≈1,21-2,03 გრ.</p> <p>d≈24/25-27,2/27,8 მმ.</p> 

	<div style="text-align: center;">  </div> <p>შუბლი: წერტილოვან ან ორმაგ წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. შარავანდედის შიგნით ოთხი წერტილისგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი. ზოგიერთ ეგზემპლარზე მას ცვლის: ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙΚΑ – დედა ღვთისა ვლაქერნის.</p> <p>ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: ἸΩΑΝΝΗΝΑ ΣΑΧΕΛΟΒΙΣ ΣΑΡΤΑΒΕΛΟΣ ΜΟΥΣΕΟΥΜΙ (ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე). ცენტრში, სამსტრიქონად: ΘΣ/ΣΓΓΣ/ΕΩΣΓ (და სევასტოსი).</p>
ზარაფხანა	ქუთაისი.
ნომინალი	თეთრი.
თარიღი	1074 წ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 6 (?) ცალი, გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №№12099-12100, №№12382-12383, ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №1628 (?), №2893 (?); პარიზის მედლების კაბინეტი – 1 ცალი; სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟი – 3 ცალი, №8235, №№14219-14220; მოსკოვის ისტორიული მუზეუმი – 15 ცალი, №№551561-551565, №№551567-551570, №№551618-551623; სოხუმის მუზეუმი – 2 ცალი, №№83/175-83/176; უცნობია – 1 ცალი.

ჯგუფი	ქართულ-ბიზანტიური მონეტები
ტიპი	ვლაქერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – გიორგი II-ის მესამე ემისია
აღწერა, ფოტო	ვერცხლი.


რემედიუმი: ნახევარი თეთრი $\approx 0,43-0,99$ გრ., თეთრი $\approx 1,01(?) - 1,94$ გრ.
 ნახევარი თეთრისთვის $d \approx 20/22-25/26$ მმ.,
 თეთრისთვის $d \approx 22/25-26/7$ მმ.




შუბლი: წერტილოვან ან ორმაგ წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაცქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების გვერდებზე ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი. ზოგიერთ ეგზემპლარზე მას ცვლის: ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙΚΑ – დედა ღვთისა ვლაცქერნის.

ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით

	შესრულებულია ზედწერილი: ⴓⴌⴑⴒⴓⴔⴕⴖⴗⴘⴙⴚⴛⴜⴝⴞⴟⴠⴡⴢⴣⴤⴥ⴦ⴧ⴨⴩⴪⴫⴬ⴭ⴮⴯ⴰⴱⴲⴳⴴⴵ (ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე). ცენტრში, სამსტრიქონად: ⴌⴍ/ⴒⴓⴔⴕ/ⴐⴑⴒⴓ (და კესაროსი).
ზარაფხანა	ქუთაისი.
ნომინალი	ნახევარი თეთრი, თეთრი.
თარიღი	1075-1089 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 13 ცალი, გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №№12101-12104, №№12384-12388, №№13077-13080; სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟი – 3 ცალი, №9459, №№14221-14222; პარიზის მედლების კაბინეტი – 2 ცალი; ბრიტანეთის მუზეუმი – 1 ცალი; მოსკოვის ისტორიული მუზეუმი – 53 ცალი, №551566, №№551571-551617, №№551624-551628; სოხუმის მუზეუმი – 1 ცალი, №79-87/1; დ. ლანგის კოლექცია – 1 ცალი.

ჯგუფი	ქართულ-ბიზანტიური მონეტები
ტიპი	ვლადიმერის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – დავით IV-ის პირველი ემისია
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. რემედიუმი: 0,43-0,73 გრ. d=22/23-25/26 მმ.  <p>შუბლი: წერტილოვან რკალში ჩასმული ვლადიმერის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდა: MP – ΘΥ – დედა ღვთისა.</p> <p>ზურგი: მონეტები დაზიანებულია, წრიული ქართული ასომთავრული წარწერიდან იკითხება მხოლოდ ნაწილი: ...ⴌⴑⴒⴓⴔⴕⴖⴗⴘⴙⴚⴛⴜⴝⴞⴟⴠⴡⴢⴣⴤⴥ⴦ⴧ⴨⴩⴪⴫⴬ⴭ⴮⴯ⴰⴱⴲⴳⴴⴵ... (ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე). ცენტრში – ⴌⴍ/ⴒⴓⴔⴕ/ⴐⴑⴒⴓ (და სევასტოსი)</p>
ზარაფხანა	ქუთაისი.
ნომინალი	ნახევარი თეთრი.

თარიღი	1089-1099 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 2 ცალი, გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №22446, ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №2853; სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, მესტია – 1 ცალი.

ჯგუფი	ქართულ-ბიზანტიური მონეტები
ტიპი	ვლადკერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – დავით IV-ის მეორე ემისია
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი. რემედიუმი: 0,56-0,87 გრ. d=23/24-26/28 მმ.</p>  <p>შუბლი: წერტილოვან რკალში ჩასმული ვლადკერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდა: MP – ΘΥ – დედა ღვთისა.</p> <p>ზურგი: წრიული ქართული ასომთავრული ზედწერილი სრული სახით არ არის შემორჩენილი: +ⵀⵔⵎⵔⵎⵔⵎⵔⵎⵔⵎⵔ... (ქრისტე, ადიდე</p>

ნომინალი	ფოლისი.
თარიღი	1118-1125 წწ.
კოლექცია	კონკრეტული ეგზემპლარი დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში.

სამეცნიერო კომენტარი	<p>ქართულ-ბიზანტიური მონეტები სამონეტო ჯგუფის სახელია. მასში ერთიანდება დავით III კურაპალატის მონეტები ჭეშმარიტი ჯვრის გამოსახულებით, ვლადიმერის ღვთისმშობლის ტიპის მონეტები – ბაგრატ IV-ის პირველი და მეორე ემისიები, გიორგი II-ის პირველი, მეორე და მესამე ემისიები, და დავით IV-ის პირველი და მეორე ემისიები. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება დავით IV-ის სპილენძის მონეტა, ტიპი – მეფე საიმპერატორო ტანსაცმელში.</p> <p>ბიზანტიური სტილის ქართული მონეტების მოჭრა იმიერტაოს მფლობელმა დავით III კურაპალატმა დაიწყო. ამ მონეტების აღწერილობა ასეთია:</p> <p>შუბლი: ორსტრიქონიანი ქართული დაქარაგმებული ასომთავრული ზედწერილი: ⲠⲚⲞⲩ (ქრისტე, შეიწყალე დავით).</p> <p>ზურგი: ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული ჭეშმარიტი ჯვარი, რომლის ტოტებს შუა მოთავსებულია ოთხი ასომთავრული ნიშანი – ⲠⲚⲞⲩ (კურაპალატი).</p> <p>დავით III კურაპალატის მონეტები მხოლოდ ოთხი ცალი რაოდენობითაა ცნობილი. მათი ემისიის დასათარიღებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დადგენას, თუ რომელ წელს ებოძა მას ბიზანტიური საპატიო ტიტული – კურაპალატი. ამასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დავითს ეს ტიტული, სავარაუდოდ, მიენიჭა იმ დახმარების სანაცვლოდ, რომელიც მან აღმოუჩინა იმპერატორ ბასილ II-ს ბარდა სკლიაროსის აჯანყების ლიკვიდაციაში. ეს მოხდა 979 წელს. ჩვენი აზრით, ზემოთ აღწერილი მონეტების ემისია ზუსტად ამ წელს უნდა განხორციელებულიყო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს იქნებოდა ამ ღირშესანიშნავი ისტორიული მომენტის საუკეთესო მემორიალი, ხოლო მეორეც, ამის შემდეგ სულ მალე დავითი იმპერატორის მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდა და „ღალატისთვის“ დიდი კომპენსაციის გაღებაც მოუხდა.</p> <p>ოთხი შემორჩენილი ეგზემპლარიდან არც ერთი არ არის აღმოჩენილი საქართველოში. ყველა მათგანი ნაპოვნია მის საზღვრებს გარეთ, კერძოდ: ერთ-ერთი მათგანი იპოვეს 1859 წელს ქალაქ შვანის მახლობლად (გერმანია), მეორე – 1878 წელს ოლონეცკის გუბერნიაში –</p>
----------------------	--

ლოდინოეპოლში (ამჟამად სანკტ-პეტერბურგის ოლქი), მესამე – 1900-იან წლებში ვილაში, თანამედროვე ესტონეთის ფარგლებში, მეოთხე კი – შვედეთში.

რა გზით უნდა მოხვედრილიყო დავით კურაპალატის მონეტები ასე შორს საქართველოდან? ამასთან დაკავშირებით შეიძლება ორი მოსაზრების გამოთქმა:

დავითის მონეტები ტიპოლოგიურად ძალიან ახლოს დგას სინქრონულ ბიზანტიურ ნუმიზმატიკურ ძეგლებთან, კერძოდ, ემს-გავსება ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025 წწ.) მონეტას (უფრო ადრეული ბიზანტიური ემისიებიც გასათვალისწინებელია პროტოტიპის კუთხით) და მისივე ეკვივალენტურია წონით და სინჯითაც. ასე რომ, ქართულ მონეტებს თამამად შეეძლო ბრუნვა ნებისმიერ რეგიონში ბიზანტიური მონეტების პარალელურად. საქართველოს ამ დროს ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობის გარდა, მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობაც აკავშირებდა. სხვა ქვეყნის ვაჭრებთან ერთად კონსტანტინოპოლის ხშირი სტუმრები იყვნენ ქართველი ვაჭრებიც, რომლებმაც იქ, ცხადია, თან ჩაჰქონდათ ქართული ფული. ასევე ხშირი სტუმრები იყვნენ ბიზანტიის იმპერიისა რუსი ვაჭრებიც, რომლებიც აქ დნეპრისა და შავი ზღვის საშუალებით ჩამოდიოდნენ და ჩამოჰქონდათ ბეწვეული, ცვილი და სხვ., ჩამოჰყავდათ მონები.

შესაძლებელია, სავაჭრო ოპერაციები აქვე ახვედრებდა რუს და ქართველ ვაჭრებს, ან ამ ოპერაციების დროს ბიზანტიურ მონეტებთან ერთად გამოიყენებოდა ქართული ფულიც, როგორც ტოლფასოვანი ერთეული, და შემდეგ რუსმა ვაჭრებმა გაიტანეს ის ჩრდილოეთით.

უფრო რეალური უნდა იყოს მეორე ჰიპოთეზა: როგორც ცნობილია, კიევის მთავრის სვიატოსლავის დროს (გარდაიცვალა 972 წ.) კიევის რუსეთის ფარგლებში მოექცა დღევანდელი ტამანის ნახევარკუნძულის ტერიტორია – ტმუტარაკანი. სწორედ ტმუტარაკანის საშუალებით ხორციელდებოდა ძველი რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობანი საქართველოსთან. ვარაუდობენ, რომ აქედან უნდა შესულიყო რუსეთში ბზა და სხვა საქონელი, რომელთა ნაშთები მიკვლეულია ძველი რუსეთის ქალაქების (მაგ., ნოვგოროდის) არქეოლოგიური გათხრების დროს. დასავლეთ საქართველოდან უნდა შესულიყო ტმუტარაკანში იქ აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტების გარკვეული ნაწილი, რომელიც შემდეგ დნეპრით მიემართებოდა ჩრდილოეთისკენ და ბალტიის ზღვის სანაპიროს აღწევდა. აქედან მოხვდა, ალბათ, დავით III კურაპალატის მონეტებიც ზემოთ აღნიშნულ ადგილებში. ამაზე თითქოს მიუთითებს აგრეთვე ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული X-XI საუკუნეების ტმუტარაკა-

ნის მონეტა, რომელიც ბიზანტიური მილიარისების სრული მიბადვითაა მოჭრილი. მართალია, ეს მონეტა უპასპორტოა, მაგრამ არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ის სადმე ახლომახლო მიდამოებში უნდა იყოს ნაპოვნი, რადგან მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, როგორც ამას სპეციალისტების ხანგძლივი დაკვირვება მოწმობს, ძირითადად თავს იყრის ლოკალური აღმოჩენები. სხვა არხებით ბორჯომში ტმუტარაკანის იშვიათი მონეტის მოხვედრა ძნელი წარმოსადგენია.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი ნუმიზმატიკური მასალების შუქზე ვივარაუდოთ საქართველოსა და რუსეთის კონტაქტები ტმუტარაკანის მეშვეობით X-XI საუკუნეებში. დავით III კურაპალატის მონეტების ექსპორტი კი ევროპაში, ალბათ, რუსი ვაჭრების დამსახურებაა.

ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.), გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) და დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მონეტების ნაწილი მოჭრილია იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) მონეტების მიხედვით, რომელთა შუბლზე ვლახერნის ღვთისმშობელია გამოსახული.

XI საუკუნის ქართული მონეტებისთვის დამახასიათებელია წონის კლების აშკარა ტენდენცია. ბაგრატ IV-ის მმართველობის დროს შემოიღეს ახალი სტანდარტი, ბიზანტიური მილიარისის 2/3, ანუ თეთრი. აღნიშნული ტერმინი XI საუკუნის დოკუმენტებში უკვე დაფიქსირებულია. თეთრი ნომინალია 1,4-2,2 გრ. რემედიუმით, მისი განაყოფია ნახევარი თეთრი.

ბაგრატ IV-ის 40 მონეტაა დღეისთვის ცნობილი და ბიზანტიური ტიტულების მიხედვით ისინი ორ ემისიად იყოფა. პირველის აღწერილობა ასეთია:

შუბლი: ორმაგი წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული ვლახერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე მარავანდედი ადგას. თავს ირგვლივ ბერძნული ზედწერილია: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი.

ზურგი: მონეტის კიდეებზე, წერტილოვანი რკალის შიგნით, ქართული ასომთავრული ზედწერილია: ԿՂԾԴԿԸԸԸԸԸԸԸԸԸ (ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე). ცენტრში, ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული, სამსტრიქონიანი წარწერა: ԾԸԸԸ/ԴԸԸԸԸԸ/ԾԸԸԸ (და ნოველისიმოსი).

ამ მონეტების დათარიღება ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოებით დ. ლანგს ეკუთვნის. მისი ვარაუდის თანახმად, ბაგრატმა ნოველისიმოსობა მიიღო მას შემდეგ, რაც ლიპარიტ ბაღვაშისგან გამწარებულმა

საშველად ბიზანტიის იმპერატორს მიმართა და კონსტანტინოპოლში ჩავიდა. ეს მოხდა 1054 წელს. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, 1057 წლამდე ბაგრატ IV იმპერიის დედაქალაქში იმყოფებოდა. მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში ჩასვლის და ყოფნის სხვა თარიღიც. მაქს. ბერძნიშვილი, დაეყრდნო რა ერთ-ერთ ბერძნულ წყაროს, თვლიდა, რომ ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა არა 1054-1057 წლებში, არამედ 1052-1055 წლებში. ეს თარიღი უთუოდ ანგარიშგასაწევია. 1060 წელს კი ბაგრატს თურქ-სელჩუკების თავდასხმის საშიშროებასთან დაკავშირებით ახალი ტიტული – სევასტოსობა უბოძეს. ამრიგად, დ. ლანგის მიხედვით, ბაგრატ IV-ის პირველი ემისიის მონეტები უნდა დათარიღდეს 1054/57-1060 წლებით, მაგრამ, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაგრატი კონსტანტინოპოლში, სავარაუდოა, 1055 წლამდე დარჩა, უფრო მართებულად გვეჩვენება მონეტების დათარიღება 1055/56-1060 წლებით. შეიძლება ამ თარიღის კიდევ უფრო დაკონკრეტებაც. ლიპარიტ ბაღვაშს ბაგრაციონთა სამეფო დომენი ამიერტაოში 1055 წლის განმავლობაში ეკავა, რაც გახდა იმის საფუძველი, რომ ბაგრატ IV-მ „ქართველთა მეფის“ ტიტული დაკარგა. ის მონეტებზე ფიქსირდება მხოლოდ „აფხაზთა მეფის“ ტიტულით, შესაბამისად, ბაგრატ IV-ის პირველი ემისია უნდა დათარიღდეს 1055 წლით.

ჩვენამდე მოღწეული ბაგრატ IV-ის მეორე ემისიის მონეტები ზემოთ აღწერილისგან იმით განსხვავდება, რომ სათანადო ადგილას „ნოველისიმოსის“ ტიტული შეცვლილია „სევასტოსით“. ამ მონეტების აღწერილობა ასეთია:

შუბლი: ორმაგი წერტილოვანი ან ხაზოვანი რკალით გარშემოვლებული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე შარავანდედი ადგას. თავს ირგვლივ ბერძნული ზედწერილია: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი.

ზურგი: მონეტის კიდეებზე, წერტილოვანი რკალის შიგნით, ქართული ასომთავრული ზედწერილია: ԿՂՇԴԿԸԸԲԻԽԵԿԸՇԲԴ (ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე). ცენტრში, ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული, სამსტრიქონიანი წარწერა: ԾՆՆ/ԴԴԸՆ/ԲԸՆԴ (და სევასტოსი).

ბაგრატ IV-ის მეორე ემისიის დათარიღებისთვის სიმპტომატურია 1068 წელს ალფ-არსლანის მიერ ქართლის (სხვა მხარეებთან ერთად, ამიერტაოს) ხანმოკლე ოკუპაცია, მასთან დაკავშირებული ნორმალური საქონელბრუნვის შემცირება, დისტრიბუციული გაუგებრობა

და ახალი ემისიის საჭიროება – ვთვლით, რომ 1068, უფრო სწორედ, 1068/69 წლები მონეტის მოჭრის თარიღად მაინცდამაინც წმინდა ჰიპოთეტური მომენტი არ უნდა იყოს.

თურქ-სელჩუკთა გააქტიურებამ მცირე აზიაში ბიზანტიის იმპერატორთა მიერ საკარისკაცო ტიტულების გაცემის წესზედაც მოახდინა გავლენა. ქართველ მეფეებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით ისინი ახლა უფრო ადვილად გასცემდნენ ადრე ძნელად მისაწვდომ ტიტულებს. ამან განსაკუთრებით თავი იჩინა გიორგი II-ის ტიტულატურაში. მას თანმიმდევრობით მინიჭებული ჰქონდა კურაპალატის, ნოველისიმოსის, სევასტოსის და კესაროსის პატივიც კი.

გიორგი II-ის ჩვენამდე მოღწეული მონეტები (მათი საერთო რიცხვი 100 ცალს აღემატება) ქართული ლეგენდების მიხედვით სამ ემისიას ქმნის. პირველის აღწერილობა ასეთია:

შუბლი: წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. შარავანდედის შიგნით ოთხი წერტილისგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი, ხანდახან, ΜΡ ΘΥ – დედა ღვთისა.

ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: ԿՂԾՂԴԿԲԷԽԸԾԾԿԻԸԻՆԸԾԲԴ (ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე). ცენტრში, სამ სტრიქონად: ԾԸ/ԻՆԸԴ/ՄԸԴ (და ნოველისიმოსი).

მეორე და მესამე ემისიის მონეტები ზემოაღწერილისგან განსხვავდება იმით, რომ ნოველისიმოსი შეცვლილია სევასტოსით და კესაროსით. იცვლება აგრეთვე ავერსის ბერძნული წარწერაც. ზემოხსენებულ ლეგენდასთან ერთად მონეტებზე გვხვდება სხვა ზედწერილიც: ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙΚΑ – დედა ღვთისა ვლაქერნის.

პირველი ორი სამონეტო ემისია 1072-1081, ხოლო მესამე – 1081-1089 წლებით უნდა დათარიღდეს (თითქოს 1081 წლიდან უნდა იყოს გიორგი II კესაროსი). მაგრამ ამ კუთხით კიდევ შეიძლება მსჯელობა. გიორგის და გრიგოლ ბაკურიანის ძის rendez-vous საიმპერატორო იურისდიქციის მხარეებზე საქართველოს მეფის კონტროლს აწესებს. ხომ არ არის ასეთი პოლიტიკური კონიუნქტურა ხელსაყრელი ბაზისი კესაროსის ტიტულის რეცეპციისათვის?! შემდეგ კი „... განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს, და წარვიდეს“. ე.ი. გიორგი კესა-

როსია უკვე 1074 (?) წელს. 1072 წლის მიწურულს გარდაიცვალა ბაგრატ IV, გიორგი ამ დროს კურაპალატი. პირველი ემისია უკანასკნელს უფრო 1073 წელს უნდა განეხორციელებინა, მეორე – 1074 წელს, ამავე წელს ის ხდება კესაროსი. მესამე ემისიის ქრონოლოგიური ჩარჩოები ზოგადია – 1075-1089 წლები.

გიორგი II-ის მეორე ემისიის აღწერილობა ასეთია:

შუბლი: წერტილოვან ან ორმაგ წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. შარავანდედის შიგნით ოთხი წერტილისგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი. ზოგიერთ ეგზემპლარზე მას ცვლის: ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙΚΑ – დედა ღვთისა ვლაქერნის.

ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: Ἡ ΠΑΡΜΕΝΙΤΙΚΗ (ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე). ცენტრში, სამსტრიქონად: ὉΣ/ΝΥΝ/ΕΩΣ (და სევასტოსი).

გიორგი II-ის მესამე ემისიის აღწერილობა ასეთია:

შუბლი: წერტილოვან ან ორმაგ წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების გვერდებზე ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: Η ΑΓΙΑ ΘΕΟΤΟΚΟΣ – წმინდა ღვთისმშობელი. ზოგიერთ ეგზემპლარზე მას ცვლის: ΜΡ ΘΥ Η ΒΛΑΧΕΡΝΙΤΙΚΑ – დედა ღვთისა ვლაქერნის.

ზურგი: შერწყმულ წერტილოვან რკალს შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: Ἡ ΠΑΡΜΕΝΙΤΙΚΗ (ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე). ცენტრში, სამსტრიქონად: ὉΣ/ΝΥΝ/ΕΩΣ (და კესაროსი).

დავით IV-ის „ნუმიზმატიკური მოღვაწეობა“ ემთხვევა ისეთ გლობალურ ეკონომიკურ მოვლენას აღმოსავლეთში, როგორც არის „ვერცხლის კრიზისი“. შემთხვევითი როდია შემდეგი ფაქტი: თუ დავით კურაპალატის მონეტა მაგ. 3,5 გრ. იწონის, ბაგრატ IV-ის – მაგ. 1,75 გრ., დავით აღმაშენებლის მონეტის წონა 0,43-0,87 გრ. შორის მერყეობს.

მონეტების სინჯის და წონის დაცემა მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი. მსგავს პროცესს ადგილი ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, რაც, სპეციალისტების აზრით, ე.წ. „ვერცხლის კრიზისის“ შედეგია. ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ ეს კრიზისი აღმოსავლურ ქვეყნებში ვერცხლის საბადოების გამოფიტვის შედეგი უნდა ყოფილიყო, ზოგი მეცნიერი კი ამ ფაქტს უკავშირებს აღმოსავლური მონეტების მასობრივ გაზიდვას დასავლეთის ქვეყნებსა და ჩრდილოეთში. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი ვერსია „ვერცხლის კრიზისის“ გამოწვევისა დამაჯერებელი არ არის.

იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ XII საუკუნის პირველ მეოთხედის საქართველოს ხაზინა არ იყო ღარიბი და ამ სიმდიდრის ერთ-ერთ წყაროს გარეშე მტრებთან წარმატებით ბრძოლა წარმოადგენდა. შემთხვევითი არ არის ის, რომ თითქმის ყველა გამარჯვების აღნიშვნის შემდეგ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, რომ ქართველებმა „აღიღეს ტყუე და ალაფი ურიცხვ“, ან აიღო დავით აღმაშენებელმა „მარვანს ქალაქი ყაბალა და ალავსო სამეფო თვისი ოქროთა და ვერცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა“ და სხვ. მაგრამ ეს ურიცხვი ოქრო და ვერცხლი, როგორც ამას ჩვენამდე მოღწეული მასალა მოწმობს, არ ხმარდებოდა მონეტების წონის და სინჯის გაუმჯობესებას.

ვიდრე დავით აღმაშენებლის სახელით მოჭრილ მცირერიცხოვანი მონეტების აღწერაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ის უკანასკნელი ქართველი მეფეა, რომელიც ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს ატარებდა. 1085 წელს დავითი მეფედ და სევასტოსად იხსენიება. ასევეა მოხსენიებული ის დაახლოებით 1089-1091 წლებში წყაროსთავის სახარების წარწერაში. ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით კი დავითი პანიპერსევასტოსიც არის. მისი სხვა ბიზანტიური ტიტულების შესახებ ცნობები არ არის შემორჩენილი. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელმა, პოლიტიკურ არენაზე მიღწეული წარმატებების შემდეგ, უარყო ეს საკარისკაცო ტიტულები. ყოველ შემთხვევაში, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დროს (1103 წ.) ის ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს უკვე აღარ ატარებს.

ჩვენამდე მოღწეული დავით აღმაშენებლის მცირერიცხოვანი მონეტები (რვა ცალი) სამ ემისიად იყოფა. პირველი ემისიის მონეტები თავიდან ბოლომდე იმეორებს ბაგრატ IV-ის და გიორგი II-ის მონეტებს, შეცვლილია მხოლოდ რევერსის ქართული ზედწერილი. ვიძლევიტ მათ აღწერილობას:

შუბლი: წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების

მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდა: MP – ԹԿ – დედა ღვთისა.
ზურგი: მონეტები დაზიანებულია, წრიული ქართული ასომთავრული წარწერიდან იკითხება მხოლოდ ნაწილი: ...**ᲠᲗᲘᲙ**... (ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე). ცენტრში – **ᲗᲘᲙᲚᲛᲞ** (და სევასტოსი).

დავით IV-ის მეორე ემისიის მონეტების ზურგზე ჯვარია გამოსახული, ხოლო ვლადიკერნის ღვთისმშობლის გამოსახულება შენარჩუნებულია. მათი აღწერილობა ასეთია:

შუბლი: წერტილოვან რკალში ჩასმული ვლადიკერნის ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული ლეგენდა: MP – ԹԿ – დედა ღვთისა.

ზურგი: წრიული ქართული ასომთავრული ზედწერილი სრული სახით არ არის შემორჩენილი: **ⴌⴓⴑⴒⴓⴑⴓⴑⴓⴑ**... (ქრისტე, ადიდე დავით, მეფე და სევასტოსი (?)). მონეტის ცენტრში – ჯვარი.

საქართველო იმდენად იყო ინტეგრირებული ბიზანტიასთან, რომ აქაც და იქაც უნიფიცირებული სამონეტო ტიპები იჭრებოდა მართლმადიდებელი ინტეგრაციული სიმბოლიკით დატვირთული – „ძელი ცხორებისა“ (ჭეშმარიტი ჯვარი), ვლადიკერნის ღვთისმშობელი და ა.შ. რაც შეეხება ლეგენდებს, აქ პრინციპული განსხვავებაა. ბერძნული წარწერები უმეტესად ასეთია: უფალო, მეოხ ეყავ...; ღვთისმშობელო, მეოხ ეყავ...; ჯვარო, დაიფარე... ქართული ალტერნატივა ასეთია – ქრისტე, შეიწყალე...; ქრისტე, ადიდე...

ვლადიკერნის ღვთისმშობელი შემდეგი იმპერატორების დენომინაციებზეა:	ვლადიკერნის ღვთისმშობელი შემდეგი ქართველი მეფეების ვერცხლის ფულებზეა:
1. კონსტანტინე IX მონომახი (1042-1055 წწ.) – 2/3 მილიარისი	1. ბაგრატ IV. I ემისია. თეთრი (2/3 მილიარისი). 1055 წ. ქუთაისი. მეფე და ნოველისიმოსი
2. თეოდორა (1055-1056 წწ.) – 2/3 მილიარისი	2. ბაგრატ IV. II ემისია. თეთრი. 1068/69 წწ. ქუთაისი. მეფე და სევასტოსი

3. მიხაელ VI სტრატიოტიკი (1056-1057 წწ.) – 2/3 მილიარისი	3. გიორგი II. I ემისია. თეთრი. 1073 წ. ქუთაისი. მეფე და ნოველისიმოსი
4. კონსტანტინე X დუკა (1059-1067 წწ.) – 1/3 მილიარისი	4. გიორგი II. II ემისია. თეთრი. 1074 წ. ქუთაისი. მეფე და სევასტოსი
5. რომან IV დიოგენი (1068-1071 წწ.) – 1/3 მილიარისი	5. გიორგი II. III ემისია. თეთრი და ნახევარი თეთრი (1/3 მილიარისი). 1075-1089 წწ. ქუთაისი. მეფე და კესაროსი
6. მიხაელ VII დუკა (1071-1078 წწ.) – 1/3 მილიარისი	6. დავით IV. I ემისია. ნახევარი თეთრი. 1089-1099 წწ. ქუთაისი. მეფე და სევასტოსი
7. ნიკიფორე III ბოტანიატი (1078-1081 წწ.) – 2/3 მილიარისი	7. დავით IV. II ემისია. ნახევარი თეთრი. 1089-1099 წწ. ქუთაისი. მეფე და . . . ჯვარი
8. ალექსი I კომნენოსი (1081-1118 წწ.) – ტეტარტერონი	
<p>აქედან ჩანს, რომ ვლახურის ღვთისმშობლის ტიპის პრეზერვაცია არა ტრადიციულაა, არამედ ბიზანტიური თანადროული ტიპის პერმანენტული გათვალისწინება. დავით IV ბაძავს ალექსის 90-იან წლებში და შემდგომაც. მაგრამ საიდან გაჩნდა კონკრეტული ჯვარი მისი ფულის რევერსზე? ტრაპეზუნტის დუქსის, თეოდორე გაბრასის ფულებიდან. ე.ი. ნებისმიერი ბიზანტიური „რუდიმენტი“ საქართველოს სამეფოს პოლიტიკური პარტნიორია.</p> <p>ვიდრე დავით IV-ის უნიკალური სპილენძის მონეტის აღწერაზე გადავიდოდეთ, რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდეთ ზემოთ აღწერილი ნუმისმატიკური ძეგლების თარიღზე.</p> <p>სევასტოსის ტიტულით დავითი უკვე 1085 წელს იხსენიება („მეფე და სევასტოსი“). ასევეა ის წოდებული 1089-1091 წლებში. ხოლო მოგვიანებით მისთვის ახალი პატივი „პანიპერსევასტოსობაც“ უბოძებიათ; მაგრამ რუის-ურბნისის კრების დროს (1103 წ.) ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს მეფე უკვე აღარ ატარებს.</p>	

ამრიგად, დავით IV-ის პირველი და მეორე ემისია უნდა დათარიღდეს 1085-1103 ან, უფრო ზუსტად, 1089-1103 წლებით. თუმცა შეიძლება აღნიშნული ქრონოლოგიური ჩარჩოების კიდევ უფრო დავიწროება. მართლაც, დავითი ამ მონეტებზე არ იხსენიება „ქართველთა მეფის“ ტიტულით. ეს ლოგიკურია, იმიტომ, რომ 1099 წლამდე ის მთელ ქვეყანას ვერ აკონტროლებდა და იყო მხოლოდ „მეფე აფხაზთა“. 1099 წელს სიტუაცია შეიცვალა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველი და მეორე ემისია დავითმა თავისი მეფობის დასაწყისში – 1089-1099 წლებში გამოუშვა.

1957 წელს ჟურნალ Numismatic Chronicle-ში დ. ლანგმა გამოაქვეყნა ბრიტანეთის მუზეუმის კუთვნილი დავით აღმაშენებლის სპილენძის უნიკალური მონეტა. ის 1857 წელს ბრიტანეთის მუზეუმს შეუძენია ენისკილენის ლორდისგან და ასი წლის განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული მუზეუმის საცავში. მისი აღწერილობა ასეთია:

ფოლისი. წონა – 10,73 გრ.

შუბლი: საიმპერატორო ტანსაცმელში გამოწყობილი წვეროსანი დავით აღმაშენებლის გამოსახულება წელზევით პირდაპირ. მარჯვენა ხელში მას გრძელი სკიპტრა უჭირავს. მარცხენაში – სფერო, რომელიც ჯვრითაა დაგვირგვინებული. თავსამკაულის ზემო ნაწილიც ჯვრითაა დამშვენებული (სტემა, საიმპერატორო გვირგვინი). მეფეს ყელზე მძივები უკეთია. გამოსახულების მარცხნივ – ასომთავრული ოცი – დავით, მარჯვნივ – შფ – მეფე.

ზურგი: მონეტის ცენტრში თანაბარტოტებიანი ჯვრის გამოსახულება. გარშემო ქართული ასომთავრული ლეგენდა: **ქ ო ც ი შ ფ ო რ დ ა** (ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა).

მონეტის შუბლის მხარის პროტოტიპია ალექსი I კომნენოსის რეფორმის შემდგომდროინდელი ბილონის ასპრის ზურგის ტიპოლოგია. თუმცა ქართველი მეფის საიმპერიო სამოსი ფიქცია არ არის.

როგორ უნდა დათარიღდეს ეს უნიკალური მონეტა?

მონეტის მოჭრა შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავითმა 1118 წელს ლორე აიღო და გააუქმა ტაშირ-ძორაკეტის სამეფო. დავით აღმაშენებლის ტიტულში „სომეხთა მეფე“ ნიშნავს ტაშირ-ძორაკეტის მეფობას.

	<p>ბოლო ხანებში გამოჩნდა კიდევ ერთი იდენტური ცალი, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის ყალბია.</p> <p>ყველა ზემოაღწერილი ცალი, გარდა დავით III კურაპალატის მონეტებისა, ქუთაისში უნდა იყოს მოჭრილი.</p>
--	--

<p>ბიბლიოგრაფია</p>	<p>თ. აბრამიშვილი. დვირის განძი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XIX-B. თბ. 1956; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. თბ. 1965; იდუმალას განძი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXVI-B. თბ. 1970; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები (1966-1984 წწ.). თბ. 1989.</p> <p>გ. დუნდუა. ფული საქართველოში. თბ. 2003 (მეორე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა) (თ. დუნდუასთან, ნ. ჯავახიშვილთან და ა. ერისთავთან თანაავტორობით); ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006 (თ. დუნდუასთან თანაავტორობით); ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009 (ირ. ჯალაღანიასთან თანაავტორობით); დავით აღმაშენებლის სპილენძის იშვიათი მონეტა. კრ. ისტორიანი. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი. თბ. 2009.</p> <p>თ. დუნდუა. X-XII საუკუნეების ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია). ტ. 310. თბ. 1992; საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. წ. I-II. თბ. 1995; ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997; სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი. თბ. 2003; ბიზანტიური პროვინციული ნუმიზმატიკა. გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები. თბ. 2011; გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები. თეოდორე გაბრასი და დავით აღმაშენებელი. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა. თბ. 2012.</p> <p>დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკის სიახლენი. კრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966; ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969.</p>
----------------------------	--

თ. ლომოური. ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. თბ. 1938.

მ. პატარიძე. დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა მესტიის მუზეუმიდან. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია. №2 (47-B). თბ. 2010.

ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. თბ. 2006.

რ. ქებულაძე. დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XXXIX. თბ. 1987.

ნ. ქოიავა. ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) მოამბე. ტ. III. ტფ. 1938.

დ. ცინცაძე. ბაგრატ მეოთხის მონეტა. გაზ. „კომუნისტი“. 11.03.1976, № 58.

იზ. ცუხიშვილი. ბიჭვინთის ბიზანტიური მონეტები. დიდი პიტიუნტი. II. თბ. 1977.

გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII სს. საქართველოში. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №3. თბ. 1976.

Т. Я. Абрамишвили. Находка византийских золотых монет в Гурджаани. Византийский временник. Т. XIII. М. 1958; Клад монет из Двири. Византийский временник. Т. XVIII. М. 1961.

И. Л. Джалаганиа. Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв. Тб. 1979.

Т. Г. Дундуа. Грузинские монеты X-XII вв. как исторический источник. Тб. 2009; Грузинские монеты X-XII вв. как исторический источник (к истокам грузино-русских взаимоотношений). Грузинская русистика. Кн. 5. Тб. 2011.

Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика. М. 1955; Новый тип монеты Давида Строителя. Византийский временник. Т. VIII. М. 1956; Медная монета грузинского царя Давида, сына Георгия. Эпиграфика Востока. XII. М.-Л. 1958.

Р. В. Кебуладзе. Монеты Давида Курапалата в кладах западноевропейских денариев. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №2. თბ. 1970 (ვ. პოტიხთაი თანავტორობით); Клад из села Цихесулори. Нумизматический сборник. Тб. 1977.

Е. А. Пахомов. Монеты Грузии. ч. I. СПб. 1910; Монеты Грузии. ч. I-II. Тб. 1970.

С. М. Шамба. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н.э.–XIII в. н. э.). Тб. 1987.

T. Dundua. Georgia within the European Integration as Seen in Coinage. Catalogue of Georgian coins. Tb. 1999; Review of Georgian Coins with Byzantine Iconography. Numismatica e Antichità Classiche. XXIX. Quaderni Ticinesi. 2000; Georgia within the European Integration. Part 3. Byzantines and the Georgians. Tb. 2013; Georgia within the European Integration. Graeco-Roman World, Byzantine Commonwealth, Orthodox Alliance and the Georgians. Tb. 2013.

D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New York. 1955; Notes on Caucasian Numismatics. The Numismatic Chronicle (N.C.). Vol. XVII. London. 1957.

V. Langlois. Essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'à nos jours. Paris. 1860.

Iz. Tsukhishvili, G. Depeyrot. History and Coin Finds in Georgia. Late Roman and Byzantine Hoards (4th-13th cc.). Moneta, Wetteren. 2003.

<p>უცხოური ფული ქართულ სამონეტო ბაზარზე</p>	<p style="text-align: center;">XI-XII საუკუნეების ბიზანტიური მონეტები საქართველოდან</p> <p style="text-align: center;">აღმოსავლეთ საქართველო</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 1936 წელს დმანისის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ბასილ II-ისა და კონსტანტინე VIII-ის (976-1025 წწ.) სპილენძის ოთხი მონეტა. 2. 1937 წელს სოფელ უდუში (ადიგენის რაიონი) იპოვეს მათივე სპილენძის მონეტა. 3. მათივე სპილენძის მონეტა აღმოჩნდა სოფ. ფარავნის მიდამოებში. 4. 1940-იან წლებში სოფელ ნოსტეში (კასპის რაიონი) ნაპოვნია ბასილ II-ის და კონსტანტინე VIII-ის სპილენძის მონეტა. 5. 1948 წელს განძის კარის (თბილისის ისტორიული ადგილი) მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა მათივე სპილენძის მონეტა. 6. ასეთივე მონეტას მიაკვლიეს ოკამში (ახალქალაქის რაიონი) საკარმიდამო მიწის დამუშავების დროს. 7. მათივე მონეტა აღმოჩნდა სოფელ აბავრეთში (ახალქალაქის რაიონი) მიწის დამუშავების დროს. 8. 1960 წელს ბაკურიანში (ბორჯომის რაიონი) აღმოჩნდა ბასილ II-ის და კონსტანტინე VIII-ის სპილენძის მონეტა. 9. 1906 წელს ახალციხის მიდამოებში ნაპოვნ განძში კონსტანტინე VIII-ის (1025-1028 წწ.) ოქროს ხუთი მონეტა იყო. 10. 1930-იან წლებში სოფელ დვირში (ბორჯომის რაიონი) მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ქილაში მოთავსებული ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი. მთელი განძი, ერთი მონეტის გამოკლებით, ეკუთვნის ბიზანტიის სამ იმპერატორს: კონსტანტინე VIII-ს, კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) და რომანოზ IV დიოგენეს (1067-1071 წწ.). განძში 22 მონეტა ბრტყელი ტიპისაა და მაკედონიის დინასტიის წარმომადგენელს, კონსტანტინე VIII-ს ეკუთვნის. 23 ჩაღრმავებული წესით არის მოჭრილი და დუკასა და რომანოზ IV დიოგენეს განეკუთვნება, 22 ცალი – კონსტანტინე X დუკას, 1 ცალი – რომანოზ IV დიოგენეს. განძის დამარხვა სავარაუდოა XI საუკუნის 70-80-იან წლებში. 11. 1936 წელს დმანისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა რომანოზ III-ის (1028-1034 წწ.) სპილენძის მონეტა. 12. იმავე დმანისში მიაკვლიეს მიხაელ IV-ის (1034-1041 წწ.) სპილენძის 6 მონეტას.
---	---

13. იქვე აღმოჩნდა კონსტანტინე IX-ის (1042-1055 წწ.) სპილენძის მონეტა.
14. 1956 წელს ავჭალაში შემთხვევით იპოვეს კონსტანტინე IX-ის ოქროს მონეტა.
15. 1911/12 წლებში თბილისში (ავლაბარი) ნაპოვნია თეოდორას (1055-1056 წწ.) სპილენძის მონეტა.
16. 1920-იან წლებში სოფელ წყორძას (ახალციხის რაიონი) მიდამოებში იპოვეს თეოდორას სპილენძის 2 მონეტა.
17. 1936 წელს სოფელ წინწყაროში (თეთრიწყაროს რაიონი) ნაპოვნია თეოდორას სპილენძის მონეტა.
18. 1936 წელს დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა თეოდორას სპილენძის 3 მონეტა.
19. იქვე აღმოჩნდა მიხაელ VI-ის (1056-1057 წწ.) სპილენძის 2 მონეტა.
20. 1925 წელს თბილისში, ლესელიძის ქუჩის გაფართოების დროს, იპოვეს კონსტანტინე X-ის სპილენძის მონეტა.
21. თბილისის მიდამოებშივე 1926 წელს აღმოჩნდა კონსტანტინე X-ის სპილენძის ფული.
22. ასეთივე მონეტა იპოვეს 1926 წელს სოფელ ძველ დმანისში.
23. დმანისშივე 1936 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა კონსტანტინე X-ის სპილენძის 5 მონეტა.
24. 1948 წელს თბილისში სამას არაგველთა სახელობის ბაღთან იპოვეს კონსტანტინე X-ის სპილენძის მონეტა.
25. მისივე ოქროს მონეტა ნაპოვნია სოფელ უგუდეთში (თეთრიწყაროს რაიონი) 1950-იან წლებში.
26. 1952 წელს თელავის რაიონის სოფელ იყალთოსთან აღმოჩნდა კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა.
27. მისივე ნომისმა 1953 წელს იპოვეს თელავში.
28. მისივე ნომისმა ნაპოვნია 1956 წელს ხრამჭკესის (წალკის რაიონი) მშენებლობის დროს.
29. 1957 წელს თბილისის ზღვის მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა.
30. 1962 წელს სოფელ იდუმალაში (ასპინძის რაიონი) სასოფლო კლუბის მშენებლობის დროს იპოვეს ბიზანტიური ფულების განძი. ჩვენამდე მოაღწია ოქროს ერთმა და ელექტრუმის თორმეტმა მონეტამ. ოქროს მონეტა კონსტანტინე X-ს ეკუთვნის და, როგორც თ. აბრამიშვილი ვარაუდობს, შეიძლება „კონსტანტინატი“ იყოს, დანარჩენი ელექტრუმის მონეტები ნიკიფორე III-ის (1078-1081 წწ.) სახელითაა მოჭრილი და ალბათ „ბოტინატი“. თ. აბრამიშვილის აზრით, განძი შეიძლება დაიმარხა თურქების გამანადგურებელი შემოსევების დროს

1080-1090 წლებში.

31. 1962 წელს სოფელ პატარა დმანისში აღმოჩნდა კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა.

32. იმავე 1962 წელს ზურტაკეტ-გომარეთის პლატოზე (დმანისის მიდამოები) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტა აღმოაჩინა.

33. რუსთავის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1965 წელს კონსტანტინე X-ის ოქროს მონეტას მიაკვლია.

34. 1936 წელს დმანისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რომანოზ IV-ის სპილენძის მონეტა აღმოაჩინა.

35. იმავე 1936 წელს დმანისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია მიხაელ VII-ის (1071-1078 წწ.) სპილენძის მონეტას.

36. 1873-1875 წლებში საფარის (ახალციხის რაიონი) მონასტრის მახლობლად ნაპოვნია ნიკიფორე III-ის (1078-1081 წწ.) ოქროს მონეტა.

37. 1890 წელს საფარის მონასტრის მიდამოებში აღმოჩნდა ნიკიფორე III-ის ვერცხლის მონეტების განძი. მონეტები მოჭრილი იყო ჩაღრმავების წესით. ზუსტი რიცხვი ცნობილი არ არის.

38. 1930-იან წლებში თეთრიწყაროს მიდამოებში იპოვეს ნიკიფორე III-ის ელექტრუმის მონეტა.

39. 1936 წელს სოფელ ვარდისუბანსა (თელავის რაიონი) და გულგულას შუა, ნატკორაში უპოვიათ თერთმეტი ვერცხლნარევი ოქროს ფული (ელექტრუმის). ერთი ცალი, დაცული თელავის მუზეუმში, ნიკიფორე III-ისა აღმოჩნდა.

40. 1962 წელს შიომღვიმის მონასტერთან, მცხეთის მახლობლად, იპოვეს ალექსი I-ის (1081-1118 წწ.) სპილენძის მონეტა.

41. 1935 წელს კრწანისში აღმოჩნდა ალექსი I-ის სპილენძის მონეტა.

42. ასეთივე მონეტა იპოვეს 1936 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს დმანისში.

43. 1948 წელს თბილისში (განჯის კართან) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ალექსი I-ის სპილენძის ორი მონეტა.

44. 1949 წელს გურჯაანის მიდამოებში, ალაზნის არხის რეკონსტრუქციის დროს, აღმოჩნდა ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ შვიდმა ეგზემპლარმა. ექვსი ეკუთვნის ალექსი I-ს და ერთიც – იოანე II (1118-1143 წწ.).

45. 1929 წელს სოფელ შიბლიანთან (საგარეჯოს რაიონი) ნაპოვნია იოანე II-ის ოქროს მონეტა.

46. 1953 წელს სოფელ ხოდაშენში (თელავის რაიონში) იპოვეს იოანე II-ის ოქროს მონეტა.

47. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაძეში.
48. 1938 წელს თბილისში აღმოჩნდა XI საუკუნის სპილენძის ანონიმური ბიზანტიური მონეტა.
49. ასეთივე ორი მონეტა იპოვეს დმანისის მიდამოებში 1941-1943 წლებში.
50. ასეთივე ორი მონეტა ნაპოვნია 1952 წელს სოფელ ოკამში (ახალქალაქის რაიონი).
51. 1953 წელს წელს თმოგვის ციხის (ასპინძის რაიონი) მიდამოებში იპოვეს XI საუკუნის ბიზანტიური სპილენძის ანონიმური მონეტა.
52. თბილისში, ორთაჭალჭესის მშენებლობაზე, მტკვრის კალაპოტის ამოწმენდის დროს იპოვეს X-XI საუკუნეების სპილენძის ბიზანტიური მონეტა.
53. 1954 წელს აქვე ნაპოვნი ბიზანტიური ოქროს მონეტა XI საუკუნისაა.
54. 1953 წელს ახალქალაქის ძველი ციხის ნანგრევებთან ნაპოვნია XI საუკუნის ბიზანტიური სპილენძის მონეტა.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში ნაპოვნია XI-XII საუკუნეების 150 ცალზე მეტი ბიზანტიური მონეტა. აქედან ოქროსია 72 ცალი, ელექტრუმის – 24 და სპილენძის – 52. საერთო რიცხვიდან ხუთი ოქროს, ვერცხლის და ელექტრუმის მონეტების განძია.

ძალიან საინტერესო სურათს გვაძლევს XI-XII საუკუნეების ბიზანტიური მონეტების საერთო რიცხვის განაწილება საუკუნეების მიხედვით. დაახლ. 150 ცალიდან 11 ეკუთვნის ალექსი I-ს (1081-1118 წწ.), ე.ი. გარდამავალ პერიოდს, ხოლო საკუთრივ XII საუკუნეზე მოდის მხოლოდ 4 ეგზემპლარი და ყველა მათგანი მიეკუთვნება იოანე II-ს (1118-1143 წწ.). აქედან დასკვნა: აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმოიქცეოდა XI საუკუნის ბიზანტიური მონეტები. XII საუკუნეში მათი შემოსვლა კლებულობს, ხოლო ამ საუკუნის 40-იანი წლებიდან, დღესდღეისობით არსებული ნუმისმატიკური მასალების მიხედვით, თითქმის წყდება.

დასავლეთ საქართველო

შუბლი: მონეტის ცენტრში მსხვილი წერტილია. ამ წერტილის მარცხნივ და მარჯვნივ გაუგებარი ნიშნებია, რომლებიც მოგვაგონებს გადაბრუნებულ მუსლიმურ ღვთისმსახურებით წარმონათქვამს – „უფალს“, ეს ყველაფერი ჩასმულია წვეტიან ოვალში და ამრიგად იქმნება ადამიანის გახელილი თვალის შთაბეჭდილება. მონეტის კიდეებზე ასომთავრული წარწერა: **ՄԴԴԴ/ՄԴԴ ԼԼ**, ე.ი. მეფეთა მეფე გიორგი.

ზურგი: რამდენადმე დამახინჯებული არაბული წარწერა (სუნიტური რელიგიური სიმბოლო).


შუბლი: „ადამიანის გახელილი თვალის“ გამოსახულება. მონეტის ცენტრში მსხვილი მთავრული ასოებია მოთავსებული: **Մ** და **Փ**, ე.ი. მეფე. ჩარჩოს გარეთ ტალღისებური ხაზები და თითო წერტილი.

ზურგი: სამსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული წარწერა (უნდა იყოს სუნიტური რელიგიური სიმბოლო).

შუბლი: მონეტის ცენტრში მსხვილი წერტილია, რომელსაც მარცხნივ და მარჯვნივ კიდევ თითო წერტილი უზის. წერტილები ჩასმულია წვეტიან ოვალში. ზემოთ და ქვემოთ ტალღისებური ხაზები და თითო წერტილია. ყველაფერ ამას შემოვლებული აქვს ორმაგი რკალი – ხაზოვანი და წერტილოვანი.

ზურგი: მონეტის ცენტრში სამსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული ზედწერილი სუნიტური რელიგიური სიმბოლოა, რომელიც ისეთივე რკალებით არის შემოვლებული, როგორც მონეტის შუბლზე გვაქვს.

ზარაფხანა	თბილისი (?).
ნომინალი	ვერცხლი. 0,85 გრ.-0,99 გრ.
თარიღი	1393-1407 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №2961, ქვ. №3230; გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №1198, გვ. №1202.

ჯგუფი	ქართველ მეფეთა მონეტები XIII-XIV საუკუნეებში
ტიპი	ქვეჯგუფი – გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის ვერცხლის მონეტები
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი. რემედიუმი: 0,57 გრ.-0,80 გრ. d≈13/16-16/17 მმ.</p>  <p>შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: سلطان احمد خان ملکه ملك غازى كيركر ضرب تفليس სულტან აჰმად, ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი, მეფე გამარჯვებული გიორგი, იჭედა თბილისს.</p>

	<p>ზურგი: ორმაგ ხაზოვან კვადრატში, რომელსაც გარს უვლის ჯერ ხაზოვანი, შემდეგ კი წერტილოვანი რკალი არაბული წარწერაა: لا اله الا الله محمد رسول الله არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა. კვადრატსა და რკალს შუა სეგმენტებში ოთხი ხალიფას სახელი.</p> <hr/> <p>შუბლი: ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: ضرب تفلين ملك غازي كبير იჭედა თბილისს, მეფე გამარჯვებული გიორგი.</p> <p>ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული წარწერა: سلطان احمد خان სულტანი აჰმად ხანი.</p> <hr/> <p>შუბლი: ხაზოვანი რკალით შემოვლებული კვადრატში მოთავსებული ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: შჲԾშჲԴ/ԴԿԴԴ, ე.ი. მეფეთა მეფე გიორგი.</p> <p>ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული წარწერა: سلطان احمد خان სულტანი აჰმად ხანი.</p>
ზარაფხანა	თბილისი.
ნომინალი	ვერცხლი. 0,57 გრ.-0,80 გრ.
თარიღი	XIV საუკუნის მიწურული.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №574, ქვ. №583, ქვ. №№2393-2394, ქვ. №3100; გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №№945-1121, გვ. №1204.

დასხვანაირი მახასიათებელი ნიშნებით განსხვავდება ერთმანეთი-საგან.

აღწერილ ვერცხლის მონეტებს ლიტერატურაში დრამას უწოდებენ. ბევრად უფრო იშვიათია ორიოდე ცალად ცნობილი დრამის წილადი – ნახევარდრამიანი, შესაბამისად მცირე ზომითა და წონით (1,25-1,30 გრ.). გარდა ამისა, მათ შუბლსა და ზურგზე მოთავსებული არ არის გარშემოვლებული ზედწერილი.

ჯალალ ედ-დინის შემოსევებიდან მოკლე ხანში ქვეყანაში მონღოლთა ჰეგემონია დამყარდა.

პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლამ წარუხოცელი კვალი დატოვა საქართველოს ნუმიზმატიკურ ძეგლებზე. მკვეთრად იცვლება მონეტის გარეგნული სახე და ზედწერილების შინაარსი. იმდროინდელი ქართული მონეტები განსაკუთრებული სიმართლით გადმოგვცემს XIII-XIV საუკუნეებში შექმნილ მძიმე ვითარებას.

რუსუდანის შემდგომ მოჭრილი მონეტები ორ ჯგუფად იყოფა: 1. ქართველ მეფეთა მონეტები XIII-XIV საუკუნეებში და 2. მონღოლური საოკუპაციო მონეტები.

ამჯერად, ჩვენ მხოლოდ ქართველ მეფეთა მონეტებს შევხებით.

ჰიჯრ. 642 წელს (=1244/45 წწ.), იმ დროს, როდესაც თბილისის ზარაფხანაში ულუს-ბეკის სახელით ვერცხლის მონღოლური მონეტა იჭრება, დმანისის ზარაფხანა უშვებს სპილენძის ქართულ მონეტას დავითის სახელით (დავით ნარინის სპილენძის მონეტები შეწიადებული ასოებით).

შუბლი: ცენტრში შეწიადებული მთავრული **Ծ** და **Ը** დავითის სახელს აღნიშნავს. ირგვლივ არაბული ზედწერილი:

قان بنده شاه جهان داود ملك

მსოფლიოს მფლობელის, ყაენის მონა, დავით მეფე.

ზურგი: ასევე არაბულად ოთხსტრიქონიანი წარწერა:

شهر

دمانس

عمرها الله

٢ ثناربعين ستمائة

ქალაქსა დმანისს, ხანგრძლივ ჰყოს იგი ღმერთმან, (წელსა) 642 (=1244/45 წწ.).

ამ მონეტის შუბლის ქვედა ნაწილში ხშირად მოთავსებულია ქორონიკონი 465, რაც 1245 წელს უდრის. ის ზოგჯერ ამავე მონეტის ზურგის მეხუთე სტრიქონშიც მეორდება.

ამ მონეტის წყალობით დადგენილ იქნა დმანისში ზარაფხანის არსებობის ფაქტი, რომლის შესახებ მანამდე არაფერი ვიცოდით.

1244/45 წლებში, როდესაც დავით ნარინის სახელით დმანისში სპილენძის მონეტის ემისია განხორციელდა, ის საქართველოში არ იმყოფება, ყარაყორუმშია, სადაც გაამგზავრეს ტახტზე დამტკიცების მიზნით.

1247 წელს მონღოლებმა საქართველოს სამეფო ტახტზე ერთდროულად ორი პრეტენდენტი დაამტკიცეს: დავით გიორგი ლაშას ძე – უფროსი, ანუ ულუ და დავით რუსუდანის ძე – უმცროსი, ანუ ნარინი. 1247 წელს ორივე დავითი საქართველოში დაბრუნდა.

დმანისის მონეტის გამოშვებიდან სამი წლის შემდეგ, კერძოდ, ჰიჯრ. 645 წელს (=1247/48 წწ.) დავით ნარინის სახელით სპილენძის მონეტები იჭრება უკვე თბილისის ზარაფხანაში, მაგრამ ქართულ ქორონიკონს აქ აღარ ათავსებენ. ის ისეთივეა, როგორც დმანისში მოჭრილი სპილენძის მონეტა, ოღონდ განსხვავდება მისგან მოჭრის ადგილისა (თბილისი) და თარიღის (ჰიჯრ. 645 წელი) მიხედვით.

დავით ნარინის სპილენძის მონეტის მოსაჭრელად მიმოქცევიდან გამოსულ მონეტებსაც იყენებდნენ. ზოგჯერ დავით ნარინის სიქის ქვეშ შეინიშნება რუსუდან დედოფლის მონეტის გადარჩენილი დეტალები. ამიტომ არის, რომ დავით ნარინის სპილენძის მონეტათა წონითი რემედიუმი შესამჩნევ გადახრებს იძლევა.

1247 წელს თბილისის ზარაფხანაში დავით ნარინის სახელით ვერცხლის მონეტაც (დავით ნარინის ვერცხლის მონეტები მხედრის გამოსახულებით) იჭრება წონითი რემედიუმით 2,4-2,7 გრ.

შუბლი: მარჯვნივ მიმართული გვირგვინოსანი მეფე-მხედრის გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში მათრახი უჭირავს. გამოსახულების წინ მონოგრამა, რომელიც დავითის სახელს აღნიშნავს. აქვეა თარიღი ԺԿԿԽ, ე.ი. ქორონიკონი 467 (=1247 წ.). მხედრის უკან ექვსქიმიანი ვარსკვლავი.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი:

بقوة خدا
دولة كوك
قان بنده
داود ملك

ძალითა ღვთისათა, მონა გუიუკ-ყაენის მთავრობისა. მეფე დავითი.

ზედწერილის გვერდით მარჯვენა მხარეს სპარსულადვეა მოჭრის ადგილი:

ضرب تقيس

იჭედა თბილისს.

ცხენოსანი ფიგურის გამოსახულება საქართველოში მოჭრილ მონეტებზე პირველად გამოჩნდა ჰიჯრ. 642 წელს, ულუს-ბეკის ფულელებზე, ხოლო შემდეგ – დავით ნარინის მონეტებზე. ორივე მათგანი წარმოადგენს XII საუკუნის სელჩუკთა მონეტებზე მოთავსებული მხედრის ასლს, რაც საქართველოსა და რუმის სელჩუკთა სახელმწიფოს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირურთიერთობაზე მიუთითებს.

თბილისშივე ჰიჯრ. 650, 651 და 652 წლებში იჭრება დავით ნარინის თანამოსაყდრის, ულუ დავითის ვერცხლის იშვიათი მონეტები (დავით ულუ „ბაგრატიონის“ 1252-1255 წლების ვერცხლის ემისიები). უნდა ითქვას, რომ მათზე ქართული წარწერები მთლიანად ქრება და მათი გარეგნული სახე ძალიან მოგვაგონებს სელჩუკურ დირჰემებს (წონა≈2,73 გრ.).

შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

داود ملك

ابن كيوركى

البقراطى

ضرب تقيس

დავით მეფე, ძე გიორგისა, ბაგრატიონი. იჭედა თბილისს.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი:

بقوة خدای

ياقبال پادشاهى

جهان منكو قان

و ستمایة سنة خمسين

ძალითა ღვთისათა, მსოფლიოს მანგუ ყაენის ნებითა, წელსა 650 (=1252/53 წწ.).

დავით ულუსვე უნდა ეკუთვნოდეს სპილენძის იშვიათი მონეტები (დავით ულუს სპილენძის მონეტები მხედრის გამოსახულებით). მათი აღწერილობა ასეთია:

შუბლი: გვირგვინოსანი მხედრის მარჯვნივ მიმართული ფიგურა. გამოსახულების ორივე მხარეს – ასომთავრული **Ծ** და **Ը**, რაც დავითის სახელის დაქარაგმებაა.

ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

الملك الملوك

داود بن كيوركى

حسام المسيح

მეფეთა მეფე დავით, ძე გიორგისა, მესიის მახვილი.

მონეტის ზუსტი ატრიბუცია პოლემიკის საგანია. მეცნიერთა ნაწილის აზრით, მონეტა დავით აღმაშენებელს უნდა მოეჭრა, უმრავლესობა კი მას დავით ულუს აკუთვნებს იმ ძლიერი არგუმენტის საფუძველზე, რომ სადისკუსიო მონეტა ზუსტი ასლია რუმის სელჩუკიდის, ქაიხოსრო I-ის (1192-1200 წწ.) სპილენძის ფულების იკონოგრაფიისა. ამიტომ, მისი ემისია დავით აღმაშენებლის მიერ წარმოუდგენელია.

1270 წელს გარდაიცვალა დავით ულუ და ყაენმა აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე დაამტკიცა მისი მცირეწლოვანი ვაჟი დემეტრე II (1270-1289 წწ.). 1280 წლიდან, მონღოლური საოკუპაციო მონეტების პარალელურად, დემეტრე II იწყებს წმინდა ნაციონალური ხასიათის სპილენძის მონეტების ემისიას (დემეტრე II-ის სპილენძის მონეტები „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნით“).

შუბლი: რთული ორნამენტული ჩარჩო, რომელიც რუსუდანის სპილენძის მონეტაზე მოთავსებული ჩარჩოს მსგავსია. ცენტრში შეწილებული მთავრული **Շ** და **Ղ**, ე.ი. დემეტრე; ჩარჩოს გარე ბუდეებში სხვადასხვანაირად განლაგებული ქართული წარწერები: **Մ** (მეფე) ან **Մ** (მეფეთა მეფე) და იშვიათ შემთხვევაში – **Փ**, ე.ი. ქორონიკონი 500 (=1280 წ.).

ზურგი: ცენტრში ისეთივე ნიშანია, როგორც თამარისა და დავითის მონეტაზე, ოღონდ ის აქ უფრო ლამაზად არის შესრულებული (დ. კაპანაძე მას ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანს ეძახის). შემორკალული ნიშნის ირგვლივ ასომთავრულით დაქარაგმებული ქრისტიანული ლოცვა: **ՂԻՔՍ ՄԾՄ Մ ՇԸ ՆՆԻ Ք**, ე.ი. გვრწამს მამაი, ძეი და სული წმიდაი.

დემეტრე II-ის ქართულწარწერიან სპილენძის მონეტაზე მოთავსებული ლოცვა თითქმის ისეთივეა, როგორც ქართლ-ჰულაგუიდურ დირჰემებზე და მათი სინქრონულობა უეჭველია. ამ სამონეტო ტიპის ვარიანტთა რიცხვი საკმაოდ მრავალია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილია დემეტრე II-ის მონეტების ერთი ეგზემპლარი, რომელზეც მოთავსებულია ქორონიკონი 506 (=1286 წ.) (დაცულია თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

დემეტრე II-ის სპილენძის მონეტების წონა 1,45-3,20 გრამებში მერყეობს.

1292 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე ილხანმა ქელათუმ დემეტრე II-ის ვაჟი დავით VIII (1293-1311 წწ.) დაამტკიცა. მისი მეფობის პირველ წლებში აღმოსავლეთ საქართველოსა და ირანის ილ-

ხანთა სახელმწიფოს ურთიერთობა ნორმალურად ვითარდებოდა. მაგრამ, როდესაც ილხანთა ტახტისათვის ბრძოლაში ყაზანმა ბაილუ დაამარცხა (1295 წ.), რომელსაც მხარს დავით VIII უჭერდა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გამწვავდა. თუმცა, იმის შიშით, რომ დავით VIII ოქროს ურდოს არ მიმხრობოდა, ყაენი ხშირად ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა.

დავით VIII სხვადასხვა წლებში ჭრიდა როგორც ვერცხლის, ასევე სპილენძის მონეტებს. ვერცხლის მონეტების (დავით VIII-ის ვერცხლის მონეტები ქრისტიანული ლოცვით) აღწერილობა ასეთია:

შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

پادشاه اعظم
سلطان محمود
غازان خان
خدا الله ملكه

ფადიშაჰი უზენაესი, სულთანი მაჰმუდ ყაზან ყაენი, ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი.

ზურგი: კვადრატულ ჩარჩოში არაბულად გადმოცემულია ოთხსტრიქონიანი ქრისტიანული ლოცვა, როგორც ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტებზე:

بسم الاب
والابن وروح
القدس الاله
واحد

სახელისა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა, ღვთისა ერთისა. აქ ჯვრის ნაცვლად მოთავსებულია დაქარაგმებული ქართული წარწერა: ՄԳԾ, ე.ი. მეფე დავითი. კვადრატსა და გარეთა რკალს შორის სეგმენტებში თარიღია, რომელიც შერჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, ჰიჯრ. 696 წელს (=1296/97 წწ.) აღნიშნავს. მონეტაზე მოთავსებული თვეების მიხედვით გაირკვა, რომ ამ მონეტების ემისია გრძელდებოდა 696 წლის ოთხი თვის განმავლობაში – მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე თვის მანძილზე, რაც 1297 წლის აპრილ-ივლისს შეესატყვისება.

მონეტის საშუალო წონა – 2,44 გრ.

როცა ურთიერთობა ყაზან-ყაენსა და დავით VIII-ს შორის ძალიან დაიძაბა, მეფე მთიულეთში, ან ხევში გაიხიზნა და იქიდან განაგრძობდა ბრძოლასაც და სამონეტო საქმიანობასაც. საპასუხოდ, ყაზან-ყაენმა აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ მისი ძმა, ვახტანგ III დაამტკიცა, რომელიც ასევე ჭრიდა მონეტებს. ეს მონეტები, მართა-

ლია, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს დავით VIII-ის სპილენძის ფულს, მაგრამ სჯობს, ჯერ ეს უკანასკნელნი განვიხილოთ. აღსანიშნავია, რომ დავით VIII-ის სპილენძის მონეტები დემეტრე II-ის მონეტის თითქმის სრულ ანალოგს წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ ისინი უფრო მცირე ზომისა და წონისაა (დავით VIII-ის სპილენძის მონეტები „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნით“).

შუბლი: ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში შეწიაღებული მთავრული ო და ც, ე.ი დავითი. ხოლო ბუდეებში ქართულივე დაქარაგმებული წარწერა: **ჰფჰფ**, ე.ი. მეფეთა მეფე. ქვემოთ ზოგჯერ **წ**, ე.ი. ქორონიკონი 530 (=1310 წ.).

ზურგი: მოხდენილად გამოყვანილი „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანი“, რომელსაც შემოვლებული აქვს ასომთავრულით შესრულებული ქრისტიანული ლოცვა: **ღუჩქს შცქი ძი ოც სზი წ**, ე.ი. გვრწამს მამაი, ძეი და სული წმიდაი. ზოგჯერ ამ ნიშნის გვერდით, მარცხნივ და მარჯვნივ მოთავსებულია **ჩ** **წ**, ე.ი ქორონიკონი 530 (= 1310 წ.).

ამრიგად, ზოგ ცალზე თარიღი მონეტის შუბლზეა, ზოგზე კი – ზურგზე. გვხვდება ისეთებიც, რომლებზეც თარიღი სულ არ არის.

უალრესად საინტერესოა იმ პუნქტის ლოკალიზაცია, სადაც მთებში გახიზნული დავითის სპილენძის მონეტები იჭრებოდა, რადგან დადგინდება საქართველოში კიდევ ერთი ზარაფხანის არსებობის ფაქტი. სამწუხაროდ, თვით მონეტაზე გამოშვების ადგილი დაფიქსირებული არ არის, მაგრამ უეჭველია, რომ მათი ემისია სადღაც მთაში, ჟინვალში ან სტეფანწმინდაში წარმოებდა, როგორც ამას თ. ლომოური ვარაუდობდა.

ამრიგად, დავით VIII-ის ვერცხლის მონეტები იჭრებოდა 1297 წელს, ხოლო სპილენძის – 1310 წელს. ამ წლებს შორის ხარვეზი შევსებულია ასევე ეროვნული სამონეტო ემისიებით, რომელიც დავითის ძმას, ვახტანგ III-ს ეკუთვნის. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული ქრონოლოგიის თანახმად, ის 1302-1308 წლებში მეფობდა, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ეს თარიღი აშკარად მოითხოვს კორექტივს. ვახტანგ III, ისევე როგორც მისი ძმა, ქრის ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს. ვერცხლის მონეტები ძირითადად ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემის მსგავსია, თუმცა მის სახესხვაობას წარმოადგენს (ვახტანგ III-ის მონეტები ქრისტიანული ლოცვით).

შუბლი: ოთხსტრიქონიანი უილურული ზედწერილი: დიდი ხაკანის

ნაცვალის ყაზანის სახელით ნაჭედი.

ზურგი: კვადრატის შიგნით მორკალული ჯვრის ნიშანი, რომლის ირგვლივ არაბულად ქრისტიანული ლოცვაა:

بسم الاب
والابن وروح
القدس الاله
واحد

სახელისა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა, ღვთისა ერთისა; და მოცემულია ასომთავრული ნიშნების ორი მონოგრამა, რომლებიც იშიფრება როგორც 𐌆𐌱𐌸 𐌸𐌱, ე.ი. ვახტანგ მეფე. კვადრატსა და რკალს შორის გარეგან სეგმენტებში არაბულად აღნიშნულია თარიღი: იქედა წელსა 698 (=1298/99 წწ.) და მონეტის გამოშვების ერთ-ერთი თვე.

ვახტანგ მეფის ჰიჯრ. 699 წლით (=1299/1300 წწ.) დათარიღებული ვერცხლის მონეტა ზემოაღწერილისაგან უმნიშვნელო დეტალით განსხვავდება: ჯვრის ტოტებს შორის აქ ჩასმულია თითო წერტილი ან ვარსკვლავი.

როგორც წესი, ვახტანგ III-ის ვერცხლის მონეტებზე მოჭრის ადგილი არ აღინიშნებოდა, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე ეგზემპლარმა წარწერით: იქედა თბილისს.

აღნიშნული მონეტები ძვირფასი ისტორიული წყაროა, ვინაიდან ის აზუსტებს ვახტანგ III-ის ტახტზე ასვლის ნამდვილ თარიღს. ამას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ თ. ლომოურმა და ნუმისმატიკური მონაცემების საფუძველზე შეიტანა კიდევ სათანადო კორექტივი ჩვენ მეფეთა ქრონოლოგიაში. მისი აზრით, ვინაიდან ვახტანგი 1298/99 წლებით დათარიღებულ ვერცხლის მონეტაზე უკვე მეფედ იხსენიება, ის ტახტზე ავიდა არა 1302, არამედ – 1298/99 წლებში. მეტიც: ეს თარიღიც მოითხოვს გადასინჯვას. საქმე ის გახლავთ, რომ ც. ღვაბერიძემ მიაკვლია ვახტანგ III-ის სახელით მოჭრილ ვერცხლის მონეტას, რომელიც ჰიჯრ. 697 წელსაა (=1297/98 წწ.) მოჭრილი. ამრიგად, ვახტანგ III-ის გამეფების ჭეშმარიტი თარიღი გახლავთ 1297 წელი.

ვახტანგ III-ის აღნიშნული ვერცხლის ფულების ანალოგიურია სპილენძის ემისიაც, თუმცა ამ მონეტებზე თარიღი შემორჩენილი არ არის. ზოგადად, ისინი შესაძლოა 1297-1304 წლებით დათარიღდეს (ვახტანგ III ტახტზე 1297 წელს ავიდა, ყაზან ყაენი კი 1304 წელს გარდაიცვალა).

გარდა ამისა, ვახტანგ III-ის სხვანაირი სპილენძის მონეტებიც არსებობს (ვახტანგ III-ის სპილენძის მონეტები მონოგრამებით).

შუბლი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

يادشاه

جهان خزان

محمود خلد ملكه

ხელმწიფე მსოფლიოსი, ყაზან მაჰმუდ, ხანგრძლივ იყოს მეფობა მისი. მესამე სტრიქონქვეშ ასომთავრულით შესრულებული ორი მონოგრამა, რომლებიც იშიფრება როგორც ҠҠҠ ҠҠ, ე.ი. ვახტანგ მეფე.

ზურგი: შემორკალულ ჩარჩოში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

لا الله الا

الله وحده

لا شريك له

არ არს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას მოზიარე.

შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

السلطان ا...

غياث الدنيا و الدين

خدا بنده محمد

خلد الله ملكه

სულტანი უმაღლესი, ღიას ედ დუნია ვედდინი, ხუდაბენდე მუჰამად, ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი. ზედწერილი მოთავსებულია კვადრატულ ჩარჩოში. ჩარჩოს გარეთ გაურკვეველი წარწერაა.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი არაბული ლეგენდა:

الله

لا اله الا

محمد

رسول الله

არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა. ქვემოთ ვახტანგის სახელი, გადმოცემული სამი მთავრული ასოსგან (ҠҠҠ) შემდგარი მონოგრამით.

აღწერილ მონეტებზე თარიღი შემორჩენილი არ არის. პირველის ემისია 1297-1304 წლებით უნდა დათარიღდეს (ვახტანგ III 1297 წელს გამეფდა, ყაზან ყაენი 1304 წელს გარდაიცვალა), ხოლო მეორე – 1304-1308 წლებით (ხუდაბენდე მუჰამადი (ოლჯაითუ) ტახტზე 1304 წელს ავიდა, ვახტანგ III 1308 წელს გარდაიცვალა).

ვახტანგის სპილენძის მონოგრამებიანი მონეტების მეორე ემისიის იდენტურია კიდევ ერთი მონეტა, რომელიც განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ ვახტანგის მონოგრამა აქ შეცვლილია ასო Ҡ, რაც, ალ-

ბათ, გიორგის ინიციალია. ისტორიული წყაროების მონაცემებით, ასეთი პიროვნება ამ ხანებში მართლაც არსებობს. ეს გახლავთ დავით VIII-ს ვაჟი გიორგი VI მცირე, რომელიც 1309 წელს დაამტკიცეს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე. ბუნებრივია, ეს მონეტაც მას დაუკავშირეს.

ქრონოლოგიურად კონკრეტულ ნუმიზმატიკურ ძეგლებს უნდა მოსდევდეს ორ ცალად ცნობილი მონეტა. ილხან აბუსაიდის სახელით თბილისში მოჭრილ სპილენძის ამ მონეტებზე სტანდარტული არაბული ზედწერილია, შუბლის არეზე კი თითქოს მოთავსებულია ქართული მხედრული ასო – „გ“.

ილხან აბუსაიდის თანამედროვე ქართველი მეფე გიორგი ბრწინვალე (1318-1346 წწ.) იყო და შესაძლებელია მხედრული „გ“-ს მსგავსი ორნამენტი გიორგის სახელის ინიციალს წარმოადგენდეს.

დ. კაპანაძე ცდილობს ქართული ნუმიზმატიკის სფეროში შემოიტანოს ვერცხლის ანონიმური მონეტები, რომელთაც ის წონის, ზომის, ფაქტურის და სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით, XIV ს-ის II ნახევარს აკუთვნებს. ზოგიერთ ასეთ მონეტაზე ფრინველია გამოსახული, ზოგიერთზე კი – ლომი, ან ჯიხვი. არაბული წარწერები დამახინჯებულია. დ. კაპანაძე თვლის, რომ ჯიხვის გამოსახულებიან მონეტების 2 თუ 3 ცალზე, გამოსახულების ირგვლივ, ასომთავრული წარწერის ძალიან მცირე ნაწილია გადარჩენილი, რომელიც თითქოს ბაგრატის სახელში შემავალ ასოებს შეიცავს. ეს მხოლოდ წინასწარი დაკვირვებაა და თუ შემდეგში დადასტურდება, მაშინ მონეტები შესაძლებელია ბაგრატ V-ს (1360-1393 წწ.) მიეკუთვნოს.

ასევე არსებობს რამდენიმე სპილენძის მონეტა, რომლებიც შესაძლებელია ბაგრატ V-ს მიერ იყოს მოჭრილი (წონა≈5,48 გრ.).

შუბლი: ცენტრში მოთავსებული ასომთავრული 4 შემოვლებულია ხაზოვანი რკალით. რკალს გარეთ კიდებზე განლაგებულია ასომთავრული ზედწერილი, რომელიც ქარაგმების გახსნის შემდეგ იკითხება: სახელითა ღვთისაითა.

ზურგი: ოთხსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული ზედწერილი.

საკითხი სადისკუსიოა და შემდგომ კვლევას მოითხოვს, რათა დადგინდეს, რომელ ბაგრატს ეკუთვნის ეს მონეტები, ბაგრატ V-ს თუ, საერთოდ, ბაგრატ IV-ს, ვინაიდან რამდენიმე ანალოგიური ცალი უწესოდ არის მოჭრილი.

გიორგი VII-ს (1393-1407 წწ.) უნდა ეკუთვნოდეს იშვიათი ვერცხლის მონეტები (გიორგი VII-ის მონეტები „გახელილი თვალის

გამოსახულებით“), რომელთა აღწერილობა ასეთია:

შუბლი: მონეტის ცენტრში მსხვილი წერტილია. ამ წერტილის მარცხნივ და მარჯვნივ გაუგებარი ნიშნებია, რომლებიც მოგვაგონებს გადაბრუნებულ მუსლიმურ ღვთისმსახურებით წარმონათქვამს – „უფალს“, ეს ყველაფერი ჩასმულია წვეტიან ოვალში და ამრიგად იქმნება ადამიანის გახელილი თვალის შთაბეჭდილება. მონეტის კიდეებზე ასომთავრული წარწერა: **ՄԴՓԴԾ/ՄՓԴ ԴԼ**, ე.ი. მეფეთა მეფე გიორგი.

ზურგი: რამდენადმე დამახინჯებული არაბული წარწერა (სუნიტური რელიგიური სიმბოლო).

შუბლი: ადამიანის გახელილი თვალის გამოსახულება. მონეტის ცენტრში მსხვილი მთავრული ასოებია მოთავსებული: **Մ** და **Փ**, ე.ი. მეფე. ჩარჩოს გარეთ ტალღისებური ხაზები და თითო წერტილი.

ზურგი: სამსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული წარწერა (უნდა იყოს სუნიტური რელიგიური სიმბოლო).

შუბლი: მონეტის ცენტრში მსხვილი წერტილია, რომელსაც მარცხნივ და მარჯვნივ კიდევ თითო წერტილი უზის. წერტილები ჩასმულია წვეტიან ოვალში. ზემოთ და ქვემოთ ტალღისებური ხაზები და თითო წერტილია. ყველაფერ ამას შემოვლებული აქვს ორმაგი რკალი – ხაზოვანი და წერტილოვანი.

ზურგი: მონეტის ცენტრში სამსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული ზედწერილი სუნიტური რელიგიური სიმბოლოა, რომელიც ისეთივე რკალებით არის შემოვლებული, როგორც მონეტის შუბლზე გვაქვს.

დ. კაპანაძის აზრით, აღნიშნულ მონეტები მოჭრილია გიორგი ბრწყინვალეს (1318-1346 წწ.) მიერ. დღეს ამ იშვიათ მონეტებს გიორგი VII-ს მიაკუთვნებენ.

პირველი საბუთი ასეთი ატრიბუციის სასარგებლოდ იმ განმეხების დაფლობის ხანაა, რომელთა შემადგენლობაშიც ეს მონეტები შედიოდა. დუშეთის განძი 1389/90 წლების შემდეგ არის ჩამარხული, ხოლო ალის განძი – XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე.

მეორე საბუთი ამ ფულის წონაა. მონეტების საშუალო წონა ერთ გრამსაც კი არ აღწევს. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ზოგიერთი ცალის წონა 0,85-0,99 გრამებს შორის მერყეობს და უახლოვდება გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის სახელით მოჭრილი

მონეტების წონას (რემედიუმი – 0,57-0,80 გრ., შედარებისათვის, გიორგი ბრწყინვალეს დროს თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ორიანი დირჰემის წონა 3,5 გრამია).

გიორგი VII-ის მონეტებიდან ყველაზე საინტერესოა 1861 წელს თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში შემავალი ცალები, რომლებიც იმავე წელს ვ. ლანგლუამ გამოაქვეყნა, მაგრამ მან ზედწერილები სწორად ვერ წაიკითხა. ამ მონეტების წონა მერყეობს 0,57-0,80 გრამებს შორის. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ პირველი, რომელმაც ყოველმხრივ შეისწავლა ეს მონეტები, ბოლომდე გამოამჟღავნა ვ. ლანგლუას შეცდომები და მოუძებნა მათ ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოები, იყო თ. ლომოური. ამაში მას დიდი დახმარება გაუწია 1925 წელს ხაშურის რაიონის სოფ. ალში აღმოჩენილმა ფულადმა განძმა, რომელიც 471 ცალ ვერცხლის მონეტას შეიცავდა, აქედან 249 – ჩვენთვის საინტერესო მონეტაა (გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის ვერცხლის მონეტები) (მონეტების ატრიბუცია თ. ლომოურს ეკუთვნის). ვიძლევიტ სანიმუშო ცალის აღწერილობას:

შუბლი: ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

سلطان

احمد خان ملكه

ملك غازى كيركر

ضرب تقيس

სულტან აჰმად, ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი, მეფე გამარჯვებული გიორგი, იჭედა თბილისს.

ზურგი: ორმაგ ხაზოვან კვადრატში, რომელსაც გარს უვლის ჯერ ხაზოვანი, შემდეგ კი წერტილოვანი რკალი არაბული წარწერაა:

لا اله الا

الله

محمد

رسول الله

არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა. კვადრატსა და რკალს შუა სეგმენტებში ოთხი ხალიფას სახელი.

ალის განძში შემავალი გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის სახელით მოჭრილი 249 მონეტა, როგორც დაცულობის, ასევე ტექნიკური შესრულების მხრივ, ერთნაირი არ არის. მათი უმცირესობა (28 ც.) წესიერად არის მოჭრილი და წარწერებიც გარკვევით იკითხება. 89 ცალი პირველებს შინაარსით შეესიტყვება, მაგრამ ტექნიკურად ბევრად უფრო მდარე ღირსების არის – წარწერები მათზე გაურკვევლადაა აღბეჭდილი. მესამე ჯგუფი, 74 ცალის რაოდენობით, ამ უკანასკნელ-

თაგან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ მათზე ზედწერილები შებრუნებითაა გამოყვანილი. დანარჩენები გაცვეთილია და მათზე არაფერი ირკვევა.

მონეტები მოიჭრა ალინჯის ციხესთან თემურ-ლენგის ჯარებზე გიორგი VII-ისა და აჰმედ ჯალაირის გამარჯვების აღსანიშნავად XIV საუკუნის მიწურულს.

ზემოაღწერილი მონეტების სინქრონულია კიდევ ორი მონეტა, რომლებიც უფრო იშვიათად გვხვდება.

შუბლი: ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

ضرب تقيس

ملك غازي كيركر

იჭედა თბილისს, მეფე გამარჯვებული გიორგი.

ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული წარწერა:

سلطان

احمد

خان

სულტანი აჰმად ხანი.

შუბლი: ხაზოვანი რკალით შემოვლებული კვადრატში მოთავსებული ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: **ჰფცჰფი/ღსღღ, ე.ი.** მეფეთა მეფე გიორგი.

ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული წარწერა:

سلطان


احمد


خان


სულტანი აჰმად ხანი.

ჯგუფი	მონღოლური საოკუპაციო მონეტები
ტიპი	ქვეჯგუფი: ჯალალ ედ-დინის გადაჭედილი სპილენძის მონეტები
აღწერა, ფოტო	<p>სპილენძი. რემედიუმი: 15,79 გრ.-21,15 გრ. d≈24-40 მმ.</p>  <p>შუბლი: შემორკალული ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: სულტანი უზენაესი. გარშემო მეორე არაბული ზედწერილი: იჭედა ეს დირჰემი 623 წელს (=1226 წ.).</p> <p>ზურგი: შემორკალული ორსტრიქონიანი ზედწერილი: ჯალალ ად-დუნია ვად-დინ. გარშემო მეორე არაბული ზედწერილი: განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი.</p>
ზარაფხანა	თბილისი.
ნომინალი	სპილენძი. 15,79 გრ.-21,15 გრ.
თარიღი	1226 წ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ

	<p>ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №№216-231, ქვ. №№1964-1976, ქვ. №2874, ქვ. №№3470-3475, ქვ. №№4190-4195; გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №№4589-4804, გვ. №№6752-6753, გვ. №6827, გვ. №11569; ერმიტაჟი (სანკტ-პეტერბურგი) – 54 ცალი.</p>
--	--

ჯგუფი	მონღოლური საოკუპაციო მონეტები
ტიპი	ანონიმური დირჰემები მშვილდის გამოსახულებით
აღწერა, ფოტო	<p>დირჰემი. წონა≈2,64 გრ. d≈22 მმ.</p>  <p>შუბლი: წერტილოვან რკალში არაბული ზედწერილი: ყან სამართლიანი. გარდა ამისა, მოცემულია თარიღი ჰიჯრ. 637 წელი (=1239/40 წწ.) და მოჭრის ადგილი – თბილისი. წარწერის ქვეშ მშვილდის გამოსახულება.</p> <p>ზურგი: ცენტრში მოთავსებულია არაბული ლეგენდა: არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა.</p>
ზარაფხანა	თბილისი.
ნომინალი	დირჰემი.
თარიღი	1239/40 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №1573, ქვ. №№2890-2895, ქვ. №3339, ქვ. №№4221-4225; გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №10102.

ჯგუფი	მონღოლური საოკუპაციო მონეტები
ტიპი	ულუს ბეკის დირჰემები მონადირე მხედრის გამოსახულებით
აღწერა, ფოტო	<p>დირჰემი. წონა≈2,87 გრ. d≈23 მმ.</p>  <p>შუბლი: გაჭენებულ ცხენზე მჯდარი მხედრის გამოსახულება მარცხნივ, ის შემოტრიალებულია მარჯვნივ და მშვილდს ეზიდება; უკან ყარყატის გამოსახულება; ცხენის ქვემოთ – მონადირე ძაღლის. რამდენიმე შემთხვევაში ყარყატის გამოსახულება შეცვლილია ვარსკვლავით ან სოლომონის ბეჭდით, და ძაღლის გამოსახულება – გაურკვეველი გამოსახულებით, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნას ან ქვეწარმავლად, ან ფოთლოვან ორნამენტად. სხვა ეგზემპლარებზე, რომლებიც უცნობ ზარაფხანაშია მოჭრილი, გაჭენებული ცხენზე მჯდარი მხედრის გამოსახულება მარჯვნივ არის მიმართული. ზემოთ: თურქულად – (ულუღ) მანგილ ულუს ბეკ. ამ ზედწერილის შინაარსის ორი ინტერპრეტაცია არსებობს: 1. ულუს ბეკი დიდი მონღოლის სახელით და 2. დიდი მონღოლი ულუს ბეკი.</p> <p>ზურგი: არაბული ლეგენდა: არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა. იჭედა თბილისს 642 წელს (=1244/45 წწ.).</p>
ზარაფხანა	თბილისი.
ნომინალი	დირჰემი.
თარიღი	1244/45 წწ.
კოლექცია	ერმიტაჟი (სანკტ-პეტერბურგი) – 2 ცალი; ამერიკის ნუმიზმატიკური საზოგადოების კოლექცია – 3 ცალი.

ჯგუფი	მონღოლური საოკუპაციო მონეტები
ტიპი	ანონიმური დირჰემები ექვსქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით
აღწერა, ფოტო	<p>დირჰემი. წონა – 2,61 გრ. d=21 მმ.</p>  <p>შუბლი: პარალელური ხაზებისაგან შედგენილი ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ვარსკვლავის ცენტრში ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: ყან სამართლიანი.</p> <p>ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული რელიგიური სიმბოლო: არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა. ზედწერილი მოთავსებულია ოთხკუთხა ჩარჩოში, რომელიც შემოვლებულია რკალით. რკალსა და ჩარჩოს შორის შექმნილ სეგმენტებში არაბულად: იჰედა თბილისს, 643 წელს (=1245/46 წწ.).</p>
ზარაფხანა	თბილისი.
ნომინალი	დირჰემი.
თარიღი	1245/46 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 1 ცალი, ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №3096.


ჯგუფი	მონღოლური საოკუპაციო მონეტები
ტიპი	ქვეჯგუფი: მანგუ ყანის მონეტები
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი (დირჰემი). წონა≈2,62 გრ. სპილენძი. რემედიუმი: 2,05 გრ.-4,58 გრ. d≈23-30 მმ.</p>



შუბლი: მორკალულ კვადრატში მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: მანგუ ყაენი, უმაღლესი, სამართლიანი. კვადრატსა და რკალს შორის ოთხ სეგმენტში არაბულადვე მოჭრის ადგილი – თბილისი.


ზურგი: ასეთივე მორკალულ კვადრატში სამსტრიქონიანი რელიგიური ფორმულა არაბულად: არ არს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას მოზიარე. კვადრატსა და რკალს შორის ოთხ სეგმენტში არაბულადვე მოცემულია თარიღი, რომელიც შეიცავს არა მარტო წელს, არამედ თვესაც, ზოგჯერ კი – დღესაც.

ზარაფხანა	თბილისი.
ნომინალი	ვერცხლი (დირჰემი). ≈2,62 გრ.; სპილენძი. 2,05 გრ.-4,58 გრ.
თარიღი	1254-1261 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №№326-338, ქვ. №№340-347, ქვ. №3163, ქვ. №№3243-3249, ქვ. №№4296-4301; გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №№9085-9087, გვ. №10122, გვ. №11561; ერმიტაჟი (სანკტ-პეტერბურგი) – 2 ცალი.


ჯგუფი	მონღოლური საოკუპაციო მონეტები
ტიპი	ქვეჯგუფი: „ყაანური“
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი (დირჰემი). რემედიუმი: 2,41 გრ.-2,96 გრ. სპილენძი. რემედიუმი: 1,92 გრ.-2,7 გრ. d≈19-23 მმ.</p>  <p>შუბლი: რთული გრებილგეომეტრიული ექვსქიმიანი ვარსკვლავი, რომლის ცენტრში ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილია: ყაან სამართლიანი.</p> <p>ზურგი: შემორკალულ ოთხკუთხაფიგურიან ჩარჩოში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: არ არს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას მოზიარე. ჩარჩოსა და რკალს შორის სეგმენტებში არაბულადვე – მოჭრის ადგილი (თბილისი) და თარიღი (წელი, თვე).</p>
ზარაფხანა	თბილისი.
ნომინალი	ვერცხლი (დირჰემი). 2,41 გრ.-2,96 გრ.; სპილენძი. 1,92 გრ.-2,7 გრ.
თარიღი	1261-1280 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №№382-436, ქვ. №№2128-2151, ქვ. №2156, ქვ. №№2899-2904, ქვ. №№4328-4471; გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №1225, გვ. №№11683-11689, გვ. №№12278-12280, გვ. №12912, გვ. №28203; ერმიტაჟი (სანკტ-პეტერბურგი) – რამდენიმე ცალი.

ჯგუფი	მონღოლური საოკუპაციო მონეტები
ტიპი	ქვეჯგუფი: ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი (დირჰემი). რემედიუმი: 2,2 გრ.-2,47 გრ. სპილენძი. წონა≈2,3 გრ. d≈20-23 მმ.</p>  <p>შუბლი: ხუთსტრიქონიანი უიღურული წარწერა, რომელიც ეტაპობრივად შემდეგი ილხანების სახელებს გადმოგვცემს – აბაღა (1265-1282 წწ.), აჰმადი (1282-1284 წწ.), არღუნი (1284-1291 წწ.), ქელათუ (1291-1295 წწ.) და ბაიდუ (1295 წ.) (ლეგენდის ფორმა დაახლოებით ასეთია: ხაკანის სახელით აჰმადის მოჭრილი).</p> <p>ზურგი: შემორკალულ კვადრატში ოთხ სტრიქონად განლაგებულია არაბულად გადმოცემული ქრისტიანული ლოცვა – სახელისა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა, ღვთისა ერთისა, და ქრისტიანულივე ემბლემა, ჯვარი. თარიღი კვადრატსა და რკალს შორის დარჩენილ სეგმენტებში თავსდება.</p>
ზარაფხანა	თბილისი.
ნომინალი	ვერცხლი (დირჰემი). 2,2 გრ.-2,47 გრ.; სპილენძი. ≈2,3 გრ.
თარიღი	1281/82-1294/95 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ


	ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №№439-442, ქვ. №№460-469, ქვ. №481, ქვ. №№2162-2174, ქვ. №№4472-4502, ქვ. №№4516-4544; გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №№5354-5366, გვ. №№11634-11637, გვ. №№12262-12263; ერმიტაჟი (სანკტ-პეტერბურგი) – რამდენიმე ცალი; აზერბაიჯანის ეროვნული ისტორიული მუზეუმი – რამდენიმე ცალი.
--	--

ჯგუფი	მონღოლური საოკუპაციო მონეტები
ტიპი	ქვეჯგუფი: ჰულაგუიდთა პოსტ-რეფორმული ემისიები
აღწერა, ფოტო	<p>ყაზან ყაენის დირჰემი. რემედიუმი: 2,1 გრ.-2,23 გრ. d≈22 მმ.</p>  <p>შუბლი: ხაზოვან და წერტილოვან რკალში ჩასმული ოთხსტრიქონიანი უიღურული ზედწერილი: ზეცის ძალით, ყაზანის მოჭრილი. ლეგენდის ზემოთ ორნამენტი. მესამე და მეოთხე სტრიქონებს შორის არაბულად – ყაზან მაჰმუდი. მარცხნივ, ვერტიკალურად ტიბეტური დამწერლობით – ყაზან მაჰმუდი.</p> <p>ზურგი: ორნამენტული ხუთკუთხედის შიგნით ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მოჭრილი თბილისში, მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა. ვერტიკალურად გვერდებზე – დაე, ღმერთმა დალოცოს ის. ხუთკუთხედსა და ხაზოვან რკალს შორის სეგმენტებში თარიღი – ჰიჯრ. 698 წელი (=1298/99 წწ.).</p>

	ერთ-ერთ სეგმენტში ორნამენტი. უნიფიცირებული დირჰემები, შემცირებული წონით, იჭრება უკანასკნელ ილხანებამდე.
ზარაფხანა	თბილისი, ახალციხე.
ნომინალი	დირჰემი.
თარიღი	1298/99-1301/1302 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №№5131-5172, ქვ. №9361, ქვ. №9559; გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №3489, გვ. №3522, გვ. №№3653-3654, გვ. №3725, გვ. №№5194-5195.

ჯგუფი	მონღოლური საოკუპაციო მონეტები
ტიპი	ქვეჯგუფი: ჯურიდების ფული
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი. წონა≈1,01 გრ. d≈10/14-15 მმ.</p> <div style="text-align: center;">  </div> <p>შუბლი: ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი – სულტანი სამართლიანი ჯანიბეკ ხანი. ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.</p> <p>ზურგი: ექვსფურცლოვან ვარდულში, არაბულად – იჭედა თბილისს 757 წელს (=1356 წ.). ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.</p> <hr/> <p>შუბლი: არაბულად – სულტანი სამართლიანი . . . ხანი.</p> <p>ზურგი: ექვსფურცლოვან ვარდულში, არაბულად – იჭედა თბილისს 757 წელს (=1356 წ.).</p> <hr/> <p>შუბლი: არაბულად – სულტანი ბერდიბეკ ხანი. იჭედა თბილისს . . .</p>

	ზურგი: არაბულად – არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა. ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი.
ზარაფხანა	თბილისი.
ნომინალი	ვერცხლი. ≈1,01 გრ.
თარიღი	1356-1357 წ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 2 ცალი, ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №4795-4796; ერმიტაჟი (სანკტ-პეტერბურგი) – 1 ცალი.

ჯგუფი	მონღოლური საოკუპაციო მონეტები
ტიპი	ქვეჯგუფი: ჯალაირიდების ფული
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი. რემედიუმი: 0,66 გრ.-0,69 გრ. d≈13/14 მმ.</p> <div style="text-align: center;">  </div> <p>შუბლი: ორმაგ წრეში მოთავსებული სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი – სულტანი უმაღლესი, ოვეის ბაჰადურ ხანი, განიგრძოს მეფობა მისი. გარშემო – იქედა თბილისს, 759 წელს (=1357/58 წწ.).</p> <p>ზურგი: ორმაგ წრეში მუსლიმური რწმენის ფორმულა და ოთხი ხალიფას სახელი.</p> <hr/> <p>შუბლი: სამი ნახევარწრისგან შედგენილ ბუდეში არაბულად – ოვეის სულტანი, დაე განიგრძოს მეფობა მისი. ბუდეებს შორის შექმნილ არეში მოჭრის ადგილი – იქედა თბილისს. ბუდეების გარშემო უნდა იყოს თარიღი, რომელიც ახალგორის/ლენინგორის განძის არც ერთ ეგზემპლარზე არ იკითხება.</p> <p>ზურგი: ექვსი ნახევარწრისგან შედგენილ ბუდეში, რომელიც თავის მხრივ წერტილოვან ჩარჩოშია მოთავსებული, მუსლიმური სარწმუნოებრივი სიმბოლო – არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამადი</p>

	მოციქულია ალლაჰისა.
ზარაფხანა	თბილისი.
ნომინალი	ვერცხლი. 0,66 გრ.-0,69 გრ.
თარიღი	1357/58-1375 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №№4797-4799, ქვ. №№4803-4813; გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №№9363-9364, გვ. №№9367-9368, გვ. №№9375-9376, გვ. №№9381-9438.

სამეცნიერო კომენტარი	<p>1222-1245 წლებში საქართველოში თამარის ქალიშვილი რუსუდანი მეფობდა. მისი მმართველობა უიღბლო გამოდგა. საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედურება ჯერ ჯალალ ედ-დინის, ხოლო შემდეგ – მონღოლთა შემოსევის სახით.</p> <p>ხორეზმშაჰის მემკვიდრე ჯალალ ედ-დინმა 1225 წლის ნოემბერში, ისარგებლა რა საქართველოს დიდგვაროვანთა შორის არსებული წინააღმდეგობებით, გარნისთან დაამარცხა ქართველთა ჯარი, ხოლო შემდეგ წელს თბილისიც აიღო.</p> <p>ამ დამპყრობელმა თავისი კვალი ქართულ ნუმიზმატიკაშიც დატოვა. მიტოვებულ თბილისში (რუსუდანი ქუთაისში გადავიდა) მას, როგორც ჩანს, ხელში ჩაუვარდა სახელმწიფო ხაზინა, რომელიც საკუთარი მონეტების მოსაჭრელად გამოიყენა. ქართული ფულის მთელი მარაგი ჯალალ ედ-დინმა ზარაფხანაში ხელახლა გადაამუშავა და ქართულ მონეტებზე ახალი სიქის დარტყმის საშუალებით ისინი საკუთარ ფულად აქცია (ჯალალ ედ-დინის გადაჭედილი სპილენძის მონეტები).</p> <p>შუბლი: შემორკალული ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: სულტანი უზენაესი. გარშემო მეორე არაბული ზედწერილი: იჰედა ეს დირჰემი 623 წელს (=1226 წ.).</p> <p>ზურგი: შემორკალული ორსტრიქონიანი ზედწერილი: ჯალალ ად-დუნია ვად-დინ. გარშემო მეორე არაბული ზედწერილი: განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი.</p> <p>ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯალალ ედ-დინის სიქის ქვეშ</p>
-----------------------------	---

შემორჩენილია გიორგი IV ლაშას, ან თამარის ფულის დაუზიანებელი წარწერების ნაწყვეტები. იშვიათ შემთხვევაში ჩნდება გიორგი III-ისა და დემეტრე I-ის მონეტების დეტალებიც. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ჯალალ ედ-დინის მონეტები გადაჭედებულია „უწესოდ“ მოჭრილი ქართული ფულიდან, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში ამ მიზნით წესიერად მოჭრილი მონეტებიცაა გამოყენებული, კერძოდ, გიორგი III და თამარის ფული.

ჯალალ ედ-დინის შემოსევებიდან მოკლე ხანში ქვეყანაში მონღოლთა ჰეგემონია დამყარდა.

პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლამ წარუხოცელი კვალი დატოვა საქართველოს ნუმიზმატიკურ ძეგლებზე. მკვეთრად იცვლება მონეტის გარეგნული სახე და ზედწერილების შინაარსი. იმდროინდელი ქართული მონეტები განსაკუთრებული სიმართლით გადმოგვცემს XIII-XIV საუკუნეებში შექმნილ მძიმე ვითარებას.

რუსუდანის შემდგომ მოჭრილი მონეტები ორ ჯგუფად იყოფა: 1. ქართველ მეფეთა მონეტები XIII-XIV საუკუნეებში და 2. მონღოლური საოკუპაციო მონეტები.

ამჯერად, ჩვენ მხოლოდ მონღოლურ საოკუპაციო მონეტებს შევხებით.

უკვე რუსუდანის მეფობაში იჭრება ანონიმური დირჰემი (ანონიმური დირჰემები მშვილდის გამოსახულებით).

შუბლი: წერტილოვან რკალში არაბული ზედწერილი: ყან სამართლიანი. გარდა ამისა, მოცემულია თარიღი ჰიჯრ. 637 წელი (=1239/40 წწ.) და მოჭრის ადგილი – თბილისი. წარწერის ქვეშ მშვილდის გამოსახულება.

ზურგი: ცენტრში მოთავსებულია არაბული ლეგენდა: არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა.

ჯერჯერობით აუხსნელია, რატომაა ეს დირჰემი მოჭრილი ზოგადად „ყან სამართლიანის“ და არა მონღოლთა კონკრეტული მბრძანებლის სახელით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ დროს მონღოლთა კარზე დიდი უთანხმოება იყო და ამიტომაც უმჯობესად მიაჩნდათ მონეტაზე ზოგადად „ყანის“ მოხსენიება.

ხუთი წლის შემდეგ, კერძოდ, ჰიჯრ. 642 წელს (=1244/45 წწ.) თბილისის ზარაფხანაში მოიჭრა განსხვავებული დირჰემები (ულუს ბეკის დირჰემები მონადირე მხედრის გამოსახულებით).

შუბლი: გაჭენებულ ცხენზე მჯდარი მხედრის გამოსახულება მარცხ-

ნივ, ის შემოტრიალებულია მარჯვნივ და მშვილდს ეზიდება; უკან ყარყატის გამოსახულება; ცხენის ქვემოთ – მონადირე ძაღლის. რამდენიმე შემთხვევაში ყარყატის გამოსახულება შეცვლილია ვარსკვლავით ან სოლომონის ბეჭდით, და ძაღლის გამოსახულება – გაურკვეველი გამოსახულებით, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნას ან ქვეწარმავლად, ან ფოთლოვან ორნამენტად. სხვა ეგზემპლარებზე, რომლებიც უცნობ ზარაფხანაშია მოჭრილი, გაჭენებული ცხენზე მჯდარი მხედრის გამოსახულება მარჯვნივ არის მიმართული. ზემოთ: თურქულად – (ულუდ) მანგილ ულუს ბეკ. ამ ზედწერილის შინაარსის ორი ინტერპრეტაცია არსებობს: 1. ულუს ბეკი დიდი მონღოლის სახელით და 2. დიდი მონღოლი ულუს ბეკი.

ზურგი: არაბული ლეგენდა: არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა. იქედა თბილისს 642 წელს (=1244/45 წწ.).

უნდა აღინიშნოს, რომ იდენტური მონეტები თბილისის გარდა იჭრებოდა განჯაში, ბაქოში, ნახჩევანში და სხვ. არ უნდა იწვევდეს გავირვებას ყარაყორუმში მჯდარი დიდი ყაენის მოუხსენებლობა, რადგან ახალი დიდი ყაენის არჩევამდე ნომინალური ძალაუფლება ოღოთაის ქვრივის, ტურაკინას ხელში იყო მოქცეული.

აღსანიშნავია, რომ დედოფალ ტურაკინას ამ მონეტებზე მოთავსებული მშვილდოსნის კომპოზიცია ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ერზერუმში ადგილობრივი თურქი მმართველის, მუჰამად იბნ-სალდუქის (1174-1200 წწ.) მიერ მოჭრილი სპილენძის მონეტების ტიპთან. ბუნებრივია, რომ ეს მოტივი მოეწონათ მონღოლებს, რომლებიც ცნობილნი იყვნენ, როგორც „მოისართა ტომი“.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში დაცულია მომდევნო წლით (ჰიჯრ. 643 წ.) დათარიღებული უნიკალური ანონიმური მონეტა (ანონიმური დირჰემები ექვსქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით) (წონა – 2,61 გრ.).

შუბლი: პარალელური ხაზებისაგან შედგენილი ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ვარსკვლავის ცენტრში ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: ყან სამართლიანი.

ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული რელიგიური სიმბოლო: არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა. ზედწერილი მოთავსებულია ოთხკუთხა ჩარჩოში, რომელიც შემოვლებულია რკალით. რკალსა და ჩარჩოს შორის შექმნილ სეგმენტებში არაბულად: იქედა თბილისს, 643 წელს (=1245/46 წწ.).

თბილისის ზარაფხანაში ჰიჯრ. 652-659 წლებში (=1254-1261 წწ.) მანგუ ყაენის სახელით იჭრება ვერცხლის, ხოლო 652-654 წლებში (=1254-1257 წწ.) ასეთივე სპილენძის მონეტები (მანგუ ყაენის მონეტები):

შუბლი: მორკალულ კვადრატში მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: მანგუ ყაენი, უმაღლესი, სამართლიანი. კვადრატსა და რკალს შორის ოთხ სეგმენტში არაბულადვე მოჭრის ადგილი – თბილისი.

ზურგი: ასეთივე მორკალულ კვადრატში სამსტრიქონიანი რელიგიური ფორმულა არაბულად: არ არს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას მოზიარე. კვადრატსა და რკალს შორის ოთხ სეგმენტში არაბულადვე მოცემულია თარიღი, რომელიც შეიცავს არა მარტო წელს, არამედ თვესაც, ზოგჯერ კი – დღესაც.

მანგუს ყაენის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები ისეთივეა, როგორც ზემოთ აღწერილი ვერცხლის მონეტები.

თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მანგუ ყაენის ვერცხლის მონეტების საშუალო წონა 2,62 გრამია, ხოლო სპილენძის – 4,58 გრამი (დიდი ზომის მონეტებისათვის) და 2,5 გრამი (მცირე ზომის მონეტებისათვის). ჩანს, იჭრებოდა სპილენძის მონეტების ორი ნომინალი.

მანგუს ყაენის სახელით მოჭრილ მონეტებს ქრონოლოგიურად მოსდევს ე.წ. „ყაანური“. ტერმინი „ყაანური“ მომდინარეობს მონეტების შუბლის ლეგენდებიდან – „ყაან სამართლიანი“. ისინი ორი „ტიპისაა“. პირველი „ტიპის“ ვერცხლის „ყაანური“ იჭრებოდა ჰიჯრ. 660, 661 და 662 წლებში (=1261-1264 წწ.). მათი აღწერილობა ასეთია:

შუბლი: რთული გრეხილგეომეტრიული ექვსქიმიანი ვარსკვლავი, რომლის ცენტრში ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილია: ყაან სამართლიანი.

ზურგი: შემორკალულ ოთხკუთხაფიგურიან ჩარჩოში სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: არ არს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, არ ჰყავს მას მოზიარე. ჩარჩოსა და რკალს შორის სეგმენტებში არაბულადვე – მოჭრის ადგილი (თბილისი) და თარიღი (წელი, თვე).

მონეტის საშუალო წონაა 2,66 გრამი.

მეორე „ტიპის“ „ყაანურები“ ზემოთ აღწერილისაგან განსხვავდება მონეტის ზურგის დეტალებით, კერძოდ, სეგმენტებში აქ მოთავსებულია ორნამენტი, ხოლო თარიღი – რელიგიური სიმბოლოს პირ-

ველსა და მეორე სტრიქონს შორის. თარიღი მომცრო არაბული ნიშნებით არის გადმოცემული და ჰიჯრ. 663-678 წლების (=1264-1280 წწ.) რომელიმე ერთ-ერთ წელს შეიცავს. მათი საშუალო წონაა 2,61 გრამი.

როგორც ვხედავთ, თბილისის ზარაფხანა „ყაანურების“ სახით კვლავ ანონიმურ მონეტებს ჭრის. რით იყო ეს განპირობებული? 1259 წელს გარდაიცვალა მანგუ ყაენი და ყარაყორუმში კვლავ ატყდა გააფთრებული ბრძოლა ტახტისთვის. მანგუ ყაენის გარდაცვალების დროისთვის მისი ძმა ჰულაგუ მახლობელ აღმოსავლეთში განლაგებული მონღოლური ჯარების სარდალი იყო. ჰულაგუ შეიქმნა სპარსეთის, მესოპოტამიის და მონღოლთა მიერ დაპყრობილი მეზობელი ტერიტორიების დამოუკიდებელი მმართველი. მან საფუძველი ჩაუყარა ილხანთა ჰულაგუიდების დინასტიას, რომელიც საუკუნის განმავლობაში მართავდა ამ მხარეებს. დიდი ყაენის ტახტისთვის ბრძოლაში კი გაიმარჯვა ყუბილაიმ. შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო, რაც გამოწვეული იყო ტახტისთვის მოქიშპეობით, ჰულაგუ ყაენმა თავის სამფლობელოში დაიწყო ანონიმური მონეტების ემისია „ყაან სამართლიანის“ ეპითეტით, რომელიც თანაბრად მიესადაგებოდა ნებისმიერ გამარჯვებულ პრეტენდენტს. თბილისის ზარაფხანა 1261 წლიდან ვიდრე 1280 წლამდე ანონიმურ მონეტებს ჭრიდა.

უნდა აღინიშნოს რომ ვერცხლის „ყაანურები“, ტექნიკური თვალსაზრისით, კარგად არის მოჭრილი და მათი სინჯიც ძალიან მაღალია – 916.

ვერცხლის „ყაანურების“ გარდა, იჭრებოდა სპილენძის „ყაანურებიც“, მაგრამ, როგორც ფაქტობრივი მასალა მოწმობს, ძალიან მცირე რაოდენობით. მათი ადრეული ეგზემპლარი ჰიჯრ. 675 წლით (=1276/77 წწ.) თარიღდება.

ჰიჯრ. 680 წელს (=1281/82 წწ.) მონეტის იერსახე საქართველოში კვლავ იცვლება. იწყება ფრიად თავისებური და ორიგინალური დირჰემების ემისია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულ-ჰულაგუიდური მონეტების სახელწოდებითაა ცნობილი. ამ მონეტებზე პირველად სამონეტო საქმის ისტორიაში ილხანთა სახელები თავსდება, მაგრამ – ქრისტიანულ ლოცვასთან და ჯვრის გამოსახულებასთან ერთად. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო იყო ერთადერთი ჰულაგუიდების ქვეშევრდომთაგან, სადაც მონეტებზე ქრისტიანული ლოცვა თავსდებოდა. ეს კი, რა თქმა უნდა, ილხანთა მხრიდან დიდი კომპრომისი იყო და პირდაპირი მაჩვენებელია საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობისა. ქართულ-ჰულაგუიდური მონეტების ემისია ხორციელდებოდა ჰიჯრ. 680-694 წლებში (=1281/82-1294/95 წწ.).

შუბლი: ხუთსტრიქონიანი უიღურული წარწერა, რომელიც ეტაპობრივად შემდეგი ილხანების სახელებს გადმოგვცემს – აბაღა (1265-1282 წწ.), აჰმადი (1282-1284 წწ.), არღუნი (1284-1291 წწ.), ქელათუ (1291-1295 წწ.) და ბაიდუ (1295 წ.) (ლეგენდის ფორმა დაახლოებით ასეთია: ხაკანის სახელით აჰმადის მოჭრილი).

ზურგი: შემორკალულ კვადრატში ოთხ სტრიქონად განლაგებულია არაბულად გადმოცემული ქრისტიანული ლოცვა – სახელისა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა, ღვთისა ერთისა, და ქრისტიანულივე ემბლემა, ჯვარი. თარიღი კვადრატსა და რკალს შორის დარჩენილ სეგმენტებში თავსდება.

ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტებზე, როგორც წესი, ემისიის ადგილი არ აღინიშნებოდა. მაგრამ დ. კაპანაძის ცნობით, ბაქოში, აზერბაიჯანის ეროვნულ ისტორიულ მუზეუმში დაცულია ერთი ასეთი დირჰემი არაბული წარწერით: იჰედა თბილისს.

აღსანიშნავია, რომ აჰმადის სახელით აღბეჭდილ დირჰემზე ჯვარი ვარსკვლავითაა შეცვლილი, რასაც იმას მიაწერენ, რომ ჰულაგუიდებიდან მან პირველმა მიიღო ისლამი და მოინდომა ქრისტიანობის სიმბოლოს – ჯვრის განდევნა მონეტიდან. ამის შემდეგ ილხანთა სახელებს არაბულად იმეორებენ უიღურული ზედწერილის შემდეგ. აჰმადის მემკვიდრეების სახელით მოჭრილ ქართულ-ჰულაგუიდურ მონეტებზე ჯვრის გამოსახულება კვლავ თავის ადგილს იკავებს.

ქართულ-ჰულაგუიდური მონეტის საშუალო წონაა 2,2-2,3 გრამი. როგორც ვხედავთ, ის საგრძნობლად ჩამორჩება „ყაანურების“ წონას. ასევე შედარებით დაბალია მათი სინჯი – 875.

ქართულ-ჰულაგუიდური მონეტების პარალელურად იჭრებოდა აგრეთვე ასეთივე სპილენძის მონეტებიც. მათზე თარიღები თითქმის ყოველთვის დამახინჯებული, ან გადასულია, და მათი ქრონოლოგიის დადგენა ხერხდება მხოლოდ ილხანთა სახელის საშუალებით.

აქვე უნდა შევეხოთ ფრიად ორიგინალურ სპილენძის მონეტებს, რომელთა ატრიბუცია დღესაც სადისკუსიოა.

შუბლი: ოთხსტრიქონიანი უიღურული ზედწერილი: ხაკანის სახელით აბაღას მოჭრილი.

ზურგი: ტოლმკლავა ჯვრის ტოტებს შუა სომხურად დაქარაგმებულია „ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე“. ჯვრის ტოტების პარალელურად ოთხივე მხრიდან არაბული ზედწერილია: სახელისა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა, ღვთისა ერთისა.

ამ მონეტის მოსაჭრელად პროტოტიპად გამოყენებულია ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემები, რომელთა ემისია 1281/82 წლებში დაიწყო და 1294/95 წლებამდე გრძელდებოდა. ამიტომ მათი დათარიღება XIII საუკუნის მიწურულით სრულიად უეჭველია.

შუბლი: ვახტანგ III-ის ვერცხლისა და სპილენძის მონეტების (ვახტანგ III-ის მონეტები ქრისტიანული ლოგვით) სრული გამეორება იმ განსხვავებით, რომ ჯვრის გარშემო განლაგებული ზედწერილი ძალიან დამახინჯებულია. თარიღის ნაცვლად სეგმენტებში სრულიად გაურკვეველი ნიშნებია.

ზურგი: უხეშად შესრულებული მარჯვნივ მიმართული ლომი, ზურგზე სხივოსანი მზის გამოსახულებით (ე.წ. „რანკი“).

ვინაიდან ამ მონეტის შუბლის მხარე ვახტანგ III-ის ვერცხლისა და სპილენძის მონეტების იმიტაციაა, მისი დათარიღება XIII საუკუნის დასასრულით ეჭვს არ იწვევს.

შუბლი: შემორკალურ კვადრატულ ჩარჩოში მოთავსებული ჯვრის გამოსახულება. სეგმენტებში თარიღის ნაცვლად გაურკვეველი ნიშნები.

ზურგი: ე.წ. „რანკი“, როგორც წინა მონეტაზე.

ამ მონეტის სინქრონულობა ზემოთ აღწერილ ორ მონეტასთან არავითარ ეჭვს არ იწვევს.

დ. კაპანაძე და ირ. ჯალაღანია მიიჩნევენ, რომ ამ ანონიმური სპილენძის მონეტების ემისია უნდა განხორციელებულიყო რომელიმე ქართულ პროვინციაში, სადაც სომხური მოსახლეობა სჭარბობდა და არსებობდა მონეტის მოჭრის ტრადიცია (სადაც ქვემო ქართლში (?)).

მახლობელი აღმოსავლეთის ვრცელ ტერიტორიაზე ფართო ფულად მიმოქცევას, გაზრდილ საშინაო და საგარეო ვაჭრობას აბრკოლებდა ილხანთა ჰეგემონიის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებში მოჭრილი მონეტების მრავალფეროვნება, დაბალი წონა და სინჯი. სწორედ ამიტომ, ყაზან ყაენმა (1295-1304 წწ.) გაატარა სამონეტო რეფორმა, მოახდინა რა საფასეების სტანდარტიზაცია. ყაზან ყაენის რეფორმით (1296 წ.), ვერცხლის დირჰემის წონა 2,13 გრამით განისაზღვრა. აქედან მოკიდებული საქართველოში ჰულაგუიდთა სახელით მოჭრილი მონეტები საკუთრივ ირანში გამოშვებულ მონეტებისაგან განსხვავდება მხოლოდ და მხოლოდ ზარაფხანის სახელით.

ყაზანის სახელით თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ყველაზე ადრეული უნიფიცირებული მონეტა (ჰულაგუიდთა პოსტ-რეფორმუ-

ლი ემისიები) ჰიჯრ. 698 წელს (=1298/99 წწ.) განეკუთვნება.

შუბლი: ხაზოვან და წერტილოვან რკალში ჩასმული ოთხსტრიქონიანი უიღურული ზედწერილი: ზეცის ძალით, ყაზანის მოჭრილი. ლეგენდის ზემოთ ორნამენტი. მესამე და მეოთხე სტრიქონებს შორის არაბულად – ყაზან მაჰმუდი. მარცხნივ, ვერტიკალურად ტიბეტური დამწერლობით – ყაზან მაჰმუდი.

ზურგი: ორნამენტული ხუთკუთხედის შიგნით ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მოჭრილი თბილისში, მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა. ვერტიკალურად გვერდებზე – დაე, ღმერთმა დალოცოს ის. ხუთკუთხედსა და ხაზოვან რკალს შორის სეგმენტებში თარიღი – ჰიჯრ. 698 წელი (=1298/99 წწ.). ერთ-ერთ სეგმენტში ორნამენტი.

ყაზან ყაენის დროინდელი თბილისის ზარაფხანის პროდუქცია მხოლოდ დირჰემებითაა წარმოდგენილი. ყაზანის სახელით თბილისური მონეტები მოჭრილია ჰიჯრ. 698, 699, 700, 701 წლებში.

ყაზანის სახელით მოჭრილი ერთ-ერთი მონეტა ზემოთ აღწერილისაგან განსხვავდება მოჭრის ადგილით. ამ მონეტის მესამე სტრიქონზე იკითხება: მოჭრილი ახალციხეში. როგორც ჩანს, ყაზანის დროს საქართველოს ტერიტორიაზე მეორე ზარაფხანაც მოქმედებდა, კერძოდ, ახალციხეში, სამცხეში.

ევგ. პახომოვისათვის ცნობილი იყო ყაზან ყაენის უნიფიცირებული დირჰემის მსგავსი თბილისში მოჭრილი სპილენძის მონეტა (ჰიჯრ. 700 წ.=1300/1301 წწ.).

ყაზან ყაენის გარდაცვალების შემდეგ ტახტი დაიკავა მისმა ძმამ ოლჯაითუმ (1304-1316 წწ.). მან ისლამის მიღების შემდეგ ახალი სახელი, ხუდაბენდე (სპარს. ღვთის მონა) მუჰამედი დაირქვა. ახალი ილხანის მონეტაზე პირველად აღინიშნა ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი, ხოლო როდესაც მან შიიზმი აღიარა, ჰიჯრ. 709 წლიდან (=1309/1310 წწ.) მონეტაზე რწმენის შიიტური სიმბოლო და თორმეტი იმამის სახელი გაჩნდა.

თბილისის ზარაფხანის იმდროინდელი პროდუქცია ცნობილია მხოლოდ დირჰემებით და ორიანი დირჰემებით.

ოლჯაითუს შემდეგ, 1316 წელს ილხანის ტახტს იკავებს აბუსაიდი (1316-1335 წწ.). ოლჯაითუს მმართველობის ბოლო წლებში და აბუსაიდის ზეობის დროს ყაზან ყაენის სამონეტო რეფორმამ თანდათანობით ძალა დაკარგა. დირჰემის წონა ილხან აბუსაიდის მმართველობისას რამდენჯერმე შემცირდა. მისი მმართველობის ბოლო

წლებში დირჰემის წონა 1,4 გრამამდე დავიდა.

აბუ-საიდის სიკვდილის შემდეგ (1335 წ.) ილხანთა სახელმწიფო დაიშალა. ქართველთა რეალური ჰეგემონები თითქოს აზერბაიჯანის მმართველი ჩოხანიდები უნდა ყოფილიყვნენ. მათი მოწინააღმდეგეა ჯალაირიდების დინასტია.

ამიერიდან სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებები ჰულა-გუიდთა დინასტიიდან სულ ახალ და ახალ პრეტენდენტებს სვამენ ილხანის ტახტზე. ამ მარიონეტების სახელით აღმოსავლეთ საქართველოში მაინც იჭრება ფული.

თბილისის ზარაფხანაში შემდეგი მონეტები იჭრება: არფა ხანის სახელით (ჰიჯრ. 736 წ.=1335/36 წწ.), მუჰამედ ხანის სახელით (ჰიჯრ. 738 წ.=1337/38 წწ.), სათი ბეგ ხათუნის სახელით (ჰიჯრ. 739 წ.=1338/39 წწ.), სულეიმან ხანის სახელით (ჰიჯრ. 740 წ.=1339/40 წწ.; ჰიჯრ. 741 წ.=1340/41 წწ.; ჰიჯრ. 743 წ.=1342/43 წწ.) და ანუშირვანის სახელით (ჰიჯრ. 745 წ.=1344/45 წწ.; ჰიჯრ. 748 წ.=1347/48 წწ.; ჰიჯრ. 750-756 წწ.=1349-1355 წწ.).

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ილხანების – სულეიმანისა და ანუშირვანის მონეტების ნაწილი მოჭრილია კახეთის ერთ-ერთი ქალაქის, ყარაღაჯის, ზარაფხანაში.

ცნობილია ასევე ილხანების ოლჯაითუს, აბუსაიდის და ანუშირვანის სახელით თბილისში მოჭრილი სპილენძის ფულები. საერთოდ, ილხანების მიერ საქართველოში მოჭრილი სპილენძის მონეტები, ვერცხლის მონეტებთან შედარებით, მცირე რაოდენობითაა ჩვენამდე მოღწეული.

ჰიჯრ. 757 წელს (=1356 წ.) თბილისის ზარაფხანაში მონეტები იჭრება ოქროს ურდოს მმართველის ჯანიბეკ ჯუჩიდის სახელით, შემდეგ კი – ბერდიბეკ ჯუჩიდის სახელით (მონეტაზე თარიღი არ იკითხება) (ჯუჩიდების ფული).

ამ უიშვიათესი ცალების აღწერილობა ასეთია:

შუბლი: ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი – სულტანი სამართლიანი ჯანიბეკ ხანი. ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.

ზურგი: ექვსფურცლოვან ვარდულში, არაბულად – იჭედა თბილისს 757 წელს (=1356 წ.). ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.

შუბლი: არაბულად – სულტანი სამართლიანი . . . ხანი.

ზურგი: ექვსფურცლოვან ვარდულში, არაბულად – იჭედა თბილისს 757 წელს (=1356 წ.).

შუბლი: არაბულად – სულტანი ბერდიბეკ ხანი. იჭედა თბილისს . . .

ზურგი: არაბულად – არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა. ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი.

ეს უკანასკნელი მონეტა მომდინარეობს სომხეთში 1912 წელს აღმოჩენილი განძიდან და ინახება ერმიტაჟში.

როგორც ცნობილია, აბუ-საიდის (1316-1333 წწ.) გარდაცვალების შემდეგ ილხანების სახელმწიფო დაიშალა და აზერბაიჯანი ხელში ჩოხანიდებმა ჩაიგდეს. აქ მათ სასტიკი რეჟიმი დაამყარეს. ამით შეწუხებული ქვეყნის მესვეურნი ოქროს ურდოს ხანს ჯანიბეკს სთხოვდნენ აზერბაიჯანის შეერთებას ჩრდილოეთ ულუსთან. ჯანიბეკი (1342-1357 წწ.) აზერბაიჯანის მიმართ ოქროს ურდოს ტრადიციულ პოლიტიკას ახორციელებდა. მან, წერილობითი წყაროების ცნობების თანახმად, ჰიჯრ. 758 წელს (=1357 წ.) დაამარცხა ჩოხანიდი მელიქ აშრაფი, აიღო თავრიზი და მოკლე ხნით აზერბაიჯანი ჯუჩის ულუსს შეუერთა. ამ ლაშქრობის შედეგად თავრიზის (აგრეთვე აზერბაიჯანის სხვა ქალაქების) ზარაფხანამ ჰიჯრ. 757 წელს (=1356 წ.) მოჭრა ვერცხლის მონეტები ჯანიბეკის სახელით. აქ წყაროების ჩვენებასა და ნუმიზმატიკურ მასალას შორის ერთგვარი წინააღმდეგობაა: წყაროები ჯანიბეკის ლაშქრობის თარიღად ჰიჯრ. 758 წელს დებს, ხოლო მონეტების მიხედვით ეს ჰიჯრ. 757 წელს უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, ნუმიზმატიკურმა მასალამ მეტი ობიექტურობით ასახა ეს ფაქტი, ვიდრე წერილობითმა წყაროებმა. პარალელურად, თბილისის ზარაფხანა იმავე ჰიჯრ. 757 წელს ახორციელებს სამონეტო ემისიას ჯანიბეკის სახელით.

ახლა, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ გიორგი ბრწყინვალემ 1337/38 წლებში დაიმორჩილა ოსეთი კავკასიონის ქედს მიღმა და ქართველმა მეფეებმა (გიორგი V, დავით IX) ოქროდ ურდოს გავლენის სფეროში, კერძოდ, ალაგირსა და ყარჯინში მონეტები ილხანების სახელით მოჭრეს (1338/39, 1348/50 წწ.), მაშინ სრულიად აშკარაა, რომ ჯუჩიდებმა საქართველოს წინააღმდეგ სარევეანშო ლაშქრობა მოაწყვეს და თბილისის ზარაფხანაში საკუთარი სახელით მონეტები მოჭრეს.

ჰიჯრ. 758 წელს თბილისის ზარაფხანა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ცვლილებებს, ოქროს ურდოს პოლიტიკურ ცხოვრებაში რომ მოხდა. ჯანიბეკი აზერბაიჯანში დიდხანს არ დარჩენილა. აქ მან მოადგილედ თავისი შვილი ბერდიბეკი დატოვა და სარაისაკენ გასწია. გზაში ის ავად გახდა. ბერდიბეკი სასწრაფოდ გამოცხადდა მთავარბანაკში და სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. ეს პოლიტიკური აქცია დაუყოვნებლივ აისახა თბილისის ზარაფხანის მიერ ბერდიბეკის სახელით მოჭრილ ვერცხლის ფულეზზე. მართალია, მონეტაზე წელი

წაშლილია, მაგრამ იქ რომ 758 წელი უნდა ყოფილიყო ამოკვეთილი, ეს დავას არ იწვევს.

ბერდიბეკის მიერ აზერბაიჯანში მოადგილედ დატოვებულმა ახიჩუკმა უღალატა პატრონს და ხელთ იგდო ძალაუფლება. მაგრამ მისი ბატონობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ხანმოკლე აღმოჩნდა. ჰიჯრ. 759 წელს (=1357/58 წწ.) სპარსეთის ერაყი და აზერბაიჯანი ქალაქ თავრიზით დროებით დაიპყრეს მუზაფარიანებმა. შემდეგ კი ჯალაირიდი შეიხ ოვეისი ამარცხებს მუზაფარიანებს და შეიპყრობს ახიჩუკსაც.

საქართველოში ფულის მოჭრა ჯალაირიდებს დაეკუთვნება. ეს დასტურდება შეიხ ოვეისის სახელით თბილისში მოჭრილი ფულით. თბილისში უკვე ჰიჯრ. 759 წელს (1357/58 წწ.) მისი სახელით იჭრება ვერცხლის მონეტა (ჯალაირიდების ფული).

შუბლი: ორმაგ წრეში მოთავსებული სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი – სულტანი უმაღლესი, ოვეის ბაჰადურ ხანი, განიგრძოს მეფობა მისი. გარშემო – იქედა თბილისს, 759 წელს (=1357/58 წწ.).

ზურგი: ორმაგ წრეში მუსლიმური რწმენის ფორმულა და ოთხი ხალიფას სახელი.

ჰიჯრ. 766 წელს (1364/1365 წწ.) ჯალაირთა სახელმწიფოში დირჰემის ახალი ნიმუში შემოიღეს. ასეთი ფული თბილისის ზარაფხანაშიც მოიჭრა. ეს მონეტები ცნობილი გახდა 1955 წელს ლენინგორის (ახალგორის) რაიონის სოფ. ძუკატში აღმოჩენილი განძის წყალობით, რომელიც 83 ვერცხლის წვრილ მონეტას შეიცავდა. ვიძლევიტ სანიმუშო ცალის აღწერილობას:

შუბლი: სამი ნახევარწრისგან შედგენილ ბუდეში არაბულად – ოვეისი სულტანი, დაე განიგრძოს მეფობა მისი. ბუდეებს შორის შექმნილ არეში მოჭრის ადგილი – იქედა თბილისს. ბუდეების გარშემო უნდა იყოს თარიღი, რომელიც ლენინგორის განძის არც ერთ ეგზემპლარზე არ იკითხება.

ზურგი: ექვსი ნახევარწრისგან შედგენილ ბუდეში, რომელიც თავის მხრივ წერტილოვან ჩარჩოშია მოთავსებული, მუსლიმური სარწმუნოებრივი სიმბოლო – არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა.

ირ. ჯალაღანას აზრით, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ეგზემპლარზე ემისიის თარიღი არ იკითხება, სავარაუდოდ, ისინი ჰიჯრ.

	766-776 წლებით (=1364-1375 წწ.) უნდა დათარიღდეს, რადგან ჰიჯრ. 766 წელს პირველად შემოიღეს მონეტის ეს ნიმუში, ხოლო ოვეისი გარდაიცვალა ჰიჯრ. 776 წელს.
--	---

ბიბლიოგრაფია	<p>გ. დუნდუა. ფული საქართველოში. თბ. 2003 (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა) (თ. დუნდუასთან, ნ. ჯავახიშვილთან და ა. ერისთავთან თანაავტორობით); ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006, ქართული ნუმიზმატიკა. II. თბ. 2011 (თ. დუნდუასთან თანაავტორობით); ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009 (ირ. ჯალალ-ნიასთან თანაავტორობით); XIV საუკუნის აღმოსავლურქართული ემისიები. თბ. 2010 (თ. დუნდუასთან თანაავტორობით).</p> <p>დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969.</p> <p>თ. ლომოური. ქოდალას განძი. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სსმმ). XIV-B. თბ. 1947; ქოდალას განძი. II ნაწილი. კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2005; საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობის საკითხისათვის XIV ს. (აღის განძის ჯუჩიდური ფულები). კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2005; აჰმედ ჯალაირის და გიორგი VII-ის მონეტები. კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2005; უკანასკნელი ილხანების ფული საქართველოში. კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2005.</p> <p>ც. ღვაზერძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯეღაირთა სახელმწიფოსთან. თბ. 1986.</p> <p>И. Л. Джалаганиа. Из истории монетного дела в Грузии XIII века. Тб. 1958.</p> <p>Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика. М. 1955.</p> <p>Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Тб. 1970; Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Вып. I-IX. Баку. 1926-66.</p>
---------------------	--

	D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New-York. 1955.
--	--

<p>უცხოური ფული ქართულ სამონეტო ბაზარზე</p>	<p style="text-align: center;">აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი XIII-XIV საუკუნეების იმპორტული მონეტები</p> <p>აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ამ პერიოდის იმპორტული მონეტების მიმოხილვისას ყურადღებას, ძირითადად, სამონეტო კომპლექსების ჩამოთვლაზე გავამახვილებთ, ვინაიდან მათი შემადგენლობა რელიეფურად წარმოაჩენს უცხოეთიდან შემოტანილი მონეტების ცირკულაციის სურათს აღმოსავლეთ საქართველოში.</p> <p>1. ქოდალას განძი. მოქ. ი. მოსულიშვილის საშუალებით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სამ წყებად (1940, 1941 და 1948 წლებში) შევიდა ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც შედგება 502 მონეტისგან. განძი ნაპოვნია სოფ. ქოდალაში (გურჯაანის რაიონი).</p> <p>ქოდალას განძი შეისწავლა და გამოაქვეყნა თ. ლომოურმა, ხოლო ზოგი რამ დააზუსტა ც. ღვაბერიძემ.</p> <p>თ. ლომოურის ატრიბუციით, განძი შეიცავს ყაზან ყაენის (1295-1304 წწ.) და სულთან ოლჯაითუს (1304-1316 წწ.) სახელით გამოშვებულ ფულს, აგრეთვე ერთ სელჩუკურ მონეტას, რომელიც ეკუთვნის რუმის სულთან ქაიხოსრო II-ს (1236-1245 წწ.).</p> <p>განძში შემავალი მონეტების უმრავლესობა (491 ც.) დირჰემებია, 10 მონეტა წარმოდგენილია სხვა ნომინალის – ორიანი დირჰემის სახით. განძის ძირითად ნაწილს ყაზან ყაენის სახელით მოჭრილი მონეტები წარმოადგენს.</p> <p>განძის ხელმეორედ გადათვალიერების შემდეგ დადგინდა-დაზუსტდა თარიღები და ზარაფხანის სახელები. განძში შემდეგ ზარაფხანებში მოჭრილი მონეტებია: თბილისი (166 ც.), თავრიზი (62 ც.), ახალციხე (18 ც.), სივასი (20 ც.), ჯეზირე (16 ც.), სამსუნი (3 ც.), ბაზარი (12 ც.), ნახჭევანი (12 ც.), ხლათი (9 ც.), ნისა (13 ც.), ირბილი (9 ც.), ბარდავი (8 ც.), ბაღდადი (7 ც.), ერზინჯანი (7 ც.), სინჯარი (6 ც.), მოსული (5 ც.), თოკათი (4 ც.), ერზერუმი (3 ც.), ისპაჰანი (3 ც.), ანისი (3 ც.), ამასია (7 ც.), ბექ-ბაზარი (8 ც.), ჰილე (2 ც.), მაიაფარიკინი (2 ც.), ჰიდლისი (1 ც.), განჯა (1 ც.), სავე (1 ც.), ვასიტი (1 ც.), არმინია (?) (1 ც.), შირაზი (1 ც.), ჰამადანი (1 ც.), ქაშანი (1 ც.), რავია (1 ც.), ნიშაბური (1 ც.), შუსთერი (3 ც.).</p> <p>თ. ლომოურის მიერ ყაზან ყაენის უნიფიცირებული დირჰემის</p>
---	--

რამდენიმე ცალზე ამოკითხულ ზარაფხანის სახელწოდებაში ც. ღვაბერძემ ეჭვი შეიტანა. თ. ლომოური კითხულობს ზარაფხანის სახელს „სამსუნი“. ზარაფხანის სახელის მოხაზულობის მიხედვით კი ეს უნდა იყოს „ნისა“, ქალაქი კასპის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საქარავნო გზაზე, აშხაბადიდან 20 კმ. დაშორებით.

განძის მესამედს შეადგენს თბილისის ზარაფხანის პროდუქცია; მეორე ადგილზე დგას თავრიზის, შემდეგ სივასის, ახალციხის და აშ. აღმოსავლეთ საქართველოს შიდა ბაზრის მოთხოვნილებას ძირითადად აკმაყოფილებდა თბილისის ზარაფხანა.

თ. ლომოურმა ქოდალას განძი დაათარიღა ჰიჯრ. 694-715 წლებით (1294-1315/16 წწ.). ც. ღვაბერძემ განძი გადაათარიღა ჰიჯრ. 696-705 წლებით (1296-1306 წწ.). განძის ჩამარხვა ჰიჯრ. 705 წლის (1306 წ.) შემდეგ მოხდა.

2. 1979 წელს სოფ. ფოკაში (ნინოწმინდის რაიონი) ფარავნის ტბის პირას შემთხვევით იპოვეს ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც თიხის ჭურჭელში იყო მოთავსებული. განძის ნაწილი დაიკარგა და მხოლოდ 155 ცალია დაცული სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში. კომპლექსი შეიცავს ოლჯაითუს სახელით მოჭრილ მონეტებს (ორიანი და ერთიანი დირჰემები) შემდეგი ზარაფხანებიდან: თბილისი (27 ც.), ანისი (14 ც.), სამსუნი (?) (11 ც.), თავრიზი (8 ც.), ბაზარი (3 ც.), ბარდავი (1 ც.), გარნისი (1 ც.), ბაღდადი (1 ც.), სულთანია (1 ც.), ერზინჯანი (1 ც.). განძის ყველაზე ადრეული მონეტა თარიღდება ჰიჯრ. 709 წლით (1309/1310 წწ.), უგვიანესი – ჰიჯრ. 715 წლით (1315/1316 წწ.). ფოკას განძი დაფლული უნდა იყოს 1316 წლის შემდეგ. ფოკას განძის მონეტების რეატრიბუციის შედეგად, ზარაფხანების მიხედვით დირჰემების რაოდენობრივი გადანაწილება რამდენადმე განსხვავებულია.

3. 1968 წელს სოფ. ურაველში (ახალციხის რაიონი) საკარმიდამო ნაკვეთში ძველი შენობის დანგრევისას ნაპოვნია XIII-XIV საუკუნეების ვერცხლის მონეტები. განძის შემადგენლობა ასეთია: ა) რუმის სელჩუკთა XIII საუკუნის 20-30-იანი წლების დირჰემები – 5 ც., ბ) „ყაანური“ I „ტიპი“ – 1 ც., გ) „ყაანური“ II „ტიპი“ – 2 ც., დ) ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემები – 4 ც., ე) მეფე ვახტანგ III-ის (1297-1308 წწ.) ჰიჯრ. 698 წლის (1298/99 წწ.) დრამები, თბილისის ზარაფხანა – 4 ც., ვ) ჰულაგუიდ ყაზან ყაენის დირჰემები – 2 ც., ზ) ჰულაგუიდ აბუსაიდის დირჰემი – 1 ც. განძი ჩამარხული უნდა იყოს 1333 წლის შემდეგ. ის დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში.

4. 1958 წელს სოფ. დარჩიეთში (გურჯაანის რაიონი) საყანე მიწის დამუშავების დროს ნაპოვნი ვერცხლის მონეტების განძიდან 3 ცა-

ლი შევიდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში: 1. ქაიხოსრო სელჩუკიდის (?) დირჰემი, გამოშვებული ჰიჯრ. 628 წელს (1230/1231 წწ.); 2. აბაღა ჰულაგუიდის (1265-1282 წწ.) დირჰემი და 3. აბუსაიდის ორიანი დირჰემი, მოჭრილი ჰიჯრ. 724 წელს (1323/1324 წწ.) თავრიზში.

5. 1979 წელს სოფ. ჯანდარაში (მარნეულის რაიონი) ტრაქტორით მიწის დამუშავების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების პატარა განძი (11 ც.). 3 მონეტა ოლჯაითუს სახელით თბილისში არის მოჭრილი, ორი მათგანი – ჰიჯრ. 714 წელს (1314/1315 წწ.). 1 მონეტა ანისის ზარაფხანას მიეკუთვნება და ჰიჯრ. 711 წლით (1311/1312 წწ.) თარიღდება. 7 ორიანი დირჰემი ილხან აბუსაიდს (1316-1335 წწ.) ეკუთვნის, აქედან 4 თბილისშია მოჭრილი ჰიჯრ. 727 წელს (1326/1327 წწ.). ორ მონეტაზე ზარაფხანა არ იკითხება, ხოლო ერთი სულთანიაშია გამოშვებული ჰიჯრ. 724 წელს (1323/1324 წწ.). სავარაუდოდ, განძი XIV საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს არის ჩამარხული. მონეტები დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში.

6. 1948 წელს სოფ. გრიგოლათის მიდამოებში (ხარაგაულის რაიონი) აღმოჩენილი ვერცხლის მონეტების განძი მპოვნელებმა დაინაწილეს. მოხერხდა 3 ეგზემპლარის შემოწმება. სამივე მათგანი ილხან აბუსაიდის ორიანი დირჰემი იყო.

7. 1936 წელს დმანისის რაიონის სოფ. პატარა გომარეთში წვიმების შედეგად გადარეცხილ ნიადაგში აღმოჩნდა თიხის ქოთანი, რომელშიც 92 ვერცხლის მონეტა იყო. ისინი ეკუთვნის უკანასკნელ ჰულაგუიდებს: მუჰამედი (1335-1338 წწ.) – 2 ც., სათი ბეგი (1338-1340 წწ.) – 5 ც., ტულათემური (1336-1340 წწ.) – 1 ც., სულეიმანი (1339-1346 წწ.) – 80 ც. 4 ცალი გაურკვეველია. დირჰემები მოჭრილია შემდეგ ზარაფხანებში: ბაზარი, თბილისი, თავრიზი, შირვანი (?), ბარდავი, სულთანია, ანისი. განძი უნდა ჩამარხათ XIV საუკუნის 40-იანი წლების შემდეგ.

8. 1862 წელს სოფ. სართიჭალაში (საგარეჯოს რაიონი) იპოვეს უკანასკნელი ჰულაგუიდების ვერცხლის მონეტები (243 ც.). განძი აღმოჩნდა ძველებურ აკლდამაში ჩადგმულ ფერადი ფაიანსის ქილაში. მისი შემადგენლობა ასეთია: სათი ბეგ ხათუნის ფული (ჰიჯრ. 739 წ.=1338/1339 წწ.) მოჭრილია შემდეგ ზარაფხანებში – არდებილი, ბაზარი, ბელაქანი, ხოი და ზოგი გაურკვეველი; სულეიმანის მონეტები (ჰიჯრ. 740 წ.=1339/1340 წწ.) – შემდეგ ზარაფხანებში: არდებილი, ბაზარი, ბაქო (?), ბაიბურთი, ბარდავი, ბელაქანი, ქაშანი, კალისტუვანი, ნახიჩევანი, ჰამადანი, თავრიზი, მარაღა, სულთანია, ხოი, სალმასი. განძი XIV საუკუნის შუა ხანებში უნდა იყოს ჩამარხული.

9. 1954 წელს ცხინვალ-ხეთის გზის გაფართოების დროს აღ-

მოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი. განძი გაიფანტა. გადარჩენილი 22 ცალი ეკუთვნოდა ილხანებს – სათი ბეგსა და სულეიმანს.

10. სოფ. ლელიანში (ლაგოდეხის რაიონი) მიწის სამუშაოების დროს თიხის ქოთანში აღმოჩნდა ილხანთა მონეტების განძი, რომელიც მპოვნელებმა დაიტაცეს. გადარჩენილი 5 მონეტა 1962 წელს შევიდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ხუთივე მონეტა მოჭრილია სულეიმანის სახელით ჰიჯრ. 741 წელს (1340/1341 წწ.) სხვადასხვა ზარაფხანაში – თავრიზი, ბარდავი, თბილისი. ორ მონეტაზე ზარაფხანის სახელი გადაშლილია.

11. 1933 წელს სოფ. ლიკანში (ბორჯომის რაიონი) მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების მოზრდილი განძი. აქედან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მხოლოდ 2 ცალი შევიდა. მონეტები სულეიმან ჰულაგუიდის ორიანი დირჰემებია, მოჭრილი ჰიჯრ. 742 წელს (1341/1342 წწ.).

12. 1953 წელს სიღნაღის რაიონის საბჭოთა მეურნეობის საცდელი სადგურის ტერიტორიაზე (სადგურ წნორისწყალთან) აღმოჩნდა ვერცხლის ფულის განძი, რომელიც მპოვნელებმა დაინაწილეს. ერთი ცალი ილხან სულეიმანის მონეტა იყო.

13. 1952 წელს სოფ. ფოდაანთან (ლაგოდეხის რაიონი) შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი ვერცხლის მონეტებით, დაახლოებით 150 ეგზემპლარი. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, განსაზღვრის მიზნით, მიიტანეს ორი მონეტა, ილხანების სულეიმანის და ანუშირვანის (1344-1356 წწ.) სახელით მოჭრილი. სულეიმანის მონეტა თბილისის ზარაფხანის პროდუქციაა.

14. 1940 წელს სოფ. ყარაღაჯში (წითელწყაროს/დედოფლისწყაროს რაიონი) იპოვეს ჰულაგუიდების ვერცხლის მონეტების განძი. სიძველეთა დაცვის კომიტეტის მეშვეობით, ის გადაეცა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ მუზეუმს. განძი შედგება სულეიმანის და ანუშირვანის მონეტებისგან. ერთის გამოკლებით, ყველა ერთიანი დირჰემია. სულეიმანის მონეტები მოჭრილია შემდეგ ზარაფხანებში: თავრიზი, სულთანია, 6 ცალზე ქალაქის სახელი არ იკითხება. ანუშირვანის მონეტები მოჭრილია შემდეგ ზარაფხანებში: არდებილი, ბაზარი, თავრიზი, ყარაღაჯი, მარაღა, ბარდავი, გუმტასბი, განჯა, თბილისი, შირვანი. გარკვეულ ცალებზე ქალაქის სახელი არ იკითხება. განძი ჩამარხული უნდა იყოს XIV საუკუნის მესამე მეოთხედის დასაწყისში.

15. 1957 წელს წითელწყაროში, გიორგი სააკაძის ქუჩაზე, მიწის დამუშავების დროს იპოვეს ილხან ანუშირვანის ვერცხლის მონეტების განძი. განძი ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუ-

ზეუმში. განძი შედგება 6 ორიანი დირჰემისგან. განძის ყველაზე ადრეული მონეტა განეკუთვნება ჰიჯრ. 747 წელს (1346/47 წწ.), გვიანი – ჰიჯრ. 755 წელს (1354 წ.).

16. იმავე ყარაღაჯში 1949 წელს ნიადაგის შესწავლის დროს იპოვეს 24 ვერცხლის მონეტა, მოჭრილი ჰულაგუიდ ანუშირვანის სახელით. წარმოდგენილია შემდეგი ზარაფხანები: ანისი, შირვანი, განჯა, თავრიზი, ბაზარი, მარაღა. განძის ადრეული მონეტა განეკუთვნება ჰიჯრ. 748 წელს (1347/1348 წწ.), გვიანი – ჰიჯრ. 753 წელს (1352/1353 წწ.). მისი ჩამარხვა შეიძლება მომხდარიყო XIV საუკუნის მესამე მეოთხედში. განძი დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში.

17. 1860 წელს თბილისის მახლობლად აღმოჩნდა 60-მდე ვერცხლის მონეტა მოჭრილი ჰულაგუიდების, ჯუჩიდების, ჯალაირიდების და მუზაფარიდების სახელით ჰიჯრ. 740-759 წლებში (1339/40-1357/58 წწ.). განძის ერთი ნაწილი სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟს გადაეცა.

18. 1861 წელს თბილისის მიდამოებში იპოვეს განძი, რომელიც 160 ვერცხლის მონეტას შეიცავდა. განძი შედგებოდა ჰულაგუიდების, ჯუჩიდების, ჯალაირიდების და გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის სახელით თბილისში მოჭრილი წვრილი მონეტებისგან. განძი XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს ჩამარხული.

19. 1955 წელს სოფ. ძუკატში (ახალგორის რაიონი) გზის გაყვანის დროს იპოვეს თიხის ჭურჭელი, რომელშიც 83 ცალი ვერცხლის წვრილი მონეტა იყო. მონეტები ერთნაირია და მოჭრილია ჯალაირიდი შეიხ ოვეისის (1356-1375 წწ.) მიერ თბილისის ზარაფხანაში.

20. 1900-იან წლებში თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი განძებიდან ე. პახომოვს შემოწმებული აქვს შეიხ ოვეისის (3 ც.) და აჰმედის (19 ც.) მონეტები. ისინი თითქოს მინაბადები ყოფილა.

21. 1948 წელს სოფ. ბოშურას (გორის რაიონი) მიდამოებში მწყემსებს უპოვიათ თიხის ჭურჭელი, რომელშიც მოთავსებული ყოფილა 300-მდე ვერცხლის ფული. განძის მონეტები მპოვნელებმა დაინაწილეს. მოხერხდა ერთი მათგანის ატრიბუცია. ის გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის სახელით მოჭრილი მონეტა აღმოჩნდა.

22. 1950 წელს სოფ. ფაცვისხევთან (გორის რაიონი) ნაპოვნი იყო ვერცხლის წვრილი ფულის განძი, რომელიც მპოვნელებმა დაირიგეს. გორის მუზეუმმა მოგვიანებით 72 ცალს მოუყარა თავი. ეს ნაწილი შემდეგ მონეტებს შეიცავს: 1. გაურკვეველი ქართული მონეტა ცხოველის გამოსახულებით – 1 ც., 2. გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის ვერცხლის მონეტები, არაბულ ზედწერილით – 68 ც., 3. გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის ვერცხლის მონეტები, ქართულ

ზედწერილით – 3 ც.


23. 1900-იან წლებში ახალციხის რაიონში აღმოჩენილი კირმანული თეთრის განძიდან ე. პახომოვს ოციოდე ცალი შეუმოწმებია.

24. 1905 წელს დუშეთში ნაპოვნი იყო განძი, რომელიც მაშინვე დაიფანტა. გადარჩენილი 4 მონეტა კირმანული ყოფილა.


25. 1900 წელს გორის რაიონში აღმოჩნდა ჯუჩიდური მონეტების განძი, რამდენიმე ქართული მონეტა და კირმანული.

26. ე. თაყაიშვილის ცნობით, 1905 წელს დუშეთის რაიონში აღმოჩენილა განძი, რომელიც 960 ვერცხლის მონეტას შეიცავდა. განძი გაიფანტა. გადარჩენილი 4 მონეტა, ე. პახომოვის განსაზღვრით, შემდეგია: 1. „მეფეთა მეფე გიორგი“, ე.წ. „გიორგაული“ (გიორგი VII-ის მონეტები „გახელილი თვალის გამოსახულებით“), 2. კირმანული თეთრი, 3. ორი ჯუჩიდური, თოხთამიშის სახელით მოჭრილი ურდოში. ერთ მათგანზე იკითხება თარიღი ჰიჯრ. 792 წელი (1389/90 წწ.).

27. 1925 წელს სოფ. ალში (ხაშურის რაიონი) აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც 471 ვერცხლის მონეტას შეიცავს. ის დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში. განძი შედგება შემდეგი მონეტებისგან: 1. 204 ც. ოქროს ურდოსი, 2. ჯალაირიდების – 4 ც., 3. კირმანული – 1 ც., 4. გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის – 249 ც., 5. გაურკვეველი ქართული – 10 ც., 6. გაცვეთილი – 2 ც. განძი ჩამარხული უნდა იყოს XIV საუკუნის მიწურულს, ან XV საუკუნის დასაწყისში.

ჯგუფი	XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული
ტიპი	მონეტები ორი დავითის გამოსახულებით
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი. რემედიუმი: 2,3 გრ.-2,9 გრ. d=23/24 მმ.</p> <div style="text-align: center;">  </div> <p>შუბლი: ორი მეფის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ. ორივეს თავზე გვირგვინები (სტემა) ადგას და თვლებით შემკული საიმპერატორო სამოსი აცვია. მარცხნივ მდგომ წვერულვაშებიან მეფეს მარცხენა ხელში ლაბარუმი უჭირავს, ხოლო მარჯვენა ხელი დოინჯშემოყრილი აქვს. იგივე ლაბარუმი მარჯვნივ მდგომ უწვერო მეფესაც უჭირავს მარჯვენა ხელში, ხოლო მარცხენა ხელი მასაც დოინჯშემოყრილი აქვს. მონეტის მარცხენა და მარჯვენა კიდეებზე ვერტიკალურად განლაგებულია ქართული მთავრული ასოებით შესრულებული ზედწერილი: ԾՄԳ და ՄԽԾ რომელიც ასე იშიფრება: დავით მეფე, მეფეთა მეფე დავით.</p> <p>ზურგი: ტახტზე მჯდომი ღვთისმშობლის გამოსახულება პირდაპირ, რომელსაც თავს წერტილოვანი შარავანდედი ადგას და ნაკეცებიანი სამოსი აცვია. ტახტის სახელურზე დაყრდნობილი მარჯვენა ხელი მკერდზე აქვს მიდებული, მარცხენა ხელით ასევე ტახტის სახელურს უნდა ეყრდნობოდეს. გამოსახულების მარცხნივ, ერთ სტრიქონად, ქარაგმით შესრულებული ასომთავრული ზედწერილია: Ր Ծ – ე.ი. დედა(მ). მარჯვნივ, მთავრულივე ასოებით, აგრეთვე ქარაგმით, ორ სტრიქონად – ՈՒ Ը ՆԸ ღვთისა(მ).</p>
ზარაფხანა	ქუთაისი (?).
ნომინალი	რემედიუმი: 2,3 გრ.-2,9 გრ.
თარიღი	1261-1262 წწ.

კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 5 ცალი, მაგ. ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №1576; ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი – №2263.
----------	--

ჯგუფი	XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული
ტიპი	კირმანეული თეთრი, მანუილის სახელიანი ემისიები
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი.</p> <p>წონა: მაგ. 1,60 გრ., 1,63 გრ., 1,91 გრ., 1,93 გრ., 2,20 გრ., 2,23 გრ., 2,30 გრ., 2,35 გრ., 2,45 გრ., 2,70 გრ., 2,84 გრ., 2,88 გრ., 2,97 გრ.</p> <p>d=20/21 მმ., 21/22 მმ., 21/23 მმ., 22/23 მმ., 23 მმ., 24/25 მმ.</p> 




შუბლი: ფეხზე მდგომი წმ. ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, შარავანდედით და გრძელნაკეცებიანი წამოსასხამით. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიაანი ჯვარი უპყრია, მარცხენაში – სამოსის ნაკეცები. წმ. ევგენიოსის მარცხნივ და მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებულია ბერძნული ზედწერილი: O-A-ΓI/EY-ΓE-NI-O, ე.ი. წმინდა ევგენიოსი.


ზურგი: ფეხზე მდგომი იმპერატორის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, რომელსაც თავზე სტემა (საკიდრებიანი საიმპერატორო გვირგვინი) ახურავს და თვლებით მოოჭვილი საიმპერატორო სამოსელი აცვია. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიაანი ლაბარუმი უჭირავს, მარცხენაში – ანექსიკაკია. მარჯვნივ ზემოთ – ღვთაების მაკურთხებელი ხელი. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებულია ბერძნული ზედწერილი: M-N-Λ/O-K-MN – მანუილ კომნენოსი.

ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	რემედიუმი: მაგ. 1,60 გრ.-2,97 გრ.
თარიღი	XIII საუკუნის მეორე ნახევარი.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №2927, №2928,

	№2929, №4596, №4597, №4598, №4599, №4600, გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №5284, №6158, №6159-6161, №6162, №7866, №11159.
--	--

ჯგუფი	XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული
ტიპი	კირმანული თეთრი, იოანეს სახელიანი ემისიები
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი.</p> <p>წონა: მაგ. 1,43 გრ., 1,50 გრ., 1,64 გრ., 1,72 გრ., 1,85 გრ., 2,03 გრ., 2,05 გრ., 2, 24 გრ., 2,69 გრ., 2,70 გრ., 2,96 გრ.</p> <p>d=19/20 მმ., 19/21 მმ., 20 მმ., 20/22 მმ., 21/22 მმ., 21/23 მმ., 22/23 მმ.</p> 



	<div style="text-align: center;">  </div> <p>შუბლი: წმინდა ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე შარავანდედით და გულმკერდის არეში თვლებით შემკული წამოსასხამით. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიაანი ჯვარი უპყრია, მარცხენაში – წამოსასხამის ნაკეცი, რომლებიც წელის არეში აქვს მოკრეფილი. ბერძნული ზედწერილი ვერტიკალურად არის განლაგებული: Α-E-Υ/ΓΕ-NI. გარშემო გაცვეთილი წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები.</p> <p>ზურგი: ფეხზე მდგომი კეისრის გამოსახულება პირდაპირ, თვლებით მოოჭვილი საიმპერატორო სამოსით და სტემით. მარჯვენა ხელში მას მოკლებუნიაანი ლაბარუმი უჭირავს. მარჯვენა ზედა კუთხეში – ღვთაების მაკურთხებელი ხელი, ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი, ბერძნული ზედწერილი ვერტიკალურად არის განლაგებული: Ω-O K/N-O. შემორჩენილია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები.</p>
ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	რემედიუმი: მაგ. 1,43 გრ.-2,96 გრ.
თარიღი	XIII-XV სს.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – რამდენიმე ასეული ცალი, მაგ. ქგ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №2938, №2939, №2940, №2942, №3803, №3804, გგ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №2219, №2265, №2695, №5588, №5638, №5832, №6150, №6163, №6219, №6228, №12657.

ჯგუფი	XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული
ტიპი	კირმანეული თეთრი, ემისიები „კეისარი სამრკალიან სტემაში“
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი.</p> <p>1. წონა: მაგ. 1,08 გრ., 1,17 გრ., 1,23 გრ., 1,39 გრ., 1,51 გრ., 1,85 გრ., 1,93 გრ., 2,12 გრ., 2,28 გრ., 2,34 გრ.</p> <p>d=18/20 მმ., 18/21 მმ., 19 მმ., 19/20 მმ., 19/26 მმ.</p>



შუბლი: ფეხზე მდგომი წმინდა ევგენიოსის გამოსახულება პირდაპირ, მას თავზე შარავანდედი ადგას და წმინდანის სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ჯვარი უპყრია, მარცხენა – დოინჯშემოყრილი აქვს. ბერძნული ზედწერილი: O-Υ/T-E-N-O. შემორჩენილია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი.

ზურგი: კეისრის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის აქეთ და იქით საკიდრებია დაშვებული. კეისარი შემოსილია გრძელი და განიერი სამოსით. ჰორი-ზონტალურად გაწვდილ მარცხენა ხელში ჯვრიანი სფერო უპყრია, ნახევარრკალისებურად მოხრილ მარჯვენა ხელში – მოკლებუნიანი ლაბარუმი. მარჯვენა ზედა კუთხეში ღვთაების მკურთხებელი ხელია, ამავე მხარეს ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი. ბერძნული ზედწერილი: ΙΩ-O-KO/H-O.

2. წონა: მაგ. 1,37 გრ., 1,51 გრ., 1,65 გრ., 1,70 გრ., 1,89 გრ., 2,00 გრ., 2,01 გრ., 2,04 გრ., 2,4 გრ.

d=18/20 მმ., 18/21 მმ., 19 მმ., 19/20 მმ., 19/21 მმ., 19/22 მმ., 20 მმ., 20/22 მმ., 21 მმ., 21/22 მმ., 22/24 მმ.

შუბლი: წმინდა ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ. თავზე მას შარავანდედი ადგას და შემოსილია საიმპერატორო სამოსის მსგავსი ტანსაცმლით. მარჯვენა ხელში უპყრია გრძელბუნიანი ჯვარი, მარცხენა ხელი დოინჯშემოყრილი აქვს. ზედწერილი ასეთი ხასიათისაა: E-I/T-E-NY-O-O.

	<p>ზურგი: კეისრის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის აქეთ-იქით თვლიანი თითო საკიდია დაშვებული (სტემა), ყელის გარშემო – თვლებით შემკული მანიაკი, წინ – ჩამოშვებული ლოროსი. მარჯვენა ხელში ლაბარუმი უპყრია, მარცხენა ხელი დოინჯშემოყრილი აქვს. მარცხენა მხარეს ჯვრიანმა სფერომ სამფოთლოვანი ყვავილისებური ფორმა მიიღო, ლოროსის ბოლომ კი – ოთხკუთხედის, ორივე ერთად ჯვრიანი სფეროს და ლოროსის ბოლო ნაწილის გაერთიანებული და გადაგვარებული ნახაზია. მარჯვნივ ზემოთ – ღვთაების მაკურთხებელი ხელი, ამავე მხარეს ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი, ზედწერილი: Ω-O-K-H/N-O.</p>
ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	1. რემედიუმი: მაგ. 1,08 გრ.-2,34 გრ. 2. რემედიუმი: მაგ. 1,37-2,4 გრ.
თარიღი	XIII-XIV სს.
კოლექცია	<p>1. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №4633, გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №2653, №2668, №2691, №2694, №2718, №2740, №5201, №5991, №5992, №5993, №5994, №5995, №5996, №5997, №5999, №6001, №6003, №6004.</p> <p>2. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №607, №2950, გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №2543, №2546, №2567, №2580, №2581, №6111, №6115, №6129, №6138, №6146, №6205, №6204, №6212.</p>

ჯგუფი	XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული
ტიპი	კირმანეული თეთრი, ემისიები კეისრის წელზევითი გამოსახულებით
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი.</p> <p>წონა: მაგ. 1,12 გრ., 1,19 გრ., 1,25 გრ., 1,32 გრ., 1,43 გრ., 1,56 გრ., 1,57 გრ., 2,06 გრ., 2,52 გრ., 2,61 გრ.</p> <p>d=18/19 მმ., 19 მმ., 19/20 მმ., 20 მმ., 20/21 მმ., 21/22 მმ., 21/23 მმ., 22/24 მმ.</p>



შუბლი: წმინდა ევგენიოსის გამოსახულება წელზევით პირდაპირ. თავზე მას შარავანდედი ადგას და ნაკეცებიანი სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ლაბარუმი უპყრია, მარცხენაში – ჯვარი, შეიმჩნევა ლეგენდების კვალი.

ზურგი: კეისრის წელზევითი გამოსახულება პირდაპირ სტემაში, შემოსილია სწორი და ირიბნაკეცებიანი კეისრის სამოსით. მარჯვენა ხელში მას უპყრია მოკლებუნიანი ლაბარუმი, მარცხენაში – გრძელბუნიანი ჯვარი. მარჯვენა ილლიის ქვეშ ორი წერტილია, ამავე მხარეს – ფარი, ლეგენდა გადასულია, თუ საერთო არ არის ამოკვეთილი?! შეიმჩნევა წერტილოვანი რკალი.

ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	რემედიუმი: მაგ. 1,12 გრ.-2,61 გრ.
თარიღი	XIII-XIV სს.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №4616, №4617, გფ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №5880, №5881, №5882, №5884, №5885, №5886, №6097, №6100, №6198, №6199.

ჯგუფი	XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული
ტიპი	კირმანეული თეთრი, ემისია ასომთავრული ნიშნებით
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. წონა – 1,13 გრ. d=18/19 მმ.




შუბლი: წმინდა ევგენიოსი ჩვეულებრივ პოზაში, შარავანდედით და გრძელნაკეცებიანი სამოსით. მარცხნივ გაურკვეველი ნიშნებია. მარჯვნივ – ზემოთ ორი ქართული მთავრული ასოა: ႦႧ, ხოლო ქვემოთ ორ სტრიქონად სამი ბერძნული ასოა: ΓΕ-Ο.

ზურგი: კეისრის (მეფის) გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის ორივე მხრიდან სამთვლიანი საკიდია დაშვებული (სტემა). კეისარი საიმპერატორო ტანსაცმლითაა შემოსილი. წინ თვლებით შემოსილი ლოროსი აქვს ჩამოშვებული. დოინჯშემოყრილ მარცხენა ხელში მოკლებუნიანი ლაზარუმი უჭირავს, მარჯვენა ხელი თავისუფალი აქვს. მარცხნივ ვერტიკალურად და ორ სტრიქონად ორი ქართული მთავრული ასოთი შესრულებული ზედწერილი: ფ-შ.

ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	წონა – 1,5 გრ.
თარიღი	1389-1392 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – 1 ცალი, გფ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №6213.

ჯგუფი	XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული
ტიპი	კირმანეული თეთრი, ვამეყის ფული წმინდა ევგენიოსის გამოსახულებით
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. წონა – 2,91 გრ. d=20/21 მმ.

	<div style="text-align: center;">  </div> <p>შუბლი: ორნამენტულ ჩარჩოში შებრუნებით მოთავსებული მხედრული წარწერა – ვამეყ.</p> <p>ზურგი: ადამიანის სქემატური გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, როგორც ჩანს, ტრაპიზონის მფარველი წმინდანის, ევგენიოსის, რადგან მის მარცხნივ და მარჯვნივ შემორჩენილია ბერძნული ზედწერილი: O-E/TE-IN. გამოსახულებას თავზე გვირგვინი უნდა ედგას, რომლის ორივე მხრიდან თითო თვლიანი თითო საკიდია დაშვებული. მარცხნივ გაწვდილ და რკალისებურად მოხრილ მარჯვენა ხელში ბუნი უჭირავს. ის, შესაძლოა, ლაზარუმი ან ჯვარი იყოს.</p>
ზარაფხანა	ცხუმი (?).
ნომინალი	წონა – 2,91 გრ.
თარიღი	1384-1396 წწ.
კოლექცია	

სამეცნიერო კომენტარი	<p>XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული სამონეტო ჯგუფის სახელია. ის შედგება დავით ულუს და დავით ნარინის სახელით მოჭრილი ფულის (მონეტები ორი დავითის გამოსახულებით) და კირმანეული თეთრისგან.</p> <p>ორი დავითის მონეტის პროტოტიპი ბიზანტიის იმპერატორების იოანე II კომნენოსის (1118-1143 წწ.) და მიხაელ VIII პალეოლოგის (1258-1282 წწ.) ნუმიზმატიკური ძეგლები უნდა იყოს. მათი რიცხვი სულ ათი ცალით განისაზღვრება.</p> <p>მონეტები ორი დავითის გამოსახულებით. ვერცხლი. რემედიუმი: 2,3 გრ.-2,9 გრ. d=23/24 მმ.</p> <p>შუბლი: ორი მეფის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ. ორივეს თავზე გვირგვინები (სტემა) ადგას და თვლებით შემკული საიმპერატორო სამოსი აცვია. მარცხნივ მდგომ წვერულვაშებიან მეფეს მარცხენა ხელში ლაზარუმი უჭირავს, ხოლო მარჯვენა ხელი დოინჯშემოყ-</p>
-----------------------------	--

რილი აქვს. იგივე ლაბარუმი მარჯვნივ მდგომ უწვერო მეფესაც უჭირავს მარჯვენა ხელში, ხოლო მარცხენა ხელი მასაც დოინჯშემოყრილი აქვს. მონეტის მარცხენა და მარჯვენა კიდეებზე ვერტიკალურად განლაგებულია ქართული მთავრული ასოებით შესრულებული ზედწერილი: ԾՄԳ და ՄՄՆ რომელიც ასე იშიფრება: დავით მეფე, მეფეთა მეფე დავით.

ზურგი: ტახტზე მჯდომი ღვთისმშობლის გამოსახულება პირდაპირ, რომელსაც თავს წერტილოვანი შარავანდედი ადგას და ნაკეცებიანი სამოსი აცვია. ტახტის სახელურზე დაყრდნობილი მარჯვენა ხელი მკერდზე აქვს მიდებული, მარცხენა ხელით ასევე ტახტის სახელურს უნდა ეყრდნობოდეს. გამოსახულების მარცხნივ, ერთ სტრიქონად, ქარაგმით შესრულებული ასომთავრული ზედწერილია: Ծ Ծ – ე.ი. დედა(მ). მარჯვნივ, მთავრულივე ასოებით, აგრეთვე ქარაგმით, ორ სტრიქონად – ՈՒ Ը ՆԸ ღვთისა(მ).

მიღებული ქრონოლოგიის თანახმად, 1259 წელს მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა დავით ნარინი. ის დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ამით საქართველოს სამეფო de facto ორად გაიყო. სხვა ვერსიით, საქართველოს სამეფოს ორად გაყოფას ადგილი ჰქონდა ბევრად უფრო ადრე. ზოგი დასავლური წყარო ამ კუთხით თითქოს უფრო ნიშანდობლივია. საფრანგეთის მეფის ლუი IX-ის ელჩი ბერი გიომ დე რუბრუკი დიდი ყაენის კარზე გაემგზავრა. 1257 წელს ის საფრანგეთში დაბრუნდა და მოხსენებითი ბარათიც წარადგინა. აქედან, ერთი პასაჟი ძალზედ საინტერესოა: „ამ უბის იქით ზიქიაა (თანამედროვე ტუაპსეს მხარე, რუსეთის ფედერაცია – თ. დ.), რომელიც თათრებს არ ემორჩილება, და უფრო აღმოსავლეთით არიან სუენები და იბერები, რომლებიც ასევე არ ემორჩილებიან მათ“. ეს, უბრალოდ, ნიშნავს იმას, რომ 1257 წლისთვის დასავლეთ საქართველო მონღოლებისთვის უკვე დაკარგულია. 1257 წელი საქართველოს გაყოფის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია, თუკი რუბრუკმა უახლესი ინფორმაცია დაამატა საკუთარ შთაბეჭდილებებს. ქვედა ქრონოლოგიური ზღვარს კი განსაზღვრავს მისი ამ მხარეებში ყოფნის თარიღი. ეს კი 1255 წლის დასაწყისია. ყოველივე აღნიშნული ორი დავითის მონეტების ემისიის თარიღს არ ცვლის. 1260 წელს მონღოლებს დავით ულუც აუჯანყდა, მაგრამ დამარცხდა. ის ჯერ სამცხეში გადავიდა, მერე კი – დასავლეთ საქართველოში. ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ტახტზე ხანმოკლე დროით, ალბათ, 1261 წლის დასაწყისიდან 1262 წლის დამდეგამდე, ერთდროულად ორი მეფე აღმოჩნდა. სწო-

რედ ამ ხანებში მათ ორი მეფის სახელით მოჭრეს ვერცხლის საკმაოდ იშვიათი მონეტები.

რაც შეეხება ტრაპიზონის ასპრების ქართულ მინაბადებს, კირმანეულებს, ისინი ძირითადად ორი იმპერატორის მონეტების მიხედვით იჭრება: მანუილ I-ის (1238-1263 წწ.) და იოანე II-ის (1280-1297 წწ.). ქვემოთ ვიძლევიტ მათ აღწერილობას.

კირმანეული თეთრი, მანუილის სახელიანი ემისიები. ვერცხლი. რემედიუმი: მაგ. 1,60 გრ.-2,97 გრ. d=20/21-24/25 მმ.

შუბლი: ფეხზე მდგომი წმ. ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, შარავანდედით და გრძელნაკეციანი წამოსასხამით. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიანი ჯვარი უპყრია, მარცხენაში – სამოსის ნაკეცი. წმ. ევგენიოსის მარცხნივ და მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებულია ბერძნული ზედწერილი: O-A-ΠI/EY-TE-NI-O, ე.ი. წმინდა ევგენიოსი.

ზურგი: ფეხზე მდგომი იმპერატორის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, რომელსაც თავზე სტემა (საკიდრებიანი საიმპერატორო გვირგვინი) ახურავს და თვლებით მოოჭვილი საიმპერატორო სამოსელი აცვია. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიანი ლაბარუმი უჭირავს, მარცხენაში – ანექსიკაკია. მარჯვნივ ზემოთ – ღვთაების მაკურთხებელი ხელი. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებულია ბერძნული ზედწერილი: M-N-Λ/O-K-MN – მანუილ კომნენოსი.

კირმანეული თეთრი, იოანეს სახელიანი ემისიები. ვერცხლი. რემედიუმი: მაგ. 1,43 გრ.-2,96 გრ. d= 19/20-22/23 მმ.

შუბლი: წმინდა ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე შარავანდედით და გულმკერდის არეში თვლებით შემკული წამოსასხამით. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიანი ჯვარი უპყრია, მარცხენაში – წამოსასხამის ნაკეცი, რომლებიც წელის არეში აქვს მოკრეფილი. ბერძნული ზედწერილი ვერტიკალურად არის განლაგებული: Α-E-Υ/TE-NI. გარშემო გაცვეთილი წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები.

ზურგი: ფეხზე მდგომი კეისრის გამოსახულება პირდაპირ, თვლებით მოოჭვილი საიმპერატორო სამოსით და სტემით. მარჯვენა ხელში მას მოკლებუნიანი ლაბარუმი უჭირავს. მარჯვენა ზედა კუთხეში – ღვთაების მაკურთხებელი ხელი, ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი, ბერძნული ზედწერილი ვერტიკალურად არის განლაგებული: Ω-O K/N-O.

შემორჩენილია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები.

კირმანეული თეთრი, ემისიები „კეისარი სამრკალიან სტემაში“. ვერცხლი. რემედიუმი: მაგ. 1,08 გრ.-2,34 გრ. d= 18/20-19/26 მმ.

1. **შუბლი:** ფეხზე მდგომი წმინდა ევგენიოსის გამოსახულება პირდაპირ, მას თავზე შარავანდედი ადგას და წმინდანის სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ჯვარი უპყრია, მარცხენა – დოინჯშემოყრილი აქვს. ბერძნული ზედწერილი: O-Y/T-E-N-O. შემორჩენილია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი.

ზურგი: კეისრის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის აქეთ და იქით საკიდრებია დაშვებული. კეისარი შემოსილია გრძელი და განიერი სამოსით. ჰორიზონტალურად გაწვდილ მარცხენა ხელში ჯვრიანი სფერო უპყრია, ნახევარრკალისებურად მოხრილ მარჯვენა ხელში – მოკლებუნიანი ლაბარუმი. მარჯვენა ზედა კუთხეში ღვთაების მაკურთხებელი ხელია, ამავე მხარეს ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი. ბერძნული ზედწერილი: IC-O-KO/H-O.

ვერცხლი. რემედიუმი: მაგ. 1,37 გრ.-2,4 გრ. d= 18/20-22/24 მმ.

2. **შუბლი:** წმინდა ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ. თავზე მას შარავანდედი ადგას და შემოსილია საიმპერატორო სამოსის მსგავსი ტანსაცმლით. მარჯვენა ხელში უპყრია გრძელბუნიანი ჯვარი, მარცხენა ხელი დოინჯშემოყრილი აქვს. ზედწერილი ასეთი ხასიათისაა: E-I/T-E-NY-O-O.

ზურგი: კეისრის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის აქეთ-იქით თვლიანი თითო საკიდია დაშვებული (სტემა), ყელის გარშემო – თვლებით შემკული მანიაკი, წინ – ჩამოშვებული ლოროსი. მარჯვენა ხელში ლაბარუმი უპყრია, მარცხენა ხელი დოინჯშემოყრილი აქვს. მარცხენა მხარეს ჯვრიანმა სფერომ სამფოთლოვანი ყვავილისებური ფორმა მიიღო, ლოროსის ბოლომ კი – ოთხკუთხედის, ორივე ერთად ჯვრიანი სფეროს და ლოროსის ბოლო ნაწილის გაერთიანებული და გადაგვარებული ნახაზია. მარჯვნივ ზემოთ – ღვთაების მაკურთხებელი ხელი, ამავე მხარეს ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი, ზედწერილი: Ω-O-K-H/N-O.

შემდეგი ე.წ. კირმანეულის ახალი სახეა (კირმანეული თეთრი, ემისიები კეისრის წელზევითი გამოსახულებით). ვერცხლი. რემედიუმი: მაგ. 1,12 გრ.-2,61 გრ. d=18/19-22/24 მმ.

შუბლი: წმინდა ევგენიოსის გამოსახულება წელზევით პირდაპირ. თავზე მას შარავანდედი ადგას და ნაკეცებიანი სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ლაბარუმი უპყრია, მარცხენაში – ჯვარი, შეიმჩნევა ლეგენდების კვალი.

ზურგი: კეისრის წელზევითი გამოსახულება პირდაპირ სტემაში, შემოსილია სწორი და ირიბნაკეცებიანი კეისრის სამოსით. მარჯვენა ხელში მას უპყრია მოკლებუნიანი ლაბარუმი, მარცხენაში – გრძელბუნიანი ჯვარი. მარჯვენა ილლიის ქვეშ ორი წერტილია, ამავე მხარეს – ფარი, ლეგენდა გადასულია, თუ საერთო არ არის ამოკვეთილი?! შეიმჩნევა წერტილოვანი რკალი.

შემდეგია კირმანეული თეთრი, ემისია ასომთავრული ნიშნებით. ის სულ ორ ცალად არის ცნობილი. ერთი აღმოჩნდა კოპიტნარის განძის შემადგენლობაში და საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული, ხოლო მეორე – ბარათაევის კოლექციის ცალი – ბერლინის მუზეუმის კუთვნილება იყო. მისი აღწერილობა ასეთია:

გვ. №6213. ვერცხლი. წონა – 1,13 გრ. d=18/19 მმ.

შუბლი: წმინდა ევგენიოსი ჩვეულებრივ პოზაში, შარავანდედით და გრძელნაკეცებიანი სამოსით. მარცხნივ გაურკვეველი ნიშნებია. მარჯვნივ – ზემოთ ორი ქართული მთავრული ასოა: „ქ“, ხოლო ქვემოთ ორ სტრიქონად სამი ბერძნული ასოა: ΓΕ-Ο .

ზურგი: კეისრის (მეფის) გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის ორივე მხრიდან სამთვლიანი საკიდია დაშვებული (სტემა). კეისარი საიმპერატორო ტანსაცმლითაა შემოსილი. წინ თვლებით შემოსილი ლოროსი აქვს ჩამოშვებული. დოინჯშემოყრილ მარცხენა ხელში მოკლებუნიანი ლაბარუმი უჭირავს, მარჯვენა ხელი თავისუფალი აქვს. მარცხნივ ვერტიკალურად და ორ სტრიქონად ორი ქართული მთავრული ასოთი შესრულებული ზედწერილი: ფ-შ.

მონეტის შუბლის და ზურგის ზედწერილი ბუნებრივად იმიფრება როგორც „გიორგი მეფე“ (ქართული) და როგორც „წმ. ევგენიოსი“ (ბერძნული). სპეციალისტების უმრავლესობა ამ მონეტებს იმერეთის

მეფე გიორგი I-ს (1389-1392 წწ.) მიაკუთვნებს

კირმანეული თეთრი, ვამეყის ფული წმინდა ევგენიოსის გამოსახულებით. ვერცხლი. წონა – 2,91 გრ. d=20/21 მმ.

შუბლი: ორნამენტულ ჩარჩოში შებრუნებით მოთავსებული მხედრული წარწერა – ვამეყ.

ზურგი: ადამიანის სქემატური გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, როგორც ჩანს, ტრაპიზონის მფარველი წმინდანის, ევგენიოსის, რადგან მის მარცხნივ და მარჯვნივ შემორჩენილია ბერძნული ზედწერილი: O-E/TE-IN. გამოსახულებას თავზე გვირგვინი უნდა ედგას, რომლის ორივე მხრიდან თითო თვლიანი თითო საკიდია დაშვებული. მარცხნივ გაწვდილ და რკალისებურად მოხრილ მარჯვენა ხელში ბუნი უჭირავს. ის, შესაძლოა, ლაზარუმი ან ჯვარი იყოს.

პირველად ვამეყის ფული ს. მაკალათიამ გამოაქვეყნა. 1940 წლის მაისში მან პირადად გასინჯა და ფოტოგრაფიულად გადაიღო აღნიშნული ფული, რომელიც ინახებოდა ალექსანდრე სიმონოვის ოჯახში, ქალაქ სოხუმში. მასზე აღბეჭდილი წარწერის მიხედვით, ს. მაკალათიამ ეს მონეტა ვამეყ I დადიანს (1384-1396 წწ.) მიაკუთვნა.

იგივე მონეტა მეორედ დ. კაპანაძემ გამოსცა და გაიმეორა ს. მაკალათიას მოსაზრება, ოღონდ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მონეტაზე ვამეყის სახელი უკუღმაა შესრულებული.

უფრო ვრცლად ამ უაღრესად საინტერესო მონეტას თ. აბრამიშვილი შეეხო. მისი გენეზისის საკითხი მან ისტორიულ ფონზე განიხილა. ცნობილია, რომ ვამეყ I დადიანი ერთიანი საქართველოს მეფის გიორგი VII-ისადმი ერთგულებას ინარჩუნებდა და არ ცნობდა უზურპატორების – ალექსანდრეს და მისი მემკვიდრის, გიორგის მეფობას იმერეთში. დადიანმა ერთ-ერთ ბრძოლაში სძლია კიდევ გიორგის ჯარს და თვით გიორგიც ამ ბრძოლაში დაიღუპა. საფიქრებელია, ვამეყ დადიანმა მაშინ მოაჭრევინა თავისი სახელით ფული, როდესაც იმერთა მეფე გიორგიზე გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ, ვინაიდან, როგორც ფეოდალს, მას არ ჰქონდა ფულის მოჭრის უფლება, მონეტაზე საკუთარი სახელი უკუღმა აღბეჭდა.

ტრაპიზონის ასპრების დღევანდელი კლასიფიკაცია ეფუძნება ო. რეტოვსკის ნაშრომს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის საბოლოოა და არავითარ ეჭვს არ იწვევს როგორც საკუთრივ ტრაპიზონის მონეტებთან, ასევე, განსაკუთრებით, კირმანეულ თეთრთან დაკავშირებით.

ჯერ კიდევ 1844 წელს მ. ბარათაევმა გამოთქვა მოსაზრება, რომ

საქართველოში იჭრებოდა ტრაპიზონის ასპრების იმიტაციები და ისინი გააიგივა ქართულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებულ კირმანეულთან.

მ. ბარათაევის ვარაუდი უყურადღებოდ არ დარჩენილა მომდევნო ნუმიზმატიკის მხრიდან, მაგრამ ო. რეტოვსკის ნაშრომის გამოსვლამდე ყველაფერი ჰიპოთეზის ფარგლებში რჩებოდა. მან პირველმა დაბეჯითებით გამოყო იოანე II-ის ასპრების ქართული მინაბადები და მათ დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნია გამოსახულებათა დეტალების დამახინჯება, ლეგენდების არასწორი გადმოცემა, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათი წაკითხვის შეუძლებლობა. ო. რეტოვსკი შეეცადა აგრეთვე გამოეყო მანუილ I-ის ასპრების მინაბადები, თუმცა მათი გარჩევა ორიგინალებისგან ძალიან ძნელია. მას თავისი ატრიბუციის საფუძვლად მიაჩნდა არტიკლის მოთავსება იმპერატორის სახელის წინ და ასო M-ს არასწორი მოხაზულობა.

ო. რეტოვსკის ნაშრომმა, კ. გოლენკოს პუბლიკაციამ და თ. აბრამიშვილის სპეციალურმა მონოგრაფიამ კირმანეულთან დაკავშირებით ეჭვმიუტანლად გამოყო იოანე II-ის ასპრების მიხედვით მოჭრილი კირმანეული თეთრი. წყაროებში შემონახული სახელწოდება „კირმანეული“ კი იმაზე მიუთითებს, რომ ამ სახის პირველი ნუმიზმატიკურ ძეგლებზე სწორედ რომ მანუილის სახელი იყო მოცემული.

ო. რეტოვსკის კრიტერიუმებს ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით. ამ გზით წარმართა თავისი კვლევა-ძიება თ. აბრამიშვილმა. მან შეისწავლა 1907 წელს სამტრედიის მახლობლად მდებარე სოფ. კოპიტნარში აღმოჩენილი ვერცხლის მონეტების განძი 652 ცალის რაოდენობით. განძის შემადგენლობის გათვალისწინება აუცილებლად დაგვჭირდება ქვემოთ, კირმანეულის დათარიღების თვალსაზრისით, ამიტომ ვიძლევიტ კომპლექსის მონეტების სიას: I. ტრაპიზონის ასპრები – მანუილ I (1238-1263 წწ.) – 6 ცალი, იოანე II (1280-1297 წწ.) – 7 ცალი, მანუილ III (1390-1417 წწ.) – 1 ცალი, ალექსი IV (1417-1446 წწ.) – 1 ცალი, ე.ი. სულ – 15 ცალი; II. XII-XIV საუკუნეების ბულგარული ფული – 1 ცალი; III. დასავლურქართული ფული (კირმანეული) – 633 ცალი, აქედან 5 ცალი მოჭრილია მანუილის სახელით, 619 ცალი – იოანეს, ხოლო 9 ცალი, თ. აბრამიშვილის ატრიბუციით, კირმანეულის ახალი სახეა. გარდა ამისა, განძის შემადგენლობაში კიდევ შედიოდა რამდენიმე მონეტა, რომელთაც ქრონოლოგიურად არავითარი კავშირი არა აქვთ კომპლექსთან. როგორც ჩანს, ისინი შემთხვევით შეერია მას. ეს სავსებით შესაძლებელია. საქმე ისაა, რომ განძის ერთი ნაწილი პარიზში იყო წაღებული სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად ექვთ. თაყაიშვილის მიერ, ხოლო მეორე – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-

ცელებელ საზოგადოებაში იყო დაცული, საიდანაც ეს ნაწილი უნივერსიტეტის კოლექციის შემადგენლობაში შევიდა, შემდეგ კი – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. აქვე გაერთიანდა ის პარიზიდან ჩამოტანილ განძის მეორე ნაწილთან. ჩანს, ამ „მოგზაურობის“ დროს მოხვდა კოპიტნარის კომპლექსში ქრონოლოგიურად განსხვავებული მონეტები.

თ. აბრამიშვილმა კოპიტნარის განძის შემადგენლობაში გამოყო 5 მონეტა, რომლებიც, მისი სიტყვებით, საქართველოში უნდა იყოს მოჭრილი სხვადასხვა დროს მანუილ I-ის ასპრების მიხედვით. ხუთი მონეტიდან პირველი (გფ. №6162) გამოირჩევა მოჭრის ტექნიკის მაღალი დონით. შემდეგ მას მოჰყვება 3 მონეტა (გფ. №№6159-6161), რომელთა მოჭრის ტექნიკამ და დამწერლობამ დაცემა-დაქვეითება დაიწყო, ხოლო უკანასკნელ რიგში №6158-ია. ის ხასიათდება არა მარტო მოჭრის ტექნიკის დაბალი დონით, არამედ ხელოსნის სრული უცოდინრობით, რის გამოც ფიგურის ხელში მიცემულმა ატრიბუტებმა და ზედწერილებმაც ადგილი შეიცვალა.

კ. გოლენკომ ტობანიერის განძიდან (მისი შემადგენლობა იხ. ქვემოთ) გამოყო 21 ეგზემპლარი, მოჭრილი მანუილ I-ის ასპრების მიხედვით, აქედან 6 ცალი გადაჭედილი იყო არაბული და ჰულაგუიდური დირჰემებიდან. ავტორის განცხადებით, მათი დამახასიათებელი შტრიხებია დამახინჯებული ლეგენდები და წმ. ევგენიოსის ბრტყელი გამოსახულება, რომელიც სქემატურობით და უხეში შესრულებით გამოირჩევა, ასევე, მონეტაზე ახალი დიფერენტების გამოჩენა. საკუთრივ მონეტები მოზრდილი და ბრტყელი ფორმისაა.

ვინაიდან ზემოთ მოხსენიებული ტობანიერის განძის აღმოჩენის პირობებისა და შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად დაგვჭირდება, მოკლედ შევხებით მას. განძი აღმოჩნდა ვანის რაიონის სოფ. ტობანიერში 1927 წელს. ჩვენამდე მოაღწია 215 ცალის რაოდენობით. დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. განძი ძირითადად შეიცავს ტრაპიზონის ასპრებს და კირმანეულებს. ვიძლევიტ მათ სიას: I. ტრაპიზონის ასპრები – იოანე I (1235-1238 წწ.) – 4 ცალი, მანუილ I (1238-1263 წწ.) – 56 ცალი, იოანე II (1280-1297 წწ.) – 125 ცალი, იოანე II და ალექსი II (1297 წლამდე) – 1 ცალი; II. სელჩუკური დირჰემი, მოჭრილი ჰიჯრ. 630 წელს (?) (=1232-1233წწ.); III. ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემი, მოჭრილი თბილისში აბაღა ყაენის დროს ჰიჯრ. 680 წელს (?) (=1281-1282 წწ.); IV. დასავლურქართული ფული (კირმანეული) – 25 ცალი. აქედან 21 მოჭრილია მანუილ I-ის ასპრების მიხედვით და მხოლოდ 4 იოანე II-ის მონეტების იმიტაციაა; V. ორი დავითის მონეტა – 2 ცალი. განძის ჩამარხვის თარიღად კ. გოლენკო

XIII-XIV საუკუნეების მიჯნას მიიჩნევს.

დავუბრუნდეთ კირმანეულ თეთრს. ამ პრობლემის შესწავლას სპეციალურად შეეცადა ირ. სოკოლოვა. მან მანუილ I-ის და იოანე II-ის ორიგინალური ასპრების საერთო ნიშნები მოხაზა: უმეცდომო წარწერები, ასოების ტრაპიზონის ეპიგრაფიკული ძეგლებისთვის მახასიათებელი მოხაზულობა, 2,5 გრამზე მაღალი წონა; კირმანეულის ტრაპიზონის ასპრებისგან განმასხვავებელი მთავარი ნიშანი კი შედარებით დაბალი წონაა.

როგორ უნდა დათარიღდეს კირმანეული? ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული. კირმანეულის მოჭრის გვიანდელ თარიღად თ. აბრამიშვილი XIV საუკუნეს მიიჩნევს, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ანგარიშს უწევს იმ ფაქტსაც, რომ ტერმინი „კირმანეული“ XV საუკუნის ქართულ საბუთებში იხსენიება. იმასაც უნდა გაეხსენებინათ, რომ მის მიერ გამოქვეყნებული კოპიტნარის განძი, სადაც დიდი რაოდენობით კირმანეულებიც შედის, სწორედ XV ს-შია ჩამარხული.

კირმანეულის ემისიის დაწყების თარიღს შეეხო დ. კაპანაძე. ის ამ აქციას უკავშირებს კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს, კერძოდ, 1284/1285 წლებში საქართველოში გათხოვილმა იოანე II-ის დამ თეოდორამ, საქართველოს ჯარის დახმარებით, დროებით ხელთ იგდო ტრაპიზონის იმპერიის ტახტი. დ. კაპანაძის ჰიპოთეზის თანახმად, საქართველოს ხელისუფლება თეოდორას დაეხმარა არა მარტო ჯარით, არამედ – ფულით. ქართველებმა ჩაატარეს მახვილგონივრული ღონისძიება: მათ, ალბათ, განახორციელეს იმ ქვეყნის ვალუტის ემისია, სადაც იგზავნებოდა „დამხმარე ჯარი“. ავტორის მიერ შემოთავაზებული თარიღი ჩვენთვის საინტერესო სამონეტო „ჯგუფის“ ემისიის დაწყებისა არის 1284/1285 წლები.

თითქმის იგივე აზრისაა კ. გოლენკო, რომელიც აღნიშნავს, რომ ვინაიდან კირმანეულის ზოგიერთი ცალი გადაჭედილია „ყაანურების“ და ილხანების, აბაღას (1265-1282 წწ.) და არღუნის (1284-1291 წწ.) დირჰემებიდან, გვაქვს ყველა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მანუილ I-ის ასპრების მიხედვით მოჭრილი კირმანეულები XIII საუკუნის 80-იან წლებს მივაკუთვნოთ. მანუილ I-ის ასპრების მიხედვით მოჭრილი კირმანეულების ემისიის შეწყვეტას ის უკავშირებს დასავლეთ საქართველოში იოანე II-ის ორიგინალური მონეტების მასობრივ შემოსვლას.

რაც შეეხება იოანე II-ის ასპრების მიხედვით მოჭრილ კირმანეულებს, კ. გოლენკოს განცხადებით, ამ ტიპის კირმანეულები იჭრებოდა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, როგორც ჩანს, XV საუკუნემდე.

დაბოლოს, კირმანეულის ემისიის თარიღს შეეხო ირ. სოკოლოვა. მისი აზრით, კირმანეულის ემისია შეიძლება დაწყებულიყო მხოლოდ მანუილ I-ის გარდაცვალების, ე.ი 1263 წლის შემდეგ. მაგრამ, მეორე მხრივ, ვინაიდან კირმანეულის ზოგიერთი ნიმუში არღუნის მონეტაზეა გადაჭედილი, რომელიც 1284-1291 წლებში მმართველობდა, უნდა მივიჩნიოთ რომ „კირმანეული თეთრის“ ემისია XIII საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე დაიწყო, ეს, ფაქტობრივად, იგივე მოსაზრებაა, რაც წამოაყენეს დ. კაპანაძემ და კ. გოლენკომ.

რაც შეეხება იოანე II-ის ასპრების მიხედვით მოჭრილი კირმანეულების თარიღს, ირ. სოკოლოვას მიხედვით, მათი ემისია უნდა დაწყებულიყო სულ მალე თეოდორას ლაშქრობის შემდეგ.

როგორია კირმანეულის იურიდიული ბუნება, შეიძლება თუ არა ეს სამონეტო ჯგუფი ჩაითვალოს ოფიციალურ ემისიად, როგორია სხვადასხვა სპეციალისტების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

ო. რეტოვსკის ეს მონეტები საქართველოში მოჭრილად მიაჩნდა. ამას იმით ასაბუთებდა, რომ ეს ფული მხოლოდ საქართველოში იყო გავრცელებული და მას საქართველოში სპეციალური სახელიც კი შეარქვეს – კირმანეული, კირმენაული, კირმანაული. მკვლევარი მათ ქართულ იმიტაციებს და ნაყალბევს უწოდებს.

ასეთივე იმიტაციებად მიიჩნევდა ამ მონეტებს ევგ. პახომოვი. მისი აზრით, ტრაპიზონის და დასავლეთ საქართველოს მჭიდრო პოლიტიკურ-დინასტიურმა და ეკონომიკურმა ურთიერთობამ გამოიწვია აქ ტრაპიზონის ასპრების ფართო ცირკულაცია. როდესაც ამ მონეტების შემოსვლამ იკლო, მაშინ დასავლეთ საქართველოში დაიწყო მათი იმიტაციების ემისია.

კირმანეულის იმიტაციებად კვალიფიკაციის კატეგორიული წინააღმდეგია დ. კაპანაძე. ის თვლის, რომ ტერმინი „კირმანეული“ წმინდა ქართული სახელწოდებაა, ხოლო ამ სამონეტო ჯგუფის ემიტენტი – სახელმწიფო ხელისუფლება, რომელმაც თეოდორა მოამარაგა სათანადო ვალუტით. ტერმინ „კირმანეულის“ შესახებ ვაჩნაძეების სასისხლო სიგელში ვკითხულობთ: „ . . . ამა თეთრისა საქმე ასე უწყოდეთ, ბერძენთა მეფეს კირმანოელ ერქვა და მისეულად კირმანოელისეული ჰქუიან“.

<p>ბიბლიოგრაფია</p>	<p>თ. აბრამიშვილი. ორი დავითის მონეტა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სსმმ). ტ. XVI-B. თბ. 1950; XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფული. თბ. 1959; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრებისა და დასავლურქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი. თბ. 1984.</p> <p>გ. დუნდუა. ქართული ნუმისმატიკა. II ნაწილი. თბ. 2011 (თ. დუნდუასთან თანაავტორებით).</p> <p>ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე. II. თბ. 1924.</p> <p>დ. კაპანაძე. ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართულ ნუმისმატიკაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სსმმ). ტ. XII-B. თბ. 1944; ქართული ნუმისმატიკა. თბ. 1969.</p> <p>ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III. თბ. 1949.</p> <p>М. Баратаев. Нумизматические факты Грузинского царства. СПб. 1844.</p> <p>К. В. Голенко. Клад монет из села Тобаниери. Византийский Временник (ВВ). XVI. М. 1959.</p> <p>Д. Г. Капанадзе. Так называемые грузинские подражания трапезундским аспрам. Византийский Временник (ВВ). III. М. 1950.</p> <p>Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Тб. 1970.</p> <p>И. В. Соколова. Трапезундские аспры и кирманеули с именем Мануила I и Иоанна Комнинов. Нумизматика и Эпиграфика (НЭ). XI. М. 1974; Кирманеули с именем Мануила из собрания Государственного Эрмитажа. Нумизматический Сборник (НС). Тб. 1977; Медные монеты Трапезундской империи из собрания Эрмитажа. Нумизматика и Эпиграфика (НЭ). XIV. М. 1984.</p> <p>D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New-York. 1955.</p> <p>O. Retowski. Die Münzen der Komnenen von Trapezunt. М. 1910; Отдельный оттиск из Нумизматического Сборника. I. 1911.</p>
----------------------------	--

უცხოური ფული
ქართულ
სამონეტო
ბაზარზე:

XIII-XV საუკუნეების უცხოური მონეტების მიმოქცევა დასავლეთ
საქართველოში

1. კოპიტნარის განძი. მასში 15 ცალი ტრაპიზონის ასპრი შედის, რომლებიც მოჭრილია შემდეგი იმპერატორების სახელით: მანუილ I (1238-1263 წწ.) – 6 ცალი, იოანე II (1280-1297 წწ.) – 7 ცალი, მანუილ III (1390-1417 წწ.) – 1 ცალი, ალექსი IV (1417-1446 წწ.) – 1 ცალი.
2. ტობანიერის განძი. მის შემადგენლობაში 186 ასპრი შედის და ისინი განეკუთვნება შემდეგ იმპერატორებს: იოანე I (1235-1238 წწ.) – 4 ცალი, მანუილ I – 56 ცალი, იოანე II – 125 ცალი, იოანე II და ალექსი II (1297 წ-მდე) – 1 ცალი.
შემდეგი აღმოჩენები დალაგებულია აღმოჩენის წლების მიხედვით.
3. 1885 წელს სოხუმში, მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირის მახლობლად, აღმოჩნდა ვერცხლის მონეტა. ა. ორემნიკოვის განსაზღვრით, ეს იყო ტრაპიზონის კომნენოსების დროინდელი ცუდად შენახული ასპრი.
4. 1886 წელს სოხუმში, ე.წ. სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, აღმოჩნდა ტრაპიზონის ერთ-ერთი კომნენოსის ასპრი.
5. 1894 წელს ხონის მახლობლად მდებარე სოფ. პატარა ჯიხაიში შემთხვევით მიაკვლიეს განძს, რომლის შემადგენლობაში 500-მდე ვერცხლის მონეტა შედიოდა, მათ შორის იყო იოანე III-ის (1340-1344 წწ.) ასპრი. განძის ძირითადი ნაწილი თურქული (1520-1617 წწ.) და ირანული (1524-1574 წწ.) მონეტებია.
6. 1908 წელს ქუთაისის მაზრაში აღმოჩნდა იოანე I-ისა (1235-1238 წწ.) და მანუილ I-ის (1238-1263 წწ.) ასპრების განძი. ევგ. პახომოვს აქედან 50 ცალი პირადად უნახავს და 30 ცალი შეუძენია კიდეც.
7. 1928 თუ 1929 წელს სოხუმის მიდამოებში იპოვეს იოანე II-ის ასპრი.
8. 1931 წელს სოხუმში იპოვეს იოანე II-ის 5 ასპრი, აქედან 1 ცალი შედის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდში.
9. 1932 წელს ჭიათურის შემოგარენში ბავშვებმა შემთხვევით იპოვეს იოანე II-ის ასპრი, რომელიც დ. კაპანაძემ შეიძინა.
10. იმავე წელს ისევ ჭიათურაში ნაპოვნი იყო იოანე II-ის მონეტა.
11. 1935 წელს ქუთაისში ნაპოვნი იყო XIII საუკუნის ტრაპიზონის მონეტა.
12. 1940 წელს ვანის რაიონის სოფ. შუამთის მახლობლად აღმოჩენილი იოანე II-ის ასპრი შეიძინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა.
13. 1948 წელს თერჯოლის რაიონის სოფ. ზედა საზანოში შემთხვევით

აღმოჩნდა თიხის ქილა ვერცხლის მონეტებით. სელჩუკურ მონეტებთან ერთად აქ მანუილ I-ის ასპრებიც იყო, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, სულ – 9 ცალი.

14. 1951 წელს სოხუმის რაიონის სოფ. ბესლეთში შემთხვევით იპოვეს მანუილ I-ის მონეტა.

15. 1960 წელს ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს აღმოჩნდა ტრაპიზონის ასპრები: იოანე I – 1 ცალი, მანუილ I – 1 ცალი, იოანე II – 19 ცალი. განძი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

16. 1969 წელს ხონში, ერთ-ერთი მაცხოვრებლის ეზოში, მიწის ზედაპირზე იპოვეს იოანე II-ის მონეტა. დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

17. 1999 წელს მარტვილის რაიონის სოფ. ნოჯიხევში ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ნოჯიხევის რაზმმა აღმოაჩინა მანუილ I-ის ასპრები და კირმანული.

ტრაპიზონის ასპრები აღმოსავლეთ საქართველოშიც მიმოიქცეოდა:

18. 1858 წელს თბილისში იპოვეს 2 ცალი ტრაპიზონის ასპრი.

19. დაახლოებით 1930 წელს ბორჯომის რაიონის დაბა წალვერში დასასვენებელი სახლის – კეჩხოვის ტერიტორიაზე მიწის ჩიჩქნის დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტები, მათ შორის იყო მანუილ I-ის ასპრი.

20. 1934 წელს ვარძიის მონასტრის (ასპინძის რაიონი) ერთ-ერთ გამოქვაბულში ნაპოვნი ყოფილა მანუილ I-ის ასპრი.

21. 1936 წელს ასპინძის რაიონში ვარძიის მონასტრის მახლობლად იპოვეს მანუილ I-ის ასპრი, რომელიც დ. კაპანაძემ შეიძინა.


22. 1939 წელს ქარელის რაიონის სოფ. ხეობაში, ეკლესიის აღმოსავლეთით მიწის თხრის დროს, ადგილობრივმა მცხოვრებმა იპოვა 265 ვერცხლის მონეტისგან შემდგარი განძი. განძის ძირითადი ნაწილი აღმოსავლური მონეტებია და დამარხულია 1267 წლის შემდეგ. მის შემადგენლობაში მანუილ I-ის ერთი ასპრიც ერია.


23. 1968 წელს ბორჯომის რაიონის სოფ. ახალდაბაში ბალავრის ამოღების დროს მიკვლეულ ვერცხლის მონეტების განძში, სხვა მონეტებთან ერთად, აღმოჩნდა მანუილ I-ის ასპრი. განძი დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

24. ასპინძის რაიონის სოფ. ვარძიის მიდამოებში ნაპოვნია (დრო და პირობები უცნობია) მანუილ I-ის ასპრი.


ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	ემისია – კონსტანტინე I-ის მონეტები
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი. წონა – 0,40 გრ. d=13/14 მმ.</p> <div style="text-align: center;"> </div> <p>შუბლი: კვადრატში ჩასმული ასომთავრული ასოები Ⓢ Ⓚ Ⓜ – კონსტანტინე. Ⓢ</p> <p>ზურგი: ორსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული წარწერა – „ღმერთი ჩემი კმაყოფაა“.</p>
ზარაფხანა	თბილისი (?).
ნომინალი	ვერცხლი. წონა – 0,40 გრ.
თარიღი	1407-1411 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – ქვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითადი ფონდი) №3202.

ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	ემისია – ალექსანდრე I-ის მონეტები
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი. წონა≈0,35 გრ. d≈13/14 მმ.</p>


	 <p>შუბლი: მონეტის ცენტრში ხაზოვან რკალში ჩასმული მთავრული ასო კ (რ) (ხშირ შემთხვევაში შებრუნებული), წრიული ასომთავრული წარწერა, რომელიც, ევგ. პახომოვის ცნობით, კარგად შენახულ ცალებზე იკითხება ასე: „მეფეთა მეფე ალექსანდრე“.</p> <p>ზურგი: ორსტრიქონიანი ქართული წარწერა: სქც/ისც „სახელითა ღვთისაჲთა“.</p>
ზარაფხანა	თბილისი (?).
ნომინალი	ვერცხლი. წონა≈0,35 გრ.
თარიღი	1412 წ.
კოლექცია	სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟი – ყოფილი აზიური მუზეუმის ფონდი, თარო №147, ძირითადი ფონდი №14437-14442. სულ 73 ცალი.


ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	ემისია – ვახტანგ IV-ის მონეტები მთავრული წარწერებით
აღწერა, ფოტო	<p>ბილონი. წონა – მაგ. 0,60 გრ., 0,85 გრ. d=13/15 მმ.</p>  <p>შუბლი: სამსტრიქონიანი ქართული წარწერა: იღ/ღჟჟ/ჯღს – „ღმერთო, გაუმარჯოს“.</p> <p>ზურგი: ასევე სამსტრიქონიანი წარწერა, რომელიც შუბლის ლეგენდას აგრძელებს: ჟღწ/სწწწ/წღს – „მეფესა ვახტანგს“.</p>


ზარაფხანა	თბილისი (?).
ნომინალი	ბილონი. წონა – მაგ. 0,60 გრ., 0,85 გრ.
თარიღი	1442-1446 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №7184.

ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	ვახტანგ IV-ის მონეტები ცხოველის გამოსახულებით
აღწერა, ფოტო	<p>ბილონი. წონა – მაგ. 0,65 გრ., 0,88 გრ. d=15 მმ.</p>  <p>შუბლი: ორსტრიქონიანი ქართული წარწერა: ՄՓՂ/ԴԷԷ – „მეფე ვახტანგი“.</p> <p>ზურგი: ცხოველის გამოსახულება, რომელიც ძლიერ წააგავს სახედარს.</p>
ზარაფხანა	თბილისი (?).
ნომინალი	ბილონი. წონა – მაგ. 0,65 გრ., 0,88 გრ.
თარიღი	1442-1446 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №3142-3150, 3154-3157.


ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	ემისია – გიორგი VIII-ის მონეტები „მეფეთა მეფის“ ტიტულით
აღწერა, ფოტო	<p>ბილონი. რემედიუმი: 0,47 გრ.-0,70 გრ. d=12/14 მმ.</p>


	 <p>შუბლი: ოთხსტრიქონიანი ასომთავრული ქართული წარწერა: ՅԻՓԿ/ՅԻՓԿԴ/ՅԻՓԿԵ/ՆԼԿԿԿ – „მეფე მეფეთა, მონა ღვთისა, გიორგი“.</p> <p>ზურგი: თანაბარტოტებიანი ჯვარი.</p>
ზარაფხანა	თბილისი (?).
ნომინალი	ბილონი. რემედიუმი: 0,47 გრ.-0,70 გრ.
თარიღი	1446-1466 წწ.
კოლექცია	გიორგი VIII-ის მონეტებისთვის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №7188-7196.

ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	ემისია – გიორგი VIII-ის მონეტები „მეფის“ ტიტულით
აღწერა, ფოტო	<p>ბილონი.</p>  <p>შუბლი: ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი – [ՅԻՓԿ]/ԿԿԿԿ – „მეფე გიორგი“.</p> <p>ზურგი: რომელიღაც ცხოველის კონტურები, ხშირ შემთხვევაში კი, გამოსახულების გარეშე.</p>
ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	ბილონი.
თარიღი	1466-1476 წწ.
კოლექცია	გიორგი VIII-ის მონეტებისთვის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №7188-7196.

ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	ემისია – ბაგრატ VI-ის მონეტები
აღწერა, ფოტო	ბილონი. წონა≈0,64 გრ. d=14 მმ.  შუბლი: ორსტრიქონიანი ქართული წარწერა – შქლ/ყლ – „მეფე ბაგრატი“. ზურგი: ფრთოსანი მხეცის გამოსახულება.
ზარაფხანა	უცნობია.
ნომინალი	ბილონი. წონა≈0,64 გრ.
თარიღი	1466-1478 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №7209-7210.


ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	ქვეჯგუფი – ყვარყვარე ათაბაგის მონეტები
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. რემედიუმი≈0,39 გრ.-0,66 გრ. d=12/16 მმ. 


	 <p>შუბლი: ხაზოვან ოთხკუთხედში ორსტრიქონიანი მხედრული ზედწერილი – ყრ/ყრე (ზედწერილი შესრულებულია შებრუნებულად), „ყვარყვარე“. გვაქვს მონეტა ასომთავრული წარწერით.</p> <p>ზურგი: თევზის სქემატური გამოსახულება. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ რვაქიმიანი ვარსკვლავი.</p>
ზარაფხანა	ახალციხე.
ნომინალი	ვერცხილი. რემედიუმი: 0,39 გრ.-0,66 გრ.
თარიღი	1451-1498 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №7197-7208.


ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	ქვეჯგუფი – კონსტანტინე II-ის მონეტები
აღწერა, ფოტო	<p>ბილონი. რემედიუმი: 0,43 გრ.-0,62 გრ. d=12/16.</p> 

	<p>შუბლი: ორსტრიქონიანი ასომთავრული ზედწერილი – შქ/ბსუ (ზოგჯერ – შქ/ბუ), „მეფე კონსტანტინე“, გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზით.</p> <p>ზურგი: მარცხნივ მიმავალი უცნობი მხეცი, გრძელი აშვერილი და ზურგისკენ გადახრილი კუდით (ზოგჯერ გამოსახულების ქვემოთ ან ზემოთ – ჯვარი).</p> <hr/> <p>ბილონი, წონა – მაგ. 0,57 გრ.</p> <p>შუბლი: ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა – შქ/ბე – „მეფე კონსტანტინე“, გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზით.</p> <p>ზურგი: მზის გამოსახულება.</p> <hr/> <p>ბილონი, რემედიუმი: 0,47 გრ.- 0,64 გრ.</p> <p>ცალმხრივად სიქანაკრავ მონეტებზე კონსტანტინეს სახელის სხვადასხვა შემოკლებები გვხვდება: შქ/ბეჲ, შ/ბუ, შ/ბს, „მეფე კონსტანტინე“, ან ტიტულის გარეშე – ბს/ბეჲ, „კონსტანტინე“. დ. კაპანაძეს ეს მონეტები ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელად მიაჩნია. წარწერები ამ მონეტებზე, როგორც ორმხრივად სიქანაკრავ მონეტებზე, გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზით.</p>
ზარაფხანა	თბილისი (?).
ნომინალი	ბილონი. რემედიუმი: 0,43 გრ.-0,64 გრ.
თარიღი	1478-1505 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. გფ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №№ 743-1213, №№1683-1863, №№7183-7482.

ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	ქვეჯგუფი – დავით X-ის მონეტები
აღწერა, ფოტო	ბილონი. შუბლი: სამსტრიქონიანი ქართული წარწერა: ⲒⲘ/ⲚⲔⲬ/ⲪⲘⲎ – „ღმერთო, გაუმარჯოს“. ზურგი: ასევე სამსტრიქონიანი წარწერა, რომელიც შუბლის ლეგენდას აგრძელებს: – „მეფესა დავითს“.
ზარაფხანა	თბილისი (?).
ნომინალი	ბილონი.
თარიღი	1505-1525 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განმეების ფონდი) №3302-3325.

ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	ბაგრატ იმერთა მეფის მონეტები
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. წონა – 0,63 გრ. d=13/14.  შუბლი: პირდაპირ მიმართული სქემატურად შესრულებული მეფის გამოსახულება სამრკალიანი გვირგვინით. ზურგი: ჰორიზონტალური ხაზით გაყოფილი ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ზედწერილი, რომელიც ასე უნდა იკითხებოდეს: „მეფე ბაგრატ“.
ზარაფხანა	ქუთაისი (?).
ნომინალი	ვერცხლი. წონა – 0,63 გრ.
თარიღი	1510-1565 წწ.
კოლექცია	

ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	გიორგი იმერთა მეფის მონეტები. პირველი ტიპი
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. წონა – 0,62 გრ., 1,44 გრ. d=11 მმ.  შუბლი: წვერულვაშიანი მამაკაცის თავის სქემატური გამოსახულება პირდაპირ, ძვირფასი თვლებით შემკული სამეფო თავსაბურით. მარცხნივ – მცენარეული ორნამენტი, ირგვლივ – ხაზოვანი და წერტილოვანი რკალები. ზურგი: დაქარაგმებული ქართული ასომთავრული წარწერა: ՄՓՄԼԴ – „მეფე გიორგი“, მარჯვნივ მცენარეული ორნამენტი.
ზარაფხანა	ქუთაისი (?).
ნომინალი	ვერცხლი. წონა – 0,62 გრ., 1,44 გრ.
თარიღი	1565-1585 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №5288, 7484.

ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	გიორგი იმერთა მეფის მონეტები. მეორე „ტიპი“
აღწერა, ფოტო	ვერცხლი. წონა – 0,75 გრ. d=6/14. 



შუბლი: ორ სტრიქონად განლაგებული წარწერა. სტრიქონებს შუა ხაზია. პირველ სტრიქონზე წერია – შიქ, მეორეზე – შიქ, ე.ი. „მეფე მეფეთა“.

ზურგი: წარწერა შიქ იქი – „მეფე გიორგი“.

ვერცხლი. წონა – 0,79 გრ.
d=6/15.


შუბლი: ორ სტრიქონად განლაგებული წარწერა. სტრიქონებს შუა ხაზია. პირველ სტრიქონზე წერია – შიქი, მეორეზე – შიქ, ე.ი. „მეფე მეფეთა“.


ზურგი: წარწერა შიქ იქი – „მეფე გიორგი“.

ვერცხლი. წონა – 0,77 გრ.
d=6/16.

შუბლი: მოგრძო არეზე წარწერა: შიქიქი – „მეფეთ“, და რადგანაც რკალი ყველა მხრიდან დახურულია, ამ ერთი სიტყვის მეტი აქ სხვა სიტყვა არც არის სავარაუდო.

ზურგი: წარწერა შიქ იქი – „მეფე გიორგი“.

ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	გიორგი იმერთა მეფის მონეტები. მესამე ტიპი
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი. წონა – 0,82 გრ. d=8/15.</p> <div style="text-align: center;">  </div> <p>შუბლი: ადამიანის თავი მარცხნივ. მონეტის ფირფიტის სიმცირის გამო სახე მთლიანად აღბეჭდილი არ არის. შეიმჩნევა შუბლი, მარცხენა, ფართოდ გახელილი თვალი, ნაწილობრივ იკვეთება თავსაბურავი და თითქოს წვერი. შუბლის წინ მოთავსებულია რომელიღაც ასოს მცირე ნაწილი – 7. ამ ნაწილის მიხედვით, ეს ასო, შესაძლოა, მთავრული 7, 7 ან 7 იყოს.</p> <p>ზურგი: რომელიღაც ცხოველი. კარგად ჩანს ტანი და სამი ფეხი. ბუნდოვნად მოჩანს მალა აწეული კუდი. ცხოველი მარცხნივ არის მიმართული.</p>
ზარაფხანა	ქუთაისი (?).
ნომინალი	ვერცხლი. წონა – 0,82 გრ.
თარიღი	1565-1585 წწ.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – გფ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექციის განძების ფონდი) № 5291.

ჯგუფი	XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები
ტიპი	ქვეჯგუფი – შაჰ თაჰმასპის ბისტების მინაბაძეები
აღწერა, ფოტო	<p>ვერცხლი, წონა≈0,9 გრ. d=13/18 მმ.</p> <div style="text-align: center;">  </div>

	<p>შუბლი: არაბულად, შიიტური რწმენის სიმბოლო სამ სტრიქონად: „არ არს ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა, ალი თანაგამზრახია ალლაჰისა“.</p> <p>ზურგი: სპარსული ზედწერილი: „შაჰ თაჰმასპ. მოიჭრა ზაგემს 963“ (= 1555/6 წწ.).</p>
ზარაფხანა	ზაგემი.
ნომინალი	ვერცხლი. წონა≈0,9 გრ.
თარიღი	XVI ს.
კოლექცია	სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი – მაგ. გვ. (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდი) №№5059, №5200, №№5292-5300.

სამეცნიერო კომენტარი	<p>XV საუკუნე საქართველოს ისტორიაში მძიმე პერიოდია. საკმარისია აღინიშნოს, რომ ერთიანი საქართველო ცალკე სამეფო-სამთავროებად საბოლოოდ სწორედ XV საუკუნეში დაიშალა და ამის შემდეგ ქვეყნის ინტეგრირება დიდი ხნის განმავლობაში ვეღარ მოხერხდა. ცხადია, პოლიტიკურ კონიუნქტურასთან უნისონშია XV საუკუნის საქართველოს ნუმიზმატიკური ძეგლებიც.</p> <p>1935 წელს გორში, ყოფილი სემინარიის ქუჩასა და სასაფლაოს შორის, მიწის დამუშავების დროს, დაბალხარისხოვანი ვერცხლის და ბილონის დაკნინებული წონის მონეტების განძი აღმოჩნდა. მიახლოებითი გამოანგარიშებით ის 10000 ცალს შეიცავდა. გორის განძის მნიშვნელობა ქართული ნუმიზმატიკის ისტორიისათვის უაღრესად დიდია, ვინაიდან, მისი წყალობით, მეცნიერებისთვის ცნობილი გახდა XV საუკუნის ქართველ მეფეთა, თუ ცალკეულ ფეოდალთა მონეტების უმრავლესობა და მოხერხდა მათი ზუსტი ატრიბუცია. განძის მონეტები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: I ჯგუფი – მონეტები ქართული ზედწერილებით; II ჯგუფი – მონეტები არაბული ზედწერილებით; III ჯგუფი – ანეპიგრაფიკული მონეტები სხვადასხვა გამოსახულებებით (მაგ. მხეცის), ან მონეტები უაღრესად დამახინჯებული ზედწერილებით. გარდა ამისა, მონეტების გარკვეული რაოდენობა ცალმხრივად სიქანაკრავია. განძის მონეტების დათარიღება იმის საშუალებით მოხერხდა, რომ მის შემადგენლობაში შემავალ ერთ-ერთ თურქულ ახჩაზე (ან მის მინაბაძზე) მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „ისახელოს ძლევა მისი, მოჭრილია ადრიანოპოლში წელსა [8]86 (=1481 წ.)“. ამრიგად, განძის დაფლობა XV საუკუნის 80-იან წლებშია სავარაუდო და მის შემადგენლობაში შემავალი მონეტები</p>
-----------------------------	---

XV საუკუნეშია მოჭრილი. განძის ქართული მონეტები მიეკუთვნება შემდეგ მეფეებს და ფეოდალებს: ალექსანდრე I (1412-1442 წწ.), ვახტანგ IV (1442-1446 წწ.), გიორგი VIII (1446-1466 წწ.), ვიდრე ის ერთიანი საქართველოს მეფე იყო, ბაგრატ VI (1466-1478 წწ.), სამცხის ათაბაგი ყვარყვარე (1451-1498 წწ.), კონსტანტინე II (1478-1505 წწ.). მისი სახელით მოჭრილი მონეტები განძის შემადგენლობაში ყველაზე მრავალრიცხოვანია და გამოირჩევა ვარიანტული მრავალფეროვნებით. განძი დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექციის განძების ფონდში.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი სამონეტო კომპლექსი, კერძოდ, ყაზბეგის რ-ნის სოფ. მნაში 1924 წელს აღმოჩენილი განძი, რომელიც ბილონის და სპილენძის 926 მონეტას შეიცავს. მნას განძის შემადგენლობა თითქმის იდენტურია გორის განძის კომპლექსისა. ის ორ წყებად შევიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (გფ. №№3142-3481, 16293-16868). განძი შედგება XV-XVI საუკუნეების დაკნინებული მონეტებისგან და მოჭრილია შემდეგი მეფეების სახელით: ვახტანგ IV, გიორგი VIII, კონსტანტინე II და დავით X (1505-1525 წწ.). გარდა ამისა, განძის შემადგენლობაში შედიოდა თურქული ახჩების მინაბაძები, მონეტები მხეცის, თევზის და გეომეტრიული ორნამენტის გამოსახულებით.

გიორგი VII-ის შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტი მისმა ძმამ, კონსტანტინე I-მა (1407-1411 წწ.) დაიკავა. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკური კოლექციის ქართული მონეტების ძირითად ფონდში დაცულია ერთადერთი ვერცხლის მონეტა (№3202), რომელსაც დ. კაპანაძე კონსტანტინე I-ს აკუთვნებდა (კონსტანტინე I-ის მონეტები). მას ასეთი სახე აქვს:

ვერცხლი. წონა – 0,40 გრ.

შუბლი: კვადრატში ჩასმული ასომთავრული ასოები

Ⓔ

Ⓕ Ⓖ – კონსტანტინე.

Ⓒ

ზურგი: ორსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული წარწერა – „ღმერთი ჩემი კმაყოფაა“.

იდენტური მონეტა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გამოაქვეყნა ვ. ლანგლუამ და შეცდომით კონსტანტინე II-ს

მიაკუთვნა. მაგრამ, როგორც მის მიერ არც თუ ისე ზუსტად დასახელებული თარიღიდან ჩანს (1407-1414 წწ.), ის კონსტანტინე I გულისხმობდა.

ეს მონეტა უცილობლად კონსტანტინე I ეკუთვნის. ამის დასამტკიცებლად სამი საბუთის მოტანა შეიძლება: 1. აღწერილი მონეტა გარეგნულად ახლოს დგას გიორგი VII-ის მონეტასთან, 2. მიუხედავად იმისა, რომ გორის და მნას განძებში, კონსტანტინეს სახელით აღბეჭდილი მონეტები მრავალი ვარიანტით არის წარმოდგენილი, ანალოგიური მონეტა იქ არ გვხვდება, დაბოლოს, 3. ასეთი მონეტა შედიოდა 1832 წელს ლორეში აღმოჩენილ ფულად განძში, რომლის უკიდურესი ქრონოლოგიური ზღვარი 1426 წელია.

ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) მონეტები სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკურ კოლექციაში არ ინახება. მართალია, გორის განძში ერია ერთადერთი ცალი (გვ. №7183, წონა – 0,38 გრ.), რომელსაც დ. კაპანაძე ალექსანდრე I-ს აკუთვნებს, მაგრამ ეს მონეტა იმდენად გაცვეთილია, რომ გადაჭრით რაიმეს მტკიცება შეუძლებელია (ალექსანდრე I-ის მონეტები). მონეტის შუბლზე თითქოს უნდა იკითხებოდეს შებრუნებული მთავრული ასო კ (რ). თუ ეს ასეა, მაშინ ის ნამდვილად ალექსანდრე I ეკუთვნის, რადგან, როგორც ჯერ კიდევ ვ. ლანგლუამ მიუთითა, ეს ასო ქორონიკონს აღნიშნავს, და ალექსანდრე I-ის გამეფების წელს ემთხვევა (100=1412 წელს). ვ. ლანგლუა, მართალია, სწორ გზაზე იდგა, როდესაც კ-ში ქორონიკონის აღმნიშვნელი დაინახა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ასეთი მონეტა შეცდომით კონსტანტინე I მიაკუთვნა.

ალექსანდრე I ჯერ კიდევ ვერცხლის მონეტის აღწერილობა ასეთია:

შუბლი: მონეტის ცენტრში ხაზოვან რკალში ჩასმული მთავრული ასო კ (რ) (ხშირ შემთხვევაში შებრუნებული), წრიული ასომთავრული წარწერა, რომელიც, ევგ. პახომოვის ცნობით, კარგად შენახულ ცალეზე იკითხება ასე: „მეფეთა მეფე ალექსანდრე“.

ზურგი: ორსტრიქონიანი ქართული წარწერა: სქც/ოსც „სახელითა ღვთისაჲთა“.

გ. დუნდუამ თავის დროზე სანკტ-პეტერბურგის/ლენინგრადის ერმიტაჟის საცავში დაცული ალექსანდრე I მონეტები შეამოწმა და ევგ. პახომოვის წაკითხვის სისწორეში დარწმუნდა. განსაკუთრებით კარგად იკითხება მონეტის ზურგის ზედწერილი: სქც/ოსც (სახელი-

თა ღვთისადათა). მონეტის შუბლის წარწერის ამოკითხვა კი რამდენიმე მონეტის ლეგენდის ფრაგმენტების შეერთებით მოხერხდა, რადგან სრული ზედწერილი არც ერთ მათგანზე შერჩენილი არ არის. სულ ერმიტაჟში ალექსანდრე I მონეტები 73 ცალის რაოდენობითაა დაცული.

ალექსანდრე I ტახტზე მისმა ვაჟმა, ვახტანგ IV (1442-1446 წწ.) შეცვალა. დ. კაპანაძეს გამოქვეყნებული აქვს ვახტანგ IV-ის მონეტების ერთი ვარიანტი, რომელიც გორის განძში აღმოჩნდა (გგ. №7184) (ვახტანგ IV-ის მონეტები მთავრული წარწერებით), მაგრამ ის ისე ცუდად არის დაცული, რომ მნას განძის იდენტური ცალები რომ არა, მისი მიკუთვნება ვახტანგისადმი გამწვანდებოდა.

ბილონი. რემედიუმი: მაგ. 0,60 გრ.-0,85 გრ.

შუბლი: სამსტრიქონიანი ქართული წარწერა: $\text{N} \text{Q} / \text{N} \text{S} \text{K} / \text{X} \text{Q} \text{S}$ – „ღმერთო, გაუმარჯოს“.

ზურგი: ასევე სამსტრიქონიანი წარწერა, რომელიც შუბლის ლეგენდას აგრძელებს: $\text{S} \text{P} \text{N} / \text{S} \text{C} \text{H} \text{E} / \text{P} \text{N} \text{S}$ – „მეფესა ვახტანგს“.

სოფ. მნას მეტად საინტერესო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე გამოუქვეყნებელი განძის შემადგენლობაში დაფიქსირებულია ვახტანგ IV-ის მონეტის სხვა ვარიანტი (ვახტანგ IV-ის მონეტები ცხოველის გამოსახულებით).

ბილონი. რემედიუმი: მაგ. 0,65 გრ.-0,88 გრ.

შუბლი: ორსტრიქონიანი ქართული წარწერა: $\text{S} \text{P} \text{N} / \text{H} \text{E} \text{E}$ – „მეფე ვახტანგი“.

ზურგი: ცხოველის გამოსახულება, რომელიც ძლიერ წააგავს სახედარს.

ცხადია, აღწერილი მონეტები ვახტანგ IV ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი XVI საუკუნის პირველ მეოთხედში ჩამარხული განძის შემადგენლობაში შედიოდა. სხვა ვახტანგი ამ ხანაში არ მოიძებნება. ამაზე ნათლად მეტყველებს თვით მნას განძის შემადგენლობის ანალიზიც. დასახელებული განძი შედგება ვახტანგ IV-ის I ვარიანტის, გიორგი VIII-ის, კონსტანტინე II-ის და დავით X-ის მონეტებისგან. სავსებით ნათელია, რომ ქართველ მეფეთა ასეთი თანმიმდევრობა

შემთხვევითი არ არის და აღწერილი მონეტაც ვახტანგ IV უნდა მიეკუთვნოს.

გორის განძში გიორგი VIII-ის (1446-1466, 1466-1476 წწ.) ერთმანეთისგან განსხვავებული ლეგენდიანი მონეტები აღმოჩნდა. მათი აღწერილობა ასეთია:

გიორგი VIII-ის მონეტები „მეფეთა მეფის“ ტიტულით. ბილონი. რემედიუმი: 0,47-0,70 გრ.

შუბლი: ოთხსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა: ՄԴԴ/ՄԴԴԾ/ՄԶԿԸՈ/ՆԿԴԿ – „მეფე მეფეთა, მონა ღვთისა, გიორგი“.

ზურგი: თანაბარტოტებიანი ჯვარი.

გიორგი VIII-ის მონეტები „მეფის“ ტიტულით.

ბილონი.

შუბლი: ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი – [ՄԴԴ]/ԿԿԿ – „მეფე გიორგი“.

ზურგი: რომელიღაც ცხოველის კონტურები, ხშირ შემთხვევაში კი, გამოსახულების გარეშე.

დ. კაპანაძის აზრით, მონეტა, რომლის ზედწერილში გიორგი მოხსენებულია უბრალოდ „მეფედ“ და არა „მეფეთა მეფედ“, უნდა ეკუთვნოდეს მისი კახეთში მეფობის პერიოდს (1466-1476 წწ.), როდესაც მას, ბაგრატ VI-ის მიერ შევიწროებულს, არ შეეძლო რაიმე პრეტენზია ჰქონოდა „მეფეთა მეფის“ ტიტულზე. შეიძლება ეს ასეც იყოს.

გიორგი VIII-ის მეტოქეს, ბაგრატ VI-ს (1466-1478 წწ.) უნდა ეკუთვნოდეს შემდეგი მონეტა (ბაგრატ VI-ის მონეტები):

ბილონი. წონა≈0,64 გრ.

შუბლი: ორსტრიქონიანი ქართული წარწერა – ՄԴԴ/ԿԿԸ – „მეფე ბაგრატ“.

ზურგი: ფრთოსანი მხეცის გამოსახულება.

გორის განძში ასეთი მონეტა ორ ცალად აღმოჩნდა.

გიორგი VIII-ის და ბაგრატ VI-ის მონეტების სინქრონულია

ყვარყვარე ათაბაგის მონეტა (ყვარყვარე ათაბაგის მონეტები).
ვერცხლი. რემედიუმი≈0,39 გრ.-0,66 გრ.

შუბლი: ხაზოვან ოთხკუთხედში ორსტრიქონიანი მხედრული ზედწერილი – ყრ/ყრე (ზედწერილი შესრულებულია შებრუნებულად), „ყვარყვარე“. გვაქვს მონეტა ასომთავრული წარწერით.

ზურგი: თევზის სქემატური გამოსახულება. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ რვაქიმიანი ვარსკვლავი.

ფეოდალურ მონეტებს თავდაპირველად მ. ბარათაევი შეეხო, მაგრამ მსგავსი მონეტა შეცდომით რუსუდანს (1222-1245 წწ.) მიაკუთვნა. ათაბაგ ყვარყვარეს სახელის ასოებში მან 450 (=1230 წ.) დაინახა, რომელიც რუსუდანის დრამებზე გვხვდება.

შემდეგში, იდენტური მონეტა, რომელიც გორის განძში აღმოჩნდა, ოღონდ ასომთავრული ზედწერილით, დ. კაპანაძემ მიაკუთვნა ბაგრატ VI-ის და კონსტანტინე II-ის თანამოსაყდრეობის (1466-1478 წწ.) პერიოდს. უკვე მაშინვე ავტორი თავის განსაზღვრას ეჭვის ქვეშ აყენებდა. ამიტომ იყო, რომ ზედწერილის საკუთარ წაკითხვას (ხჩ/ჟს . . .?) კითხვის ნიშანი დაუსვა. სხვა ცალის აღმოჩენამ მხედრული წარწერით კი მას საშუალება მისცა სწორად ამოეხსნა ამ თევზის გამოსახულებიანი მონეტების მომჭრელის ვინაობა. ეს არის სამცხის ათაბაგი ყვარყვარე (1451-1498 წწ.), ცნობილი თავისი პარტიკულარიზმით. მისი მონეტების სხვადასხვა ვარიანტი მოწმობს, რომ მესხეთის ზარაფხანა, რომელიც, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ახალციხეში იყო, საკმაო პროდუქციას უშვებდა. ყვარყვარეს მონეტებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია ის ცალი, რომელსაც ც. ღვაბერიძემ მიაკვლია და რომლის შუბლზე ათაბაგის სახელი არაბულად არის დაქარაგმებული, ხოლო ზურგზე ისევ და ისევ თევზია გამოსახული.

სპეციალურად უნდა შევჩერდეთ ანეპიგრაფიკულ მონეტებზე, რომელთა ემისია ახალციხის ზარაფხანაში არავითარ ეჭვს არ იწვევს. ქვემოთ წარმოდგენილია მათი აღწერილობა ც. ღვაბერიძის მიხედვით:

1. გვ. №7200. ვერცხლი. წონა – 0,77 გრ. d=14/16 მმ.

შუბლი: წრეში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული თევზის სქემატური გამოსახულება. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ წერტილები.

ზურგი: წრეში მოთავსებულია თევზის სქემატური გამოსახულება მარცხნივ. ზემოთ და ქვემოთ წერტილები.

2. ქვ. №603. ვერცხლი. წონა – 0,48 გრ. d=13/14 მმ.

შუბლი: წრეში გამოსახული ჯვარი.

ზურგი: წრეში მოთავსებული თევზის სქემატური გამოსახულება მარცხნივ.

3. ქვ. №3215. ვერცხლი. წონა – 0,73 გრ. d=13/14 მმ.

შუბლი: წრეში მოთავსებული თევზის გამოსახულება მარცხნივ.

ზურგი: ხაზოვან ოთხკუთხედში სუნიტური რწმენის ფორმულა სამ ხაზზე არაბულად – „არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამადი მოციქულია ალლაჰისა“.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, თევზის გამოსახულებიანი ქართული მონეტები ანონიმურია. მიუხედავად ამისა, დ. კაპანაძემ ეს მონეტები სავსებით მართებულად მესხეთის ზარაფხანას დაუკავშირა. მას მხარი დაუჭირა გ. დუნდუამ. მეტიც: გ. დუნდუამ სპეციალურად განიხილა თევზის გამოსახულებიანი ანონიმური მონეტების ატრიბუცია-დათარიღების საკითხი და, განძების კომპლექსების ანალიზისა და ამ მონეტების დიდი მსგავსების საფუძველზე ყვარყვარეს სახელიან მონეტებთან, დაასკვნა, რომ მათი ემისია ყვარყვარე ათაბაგს ეკუთვნის, ოღონდ ისინი მოჭრილია მისი მოღვაწეობის შედარებით ადრეულ პერიოდში, ვიდრე ის მეფე გიორგის ტყვედ აიყვანდა 1465 წელს.

გორის და მნას განძებში ყველაზე მრავლად წარმოდგენილია კონსტანტინე II-ის (1478-1505 წწ.) მონეტები. ისინი ორ ვარიანტად იყოფა, როგორც ტექნიკური შესრულების, ასევე მონეტაზე კონსტანტინეს სახელის გადმოცემის თვალსაზრისით. პირველ ვარიანტს ეკუთვნის ორმხრივად სიქანაკრავი მონეტები, რომლებზედაც კონსტანტინეს სახელს თან ახლავს ტიტული „მეფე“. მეორე ვარიანტს ცალმხრივად სიქანაკრავი მონეტები შეადგენს. ზოგიერთ შემთხვევაში, კონსტანტინეს სახელს თან ახლავს ტიტული „მეფე“, ზოგიერთ შემთხვევაში კი არა (კონსტანტინე II-ის მონეტები).

პირველი ვარიანტის მონეტების აღწერილობა ასეთია:

ბილონი. რემედიუმი: 0,43 გრ.-0,62 გრ.

შუბლი: ორსტრიქონიანი ასომთავრული ზედწერილი – შქ/ԿՏ (ზოგჯერ – შქ/ԿԴ), „მეფე კონსტანტინე“, გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზით.

ზურგი: მარცხნივ მიმავალი უცნობი მხეცი, გრძელი აშვერილი და ზურგისკენ გადახრილი კუდი (ზოგჯერ გამოსახულების ქვემოთ ან ზემოთ – ჯვარი).

ამავე ვარიანტს მიეკუთვნება გორის განძში აღმოჩენილი ოთხი მონეტა.

ბილონი. წონა – მაგ. 0,57 გრ.

შუბლი: ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა – **ՄՓ/ԿԸ** – „მეფე კონსტანტინე“, გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზით. ოთხივე მონეტა გაცვეთილია.

ზურგი: მზის გამოსახულება

ცალმხრივად სიქანაკრავ მონეტებზე კონსტანტინეს სახელის სხვადასხვა შემოკლებები გვხვდება: **ՄՓ/ԿԸԲԴ**, **Մ/ԿԴ**, **Մ/ԿԸ**, „მეფე კონსტანტინე“, ან ტიტულის გარეშე – **ԿԸ/ԸԲԴ**, „კონსტანტინე“. დ. კაპანაძეს ეს მონეტები ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელად მიაჩნია. წარწერები ამ მონეტებზე, როგორც ორმხრივად სიქანაკრავ მონეტებზე, გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზით (ბილონი, რემედიუმი: 0,47 გრ.-0,64 გრ.).

მასალის სიმცირის და სირთულის გამო, შეიძლება ითქვას, რომ XVI საუკუნის ქართული მონეტები ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი. ნუმიზმატიკის განყოფილების ძველი თანამშრომლების გადმოცემით, თავის დროზე თ. ლომოურს პუბლიკაციისთვის მოუძიებია უკვე არაერთგზის მოხსენიებული მნას განძი, რომლის შემადგენლობაშიც, ძირითადად, დავით X-ის (1505-1525 წწ.) მონეტები შედის. სამწუხაროდ, ეს გამოკვლევა თვალს მიეფარა. ამრიგად, მნას განძი გამოუქვეყნებელია, რაც გარკვეულ უხერხულობას და სირთულეს ქმნის. ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში გ. დუნდუამ, XV საუკუნის მასალაზე მუშაობის პარალელურად, მნას განძის მონეტებიც გადაათვალიერა და დარწმუნდა იმაში, რომ დავით X-ის მონეტების უმრავლესობა ზუსტი ასლია ვახტანგ IV-ის I ვარიანტის ფულისა. შეცვლილია მხოლოდ მეფის სახელი. თუ ვახტანგ IV-ის მონეტის შუბლის და ზურგის ლეგენდა იკითხება ასე: „ღმერთო, გაუმარჯოს//მეფესა ვახტანგს“, დავითის მონეტების ზედწერილს კი ასეთი სახე აქვს: „ღმერთო, გაუმარჯოს//მეფესა დავითს“. ცხადია, მნას განძში დავითის მონეტების სხვადასხვა ვარიანტი შედის (დავით X-ის მონეტები).

XVI საუკუნის ქართული მონეტების ისტორია ამით ამოიწურებოდა, რომ, საბედნიეროდ, 1946 წელს ხონის რაიონის სოფელ პატარა ჯიხაიშში არ აღმოჩენილიყო ვერცხლის მონეტების საკმაოდ მოზრდილი განძი, რომლის შემადგენლობაში შემავალი ფულები, სამწუხაროდ, თითქმის მთლიანად მიმოიფანტა. გადარჩა მხოლოდ 18 მონეტა.

განძის გადარჩენილმა ამ მცირე ნაწილმაც კი საშუალება მისცა თ. ლომოურს ნაწილობრივ შეევსო XVI საუკუნის ქართული ნუმიზმატიკის ხარვეზი. 18 მონეტიდან 5 ქართულია, 4 თურქული და 9 ირანული. ყველა მათგანი ვერცხლისაა.

5 ქართული მონეტა სამ სხვადასხვა ტიპს იძლევა:

I ტიპი (გიორგი იმერთა მეფის მონეტები. პირველი ტიპი).

გვ. №5288. წონა – 0,62 გრ. d=11 მმ.

შუბლი: წვერულვაშიანი მამაკაცის თავის სქემატური გამოსახულება პირდაპირ, ძვირფასი თვლებით შემკული სამეფო თავსაბურთით. მარცხნივ – მცენარეული ორნამენტი, ირგვლივ – ხაზოვანი და წერტილოვანი რკალები.

ზურგი: დაქარაგმებული ქართული ასომთავრული წარწერა: შქუღუ – „მეფე გიორგი“, მარჯვნივ მცენარეული ორნამენტი.

პირველად ასეთი მონეტა მ. ბარათაევმა გამოაქვეყნა და სრულიად დაუსაბუთებლად ის გიორგი II-ს (1072-1089 წწ.) მიაკუთვნა. ვ. ლანგლუამ ეს ატრიბუცია არ გაიზიარა. მ. ბარათაევის მიერ გამოცემული და 1850 წელს თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი განძის ცალები მან გიორგი VIII-ს მიაკუთვნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ექვ. თაყაიშვილმა პარიზში გამოცემულ ერთ-ერთ თავის ნაშრომში ეს მონეტა „გიორგაულად“ მიიჩნია, მაგრამ როდესაც პატარა ჯიხაიშის განძის შემადგენლობას გაეცნო, ამ ატრიბუციაზე უარი თქვა და მის განკარგულებაში არსებული ეგზემპლარი 1951 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა (გვ. №7484). ეს ცალი პატარა ჯიხაიშის ცალისაგან განსხვავდება წონით და ზომით (წონა – 1,44 გრ., d=13/18 მმ.) და, როგორც დ. კაპანაძე ვარაუდობს, ის ორმაგი ნომინალია.

II ტიპი (გიორგი იმერთა მეფის მონეტები. მეორე „ტიპი“). პატარა ჯიხაიშის განძის შემადგენლობაში მეორე „ტიპის“ სამი მონეტა შედის. გვ. №№5289, 5290, 5303. წონა – 0,75, 0,77, 0,79; d=6/14, 6/16, 6/15. სამივე მონეტა ერთი და იმავე სახისაა: მოგრძო, კუთხოვანი მოყვანილობის ლითონის ფირფიტაზე ორივე მხრიდან აღბეჭდილია ასომთავრული წარწერები. ორი მონეტა, №№5289 და 5303, თ. ლომოურის დაკვირვებით, ერთი და იმავე სიქით უნდა იყოს მოჭრილი, მესამე კი, №5290, ამათ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს.

№5289-ის ავერსის წარწერა ორ სტრიქონად არის განლაგებული. სტრიქონებს შუა ხაზია. პირველ სტრიქონზე წერია – შქუღ, მეორეზე –

ჰფ, ე.ი. „მეფეთა მეფე“, ან „მეფე მეფეთა“. სიზუსტის დადგენაში გვეხმარება №5303. აქ წარწერა სრულად არის მოცემული – ოქო, რამაც თ. ლომოურს საშუალება მისცა ავერსის მთელი წარწერა ამოეკითხა, როგორც „მეფე მეფეთა“. ირგვლივ ორმაგ ხაზოვან რკალს შუა წერტილოვანი რკალი. რევერსის წარწერა ორივეზე იდენტურია: ოქოქო – „მეფე გიორგი“.

მესამე მონეტა (გგ. №5290) პირველი ორისგან განსხვავდება მხოლოდ ავერსის წარწერით. მოგრძო არეზე წერია: ოქოქო – „მეფეთ“, და რადგანაც რკალი ყველა მხრიდან დახურულია, ამ ერთი სიტყვის მეტი აქ სხვა სიტყვა არც არის სავარაუდო. რევერსი ამ მონეტისა წინა ორის იდენტურია. ამრიგად, მთელი ზედწერილი ამ ცალისა ასეთი სახისაა: ოქოქო ოქოქო – „მეფეთ მეფე გიორგი“.

ორი ანალოგიური მონეტა 1850 წელს თბილისის მიდამოებში აღმოჩენილ განძშიც ყოფილა. ისინი აღწერილი აქვს ვ. ლანგლუას, მაგრამ როგორც აღწერა, ისე ატრიბუცია მცდარია.

III ტიპი (გიორგი იმერთა მეფის მონეტები. მესამე ტიპი). გგ. №5291. წონა – 0,82. d=8/15.

ის მოგრძო, არასწორი ოთხკუთხედის მოყვანილობისაა. ერთ მხარეზე ჩანს ადამიანის თავი მარცხნივ. მონეტის ფირფიტის სიმცირის გამო სახე მთლიანად აღბეჭდილი არ არის. შეიმჩნევა შუბლი, მარცხენა ფართოდ გახედილი თვალი, ნაწილობრივ იკვეთება თავსაბურავი და თითქოს – წვერი. შუბლის წინ მოთავსებულია რომელიღაც ასოს მცირე ნაწილი – ო. ამ ნაწილის მიხედვით, ეს ასო, შესაძლოა, მთავრული ო, ო ან ო იყოს. მეორე მხარეს რაღაც ცხოველია გამოსახული. კარგად ჩანს ტანი და სამი ფეხი. ბუნდოვნად მოჩანს მაღლა აწეული კუდი. ცხოველი მარცხნივ არის მიმართული.

ორი ასეთი მონეტა 1850 წელს აღმოჩენილი განძიდან გამოქვეყნებული აქვს ვ. ლანგლუას. ის მონეტის ზურგზე გამოსახულ ცხოველს ლომად მიიჩნევს. ვ. ლანგლუას მიერ ტაბულაზე №3-ით გამოქვეყნებული მონეტის ფირფიტა უფრო ფართოა, ამიტომ ადამიანის თავის წინ აღბეჭდილია სამი მთავრული ასო: ოქო. ვ. ლანგლუა მათ კითხულობს, როგორც „მეფე გიორგი“, რასაც თ. ლომოური, გამომდინარე აღნიშნული განძის კომპლექსიდან, ეთანხმება.

ვ. ლანგლუაზე ადრე ასეთივე მონეტა მ. ბარათაევმა გამოსცა. მის ეგზემპლარზე კარგად ჩანს მარცხნივ მიმართული თავი, წვერულვაში, თავსაბურავი. თავი ისეა მოთავსებული მონეტის არეზე, რომ წინ და უკან, მას და მონეტის ნაპირს შუა დატოვებულია მცირე

ადგილი. ამ ადგილზე მოთავსებულია ასომთავრული ზედწერილი: თავის წინ – ՄՓԴ, უკან – ԴԴ, ე.ი. „მეფე გიორგი“. ირგვლივ წერტილოვანი რკალი. რაც შეეხება რევერსის გამოსახულებას, მონეტის ცუდი დაცულობის გამო ცხოველის კონტურები კარგად არ ჩანს. მ. ბართაევი მას გარეულ ღორს ამსგავსებს. თვით მონეტას ის გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) მოჭრილად მიიჩნევს.

ვ. ლანგლუას ატრიბუციით, მისი ემისია გიორგი VIII-ს ეკუთვნის.

საბოლოო ჯამში, ვის უნდა მიეკუთვნოს 1850 წელს თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი და პატარა ჯიხაიშის განძების შემადგენლობაში შემავალი მეფე გიორგის სახელით მოჭრილი მონეტები? საბედნიეროდ, პატარა ჯიხაიშის განძში აღმოჩნდა კარგად დათარიღებული უცხოური მონეტები, რომლებიც საზღვრავს განძის ქართულ მონეტებს. ეს არის სულთან მურად III-ის (1574-1595 წწ.) ჰიჯრ. 982 წლით (=1574-1575 წწ.) დათარიღებული ოსმალური ახჩა. თავისთავად ცხადია, რომ მეფე გიორგი XVI საუკუნის II ნახევრის პოლიტიკური მოღვაწეა.

საინტერესო მონეტებს თავის სახელმძღვანელოში შეეხო დ. კაპანაძე. მართალია, თ. ლომოურის ატრიბუციაში მას რაიმე კორექტივი არ შეუტანია, მაგრამ გამოთქვა თავისი მოსაზრება ზემოთ აღწერილი მონეტების დიზაინთან დაკავშირებით. ის წერს: „XIV-XV საუკუნეების დანარჩენ მონეტებთან შედარებით ეს ორი აღწერილი ნიმუში (ჩვენთან I და II ტიპი – თ. დ.) ფულის მოჭრის ნამდვილი შედეგია: გამოსახულება ისე მხატვრულად არის შესრულებული (იგულისხმება I ტიპის მონეტის იკონოგრაფია – თ. დ.), რომ ხელოვნებამცოდნე ო. სანებლიძე ამ მონეტაზე მოთავსებულ გამოსახულებას გელათის ერთ-ერთ ხატზე მოჭედილ გიორგი II გამოსახულებასა და ამავე ტაძრის ფრესკას ადარებს. ზედწერილის მოყვანილობაც განსაკუთრებით ლამაზი და მოხდენილია. სიფაქიზე და ხელოვნება, რომლებიც ხელოსანს გამოუჩენია ნახატის და წარწერების გადმოცემის დროს, იმდენად მაღალია, რომ განცვიფრებას იწვევს; საოცარია როგორ შეძლო ხელოსანმა მცირე ზომის ლითონის ფირფიტაზე ასე ლამაზად, კოხტად და მოხდენილად ასეთი მინიატურული გამოსახულებისა და წარწერის მოთავსება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მიუხედავად მძიმე პირობებისა, რომელშიც იმ დროს დასავლეთ საქართველო იმყოფებოდა, გიორგი ბაგრატიის ძის მონეტები, თავისი ტექნიკური და მხატვრული ნიშნებით, გაცილებით უკეთესია, ვიდრე მათი თანადროული თურქული მონეტები. საინტერესოა, რომ ლითონის სინჯი და წონაც უფრო

მაღალია“.

შიეძლებოდა აქ დაგვესრულებია XVI საუკუნის ქართული მონეტების მიმოხილვა, მაგრამ მას კიდევ ერთი შტრიხი აკლია.

მ. ბარათაევს და ვ. ლანგლუას გამოქვეყნებული ჰქონდათ ქართული მონეტების ისეთი ნიმუში, რომელზედაც იკითხებოდა სახელი ბაგრატ (ბაგრატ იმერთა მეფის მონეტები). თავის დროზე ვერცხლის ეს მონეტა ვ. ლანგლუამ ბაგრატ III იმერთა მეფეს მიაკუთვნა. ამ მონეტის აღწერილობა ასეთია:

შუბლი: პირდაპირ მიმართული სქემატურად შესრულებული მეფის გამოსახულება სამრკალიანი გვირგვინით.

ზურგი: ჰორიზონტალური ხაზით გაყოფილი ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ზედწერილი, რომელიც ასე უნდა იკითხებოდეს: „მეფე ბაგრატ“.

დ. კაპანაძე შენიშნავს: „პატარა ჯიხაიშის განძიდან შემორჩენილ ნაწილში ბაგრატის სახელით აღბეჭდილი მონეტა არ აღმოჩნდა, მაგრამ არსებული ნიმუშების დაპირისპირება და ტიპების შედარება შესაძლებლობას იძლევა ამავე პერიოდს დავუკავშიროთ და 1510-1565 წლებით დავათარილოთ ქვემომოყვანილი (იგულისხმება ზემოთ აღწერილი ფული – თ. დ.) ვერცხლის წვრილი მონეტა“.

ეს, რაც შეეხება XVI საუკუნის საკუთრივ ქართულ მონეტებს. მაგრამ საკითხი ამით არ ამოიწურა. საქართველოს ერთ-ერთ ზარაფხანაში იმავე XVI საუკუნეში უცხო ქვეყნის მმართველის სახელით ვერცხლის მონეტები იჭრება. ეს ზარაფხანა არის ზაგემი. მისი ფუნქციონირების ფაქტი დადასტურდა პანკისის ხეობის სოფ. ბირკიანში (ახმეტის რ-ნი) 1967 წელს აღმოჩენილი სპარსული ვერცხლის მონეტების განძის შემადგენლობით. ამ განძში შედიოდა შაჰ სეფი I-ის (1629-1642 წწ.), სეფიანის, სახელით ზაგემში მოჭრილი ორი აბაზიანიც, დათარიღებული ჰიჯრ. 1039 წლით (=1629 წ.). თ. ქუთელიას გამოკვლევის თანახმად, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა საქართველოსა და სეფიანთა ირანის ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, დადგინდა, რომ სამონეტო ემისიას ზაგემის ზარაფხანა XVI საუკუნეშიც ახორციელებდა.

ზაგემი მდებარეობდა მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ისტორიული კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, გრემიდან შირვანში მიმავალ გზაზე. საისტორიო წყაროების მიხედვით, XVI-XVII საუკუნეებში ზაგემი, გრემსა და თელავთან ერთად, კახეთის მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა.

თ. ქუთელიამ სხვადასხვა მუზეუმში მუშაობის პროცესში მიაკვლია 26 ვერცხლის მონეტას, რომელთა ემისია განხორციელდა ზაგემის ზარაფხანაში სეფიანი შაჰის, თაჰმასპ I-ის (1524-1576 წწ.) სახელით. მან ზოგიერთ ცალზე მათი მოჭრის თარიღიც ამოიკითხა: ჰიჯრ. 963 წელი (1555-1556 წწ.), 975 წელი (1567-1568 წწ.), 977 წელი (1569-1570 წწ.). ეს მონეტები მცირე ზომისა და მოგრძო ფორმისაა. მათი სიგრძე 11-13 მმ. მერყეობს, ხოლო სიგანე – 8-9 მმ. თ. ქუთელიამ წონის მიხედვით დაადგინა, რომ ისინი ბისტს, ან ნახევარშაჰებს წარმოადგენდა. ბისტის წონაა 0,91 გრ., ხოლო ნახევარშაჰის – 1,05 გრ. ამ მონეტებზე, ცხადია, ქართული არაფერია. მათ შუბლზე არაბულად მოთავსებულია შიიტური რწმენის სიმბოლო, ხოლო ზურგზე – ზარაფხანის სახელი და თარიღი. ქვემოთ წარმოდგენილია სანიმუშო ცალის აღწერილობა:

შუბლი: არაბულად, შიიტური რწმენის სიმბოლო სამ სტრიქონად: „არ არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, მუჰამმადი მოციქულია ალლაჰისა, ალი თანაგამზრახია ალლაჰისა“.

ზურგი: სპარსული ზედწერილი: „მოიჭრა ზაგემს 963 წელს (=1555/1556 წწ.).“

კახეთში სეფიანთა სახელით მოჭრილი მონეტები მოწმობს ამ სამეფოს პოლიტიკურ დამოკიდებულებას უცხო ქვეყანაზე, ირანის შაჰის უზენაესობის ცნობას.

დაბოლოს, როგორც ფაქტობრივი მასალა ადასტურებს, საქართველოში იჭრება თაჰმასპ I-ის მონეტების იმიტაციები (შაჰ თაჰმასპის ბისტების მინაბადები).

უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ჩვენთვის ცნობილი პატარა ჯიხაიშის განძის შემადგენლობიდან სულ 18 მონეტა გადარჩა. აქედან 5 ქართულია, 4 – თურქული, ხოლო 9 – ირანული, ან ირანულის მიმბადველობა (ამ უკანასკნელთა საინვენტარო №№5292-5300). თ. ლომოურის აღწერით, „ . . . გარეგნულად ესენი წარმოადგენენ მოგრძო არასწორ ოთხკუთხედ ფირფიტებს დიამეტრით 6/11 მილიმეტრიდან 13/16 მილიმეტრამდე და წონით 0,42 გრამიდან 0,75 გრამამდე. ფირფიტების ორივე მხარეს აღბეჭდილია არაბული წარწერები. ერთი მხარის წარწერა ჩვეულებრივი მუსლიმანური სიმბოლო უნდა იყოს, ხოლო მეორე მხარისა სრულიად გაურკვეველია. არც ერთ მათგანზე თარიღი არ ჩანს, მაგრამ სხვადასხვა ნიშნების შემწეობით მათი ზოგადი დათარიღება მაინც შესაძლებელია . . . საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკის კაბინეტში დაცულია მოზრდილი კოლექცია – რიცხვით 692 ცა-

	<p>ლი, რომელიც, მცირედის გამოკლებით, შედგება ამავე ტიპის ფულებისგან. წარწერები მეტწილად გაურკვეველია. ორ ცალზე №№5059, 5200 შესაძლებელი გახდა თარიღის ჰიჯრით 963 წლის (=1555 წ.) ამოკითხვა“. ეს წელი კი შედის თაჰმასპ I-ის მმართველობის ხანაში.</p> <p>ასეთივე მონეტები შედიოდა აგრეთვე 1909 წელს ამბროლაურის მახლობლად აღმოჩენილი დიდი განძის შემადგენლობაშიც. ამ კომპლექსის ერთი ნახევარი შაჰ-აბას I-ის (1589-1629 წწ.) მონეტები იყო, ხოლო მეორე – მოგრძო ოთხკუთხედი ფორმის წვრილი ფული დამახინჯებული არაბული წარწერებით. ევგ. პახომოვი თვლიდა, რომ ეს ამოუცნობი მონეტები ფორმით და ზომით მსგავსია თაჰმასპ I-ის მონეტების და მათი ემისია დასავლეთ საქართველოშია სავარაუდო. იმერეთის ზარაფხანის პროდუქციად მიიჩნევა მათ დ. კაპანაძეც.</p> <p>ცხადია, სრულიად აშკარაა, რომ თაჰმასპ I-ის მონეტების მინაბამებს საქართველოში სპარსეთიდან არავინ შემოიტანდა, ის ადგილობრივი ემისიაა, მაგრამ ვის მიერ ხორციელდება ეს ღონისძიება, ან სად? პატარა ჯიხაიშის განძის შემადგენლობაში ჰიჯრ. 982 წლით (1574-1575 წწ.) დათარიღებული ოსმალური ახჩაც შედიოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო მონეტებიც შესაბამისი პერიოდით უნდა დათარიღდეს. ამ დროს კი იმერეთის ტახტზე გიორგი II (1565-1585 წწ.) ზის, რომელიც თვითონ ჭრის მონეტებს საკუთარი სახელით. რაში სჭირდებოდა მას იმიტაციების ემისია? ამ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში ოსმალური ახჩების და სპარსული მონეტების მინაბამების აქტიური როლი განძების (გორის, მნას, ამბროლაურის სამონეტო კომპლექსები) შემადგენლობით კარგად დასტურდება.</p>
--	---

<p>ბიბლიოგრაფია</p>	<p>გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბ. 1964; სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი XV საუკუნის საქართველოში (ისტორიულ-ნუმისმატიკური ნარკვევი). ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბ. 1965; ფული საქართველოში. თბ. 2003 (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა) (თ. დუნდუასთან, ნ. ჯავახიშვილთან და ა. ერისთავთან თანაავტორობით); ქართული ნუმისმატიკა. I. თბ. 2006, ქართული ნუმისმატიკა. II. თბ. 2011 (თ. დუნდუასთან თანაავტორობით); ქართული ნუმისმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009 (ირ. ჯალაღანიასთან თანაავტორობით); XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა ემისიები. თბ. 2011 (თ. დუნდუასთან თანაავტორობით).</p>
----------------------------	--

	<p>დ. კაპანაძე. ქართული ნუმისმატიკა. თბ. 1969; XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სსმმ). ტ. X-B. 1940.</p> <p>თ. ლომოური. პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI ს-ის განძის გამო. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სსმმ). ტ. XVII-Б. 1953; ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში. სტატიები. თბ. 2005.</p> <p>ც. ღვაბერიძე. ახალციხის ზარაფხანა (XIV-XVI სს.). ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. №19. თბ. 2010.</p> <p>М. П. Баратаев. Нумизматические факты Грузинского царства. СПб. 1844.</p> <p>Г. Ф. Дундуа. Монетное обращение и торгово-экономические связи Грузии XV века (ист.-нумизмат. очерк). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Институт истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили. Тб. 1965.</p> <p>Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика. М. 1955.</p> <p>Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики). Тб. 1979.</p> <p>V. Langlois. Essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'à nos jours. Paris. 1860.</p>
--	--

<p>უცხოური ფული ქართულ სამონეტო ბაზარზე</p>	<p>XV საუკუნის უცხოური ფული აღმოსავლეთ საქართველოდან</p> <p>1. 1830-32 წლებში ლორეში აღმოჩნდა ფულადი განძი. ეს კომპლექსი თავის დროზე პეტერბურგის აზიურ მუზეუმში მოხვდა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში გ. დუნდუა ამოდ შეეცადა აღედგინა ამ განძის ერთიანი კომპლექსი. საქმე ის არის, რომ განძში შემავალი მონეტები, მათი სადაურობის მიხედვით, სათანადო დოკუმენტაციის გარეშე, სხვადასხვა ფონდებში გაუტარებიათ. მაგრამ ლორეს განძი რომ ნამდვილად პეტერბურგის აზიურ მუზეუმში შევიდა, ეს არ უნდა იყოს საეჭვო. ლორეს განძში 67 ქართული მონეტა იყო. ყოფილი აზიური მუზეუმის ნუმისმატიკურ ფონდებში დღესაც</p>
--	--

ამდენივე ქართული მონეტა არის დაცული.

განძის აღმოსავლური მონეტების ემისიის უკიდურესი თარიღებია 1343-1426 წლები, 1426 წელი არის კომპლექსის დაფლობის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ განძი კიდევ უფრო გვიან უნდა იყოს ჩამარხული. ამას გვაფიქრებინებს ლორეს განძში 67 ქართული მონეტის აღმოჩენა. ალექსანდრე I-მა ლორე 1431 წელს აიღო. ძნელი დასაჯერებელია, XV საუკუნის გაუფასურებული და, ფაქტობრივად, არავითარი ღირებულების მქონე ქართული მონეტა ასეთი რაოდენობით გასულიყო საქართველოს ფარგლებს გარეთ და სრულფასოვან მონეტებთან ერთად მოხვედრილიყო განძში. ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნება განძის დაფლობა 1431 წლის შემდეგ ვივარაუდოთ, როდესაც ლორე საქართველოს შემოუერთდა და, ბუნებრივია, ქართულმა მონეტებმა იქ ტრიალი იწყო.

ლორეს განძის 503 მონეტიდან 13 ჯუჭიდურია, 22 – ჰულაგუიდური, 9 – ჯალაირიდული, 16 – თემურის და სხვადასხვა პირის (სიურღათში, მაჰმუდი) მიერ მოჭრილი, 47 – თემურიდების, 50 – შირვანშაჰების, 8 – ოსმალების, 3 – მამლუქების, 90 – ყარა-ყონლუს და 9 – აყ-ყონლუსი.

ლორეს განძის შემადგენლობა გვაფიქრებინებს, რომ თემურიდების და შირვანშაჰების მონეტებს საკმაოდ ფართო გავრცელება უნდა ჰქონოდა საქართველოში. ძნელი სათქმელია, რამდენად იყო ჩვენში ამ დროს გავრცელებული ოსმალების და მამლუქების მონეტები, მაგრამ განძის შემადგენლობაში მათი მოხვედრა უკვე თავისთავად იმსახურებს დიდ ყურადღებას.

2. 1964 წლის აპრილში სოფ. ახალი საქობოს (ლაგოდეხის რ-ნი) მახლობლად შემთხვევით იპოვეს თიხის ქოთანის, რომელშიც მოთავსებული იყო ვერცხლის მონეტები. მონეტები გაიფანტა, გადარჩა მხოლოდ 46 ცალი, რომლებიც დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის განძების ფონდში – გფ. №11415-11460. განძის ყველა მონეტა შირვანული ანონიმური თანგაა და მიეკუთვნება ჰალილულაჰ I-ის (ჰიჯრ. 820-867 წწ.=1417-1462 წწ.) მმართველობის პერიოდს. განძის 46 მონეტიდან 44 მოჭრილია შემახიაში, 2 – ბაქოში. მონეტებზე მოთავსებული თარიღის მიხედვით, განძის ჩამარხვა 1426-1427 წლების შემდეგ არის სავარაუდო.

3. 1951 წლის შემოდგომაზე სოფ. თამარაშენში (ცხინვალის რ-ნი) შემთხვევით იპოვეს თიხის კოჭობი ვერცხლის მონეტებით. კომპლექსი მპოვნელებმა ერთმანეთს შორის გაინაწილეს. ცხინვალის

ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ამ განძიდან მომდინარე 37 მონეტაა დაცული, ხოლო საქართველოს ეროვნულ მუზეუმში – 8 (გფ. №№11414, 12140-12146). განძის შემადგენლობაში შემავალი სპილენძის ერთი მონეტა მოჭრილია საქართველოს მეფის დავით VIII-ის (1293-1311 წწ.) სახელით. განძის 44 შირვანული თანგა მიეკუთვნება ჰალილულაჰ I-ის ეპოქას. კომპლექსი ჩამარხული უნდა იყოს 1462-1463 წლების შემდეგ. თანგები ძალიან გაცვეთილია და ზარაფხანები ცუდად იკითხება. 18 ეგზემპლარი შეიძლება შემახიაში იყოს მოჭრილი.

4. 1928 წელს სოფ. დიდხორხში (დუშეთის რ-ნი) აღმოჩნდა თიხის ქოთანი ვერცხლის მონეტებით. ევგ. პახომოვს განძის აღმოჩენის არც თუ ისე ზუსტი კოორდინატები აქვს მითითებული და არც განძის შემადგენლობაში შემავალი მონეტების ზუსტი რიცხვი აქვს დასახელებული: « . . . около 68 тенег начало XV в. . . » სინამდვილეში, განძი შეიცავს 66 შირვანულ თანგას და 20 ქართულ მონეტას (ეს რიცხვი ევგ. პახომოვს სწორად აქვს დაფიქსირებული). შირვანული თანგები მიეკუთვნება ჰალილულაჰ I-ის ხანას, რომელთაგან ყველაზე გვიანდელის ემისიის წელია ჰიჯრ. 834 (=1430-1431 წწ.). ისინი მოჭრილია შემახიაში, ბაქოსა და დარუბანდში. მაგრამ შირვანული მონეტების მიხედვით განძის დაფლობის თარიღს ვერ დავადგენთ. ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული თევზისგამოსახულებიანი ანონიმური ქართული მონეტების ატრიბუციასთან, რომელთა ემისია, სავარაუდოდ, სამცხის ათაბაგს ყვარყვარეს მიეწერება. განძის ჩამარხვის ხანად XV საუკუნის მეორე ნახევარი უნდა ვიგულისხმოთ.

5. 1971 წელს ხაშურის რ-ნის სოფ. ალში, გომიდან (ქართლი) საჩხერისაკენ (იმერეთი) მიმავალი გზის მონაკვეთის სიახლოვეს, ვენახში მუშაობის დროს, შემთხვევით აღმოჩნდა თიხის კოჭობი ვერცხლის მონეტებით. განძი გაიფანტა. 55 ცალი ხაშურის მუზეუმში შევიდა, ხოლო 4 – სოფ. ქორეთის (საჩხერეს რ-ნი) სასკოლო მუზეუმში. განძი შეიცავს ჰალილულაჰ I-ის დროის ანონიმურ თანგებს, 6 ცალი, და ფარუხ იასარის (ჰიჯრ. 867-906 წწ. =1462-1500 წწ.) წვრილ მონეტებს – 53 ცალი. განძის ყველაზე ადრეული მონეტა მოჭრილია ჰიჯრ. 834 წელს (=1430-1431 წწ.), გვიანდელი – ჰიჯრ. 898 წელს (=1492-1493 წწ.). განძი, როგორც ჩანს, ჩამარხულია XV საუკუნის დასასრულს. ალის განძის მონეტები გაცვეთილია, მხოლოდ ზოგიერთ ცალზე იკითხება ზარაფხანის სახელი – შემახია.

ამრიგად, ზემოთ მოხსენიებული განძების შემადგენლობის ანალიზი სრულ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ XV საუკუნის

